

სოციალური დაჯები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2019, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2019, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2019, №4

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2019, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. საპენსიო დავები

მამკვიდრებლის მიუღებელი პენსიის ანაზღაურების წესი	4
სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შენწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები	19; 33
შენწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა	72

2. სარჩო და კომპენსაცია

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების ფაქტის დადგენა და ერთჯერადი დახმარების მოთხოვნის ხანდაზმულობა	82
კომპენსაციის ანაზღაურების პერიოდის განსაზღვრა	92
სარჩოს დაკისრების სამართლებრივი საფუძველი	109

3. სხვა სახის სოციალური დავები

პალიატიური მზრუნველობისათვის პაციენტთა შეჩერების კრიტერიუმები და საექიმო საქმიანობის წესის დარღვევა	124
ვეტერანის სტატუსის მინიჭება	149
საავადმყოფო ფურცლის გაცემისას ექიმის უფლება-მოვალეობების ფარგლები	168
საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადგენა	216

1. სავანის დავები

მამაკვიდრების მიუღებელი პენსიის ანაზღაურების წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-78-78(კ-18)

19 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების და-ვალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 27 თებერვალს კ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მი-მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიას, მოპასუზის – სსიპ სოციალური მომსახურების სა-აგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2016 წლის 1 ნოემბერს გარდაიც-ვალა მისი დედა – პ. ა-ი, რომელსაც სსიპ სოციალური მომსახურე-ბის ახმეტის რაიონული განყოფილებიდან დანიშნული ჰქონდა სა-ხელმწიფო პენსია. პ. ა-ს 2016 წლის 1 აგვისტოდან შეუჩერდა პენ-სიის მიღება, მინდობილ პირზე გაცემული მინდობილობის ვადის გასვლის გამო, ხოლო 2016 წლის 1 ნოემბრიდან შეუწყდა პენსიის გაცემა, გარდაცვალების გამო.

მოსარჩელის განმარტებით, მის მეუღლეს – ზ. ც-ას (პ. ა-ის მინ-დობილი პირი) პენსიის გაცემაზე ეთქვა უარი. ასევე, პ. ა-ის ჯან-მრთელობის გაუარესების გამო, ნოტარიუსმა უარი განაცხადა ახა-ლი მინდობილობის გაცემაზე, ამიტომ ზ. ც-ამ მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მისი მხარდამჭერად ცნობა. სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე, პ. ა-ი გარდაიცვა-ლა. კ. მ-მა დედის გარდაცვალების შემდეგ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა გარდაც-ვლილი დედის 4 თვის მიუღებელი პენსიის გაცემა, მაგრამ სააგენ-ტომ 2017 წლის 1 თებერვლის №04/5767 წერილობითი პასუხით უა-

რი უთხრა პენსიის გაცემაზე იმ მოტივით, რომ პ. ა-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს შერჩეული პენსიის განახლების მოთხოვნით პენსიონერის გარდაცვალებამდე შესაბამისი ორგანოსათვის არ მიუმართავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 თებერვლის №04/5767 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის პ. ა-ის მემკვიდრე – კ. მ-ისთვის მისი დედის გარდაცვალებამდე მიუღებელი პენსიის თანხის (2016 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე) ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით კ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 თებერვლის №04/5767 გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს პ. ა-ის მემკვიდრე – კ. მ-ისთვის მისი დედის გარდაცვალებამდე მიუღებელი პენსიის თანხის (2016 წლის 1 აგვისტოდან – 2016 წლის 1 ნოემბრამდე) ანაზღაურება დაევალა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე კ. მ-ის დედას – ან გარდაცვილ პ. ა-ს, როგორც ასაკით პენსიონერს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ახმეტის რაიონული განყოფილების მიერ დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო პენსია, რომელიც გაიცემოდა მინდობილ პირზე, შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე. 2015 წლის 6 აგვისტოს სანოტარო წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე, პ. ა-მა სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) აღების უფლება მიანდო ზ. ც-ას. 2016 წლის 1 აგვისტოდან პ. ა-ს შეუჩერდა სახელმწიფო პენსიის მიღება, მინდობილობის ვადის გასვლის გამო.

2017 წლის 9 იანვრის ცნობის თანახმად, თელავის რაიონულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო ზ. ც-ას 2016 წლის 5 ოქტომბრის განცხადება, დედამთილის – პ. ა-ის მიმართ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე. პ. ა-ი გარდაიცვალა 2016 წლის 1 ნოემბერს, რაც დასტურდება 2016 წლის 21 ნოემბერს გაცემული გარდაცვალების მოწმობით.

2016 წლის 24 ნოემბერს ზ. ც-ამ განცხადებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს ახმეტის რაიონულ განყოფილებას და მოითხოვა, ეცნობებინათ როდის და რა მოტივით შეუჩერდა პ. ა-ს პენსია, რამდენს შეადგენს გარდაცვალებამდე მიუღებელი პენსია და რა დოკუმენტი უნდა წარედგინა აღნიშნული პენსიის მისაღებად. სოციალური მომსახურების სააგენტოს ახმეტის რაი-

ონული განყოფილების 2016 წლის 30 ნოემბრის №04-10-02/2933 წერილით, ზ. ც-ას განცხადების პასუხად ეცნობა, რომ მოქალაქე პ. ა-ს, ბანკის ინფორმაციის საფუძველზე, მინდობილობის ვადის გასვლის გამო 2016 წლის 1 აგვისტოდან შეუჩერდა პენსიის ჩარიცხვა, რადგან მის სიციცხლეში არ მომხდარა სოციალური მომსახურების სააგენტოში პენსიის განახლებაზე განცხადების წარდგენა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 თებერვლის №04/5767 წერილობითი პასუხით კ. მ-ს მისი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ პ. ა-ს 2016 წლის 1 აგვისტოდან შეუჩერდა პენსიის მიღება, მინდობილობის ვადის გასვლის გამო. პენსიონერ პ. ა-ს, ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით პენსიონერის გარდაცვალებამდე შესაბამისი ორგანოსათვის არ მიუმართავს. ამდენად, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ კ. მ-ი წარმოადგენდა გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრეს, მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა.

სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონზე, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ დანართის №1-ის მე-8 მუხლით განსაზღვრულია პენსიის შეჩერება-განახლების საფუძველები, კერძოდ, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე წინადადების თანახმად, პენსია შეჩერდება ასევე იმ გარემოების არსებობისას, როდესაც საპენსიო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 1 აგვისტოდან მოსარჩელე კ. მ-ის დედას – პ. ა-ს შეუჩერდა პენსიის მიღება მინდობილობის ვადის გასვლის გამო. ამასთან, 2016 წლის 1 ნოემბერს პ. ა-ი გარდაიცვალა, რის გამოც 2016 წლის 1 ნოემბრიდან მის მიმართ პენსიის გაცემა შეწყდა.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პენსიის გაცემის ორგანიზება ხდება მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით, ხოლო ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვა-

ლების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა.

საქმის მასალების თანახმად, კ. მ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა დედის – პ. ა-ის გარდაცვალებამდე გაუცემელი პენსიის თანხის გაცემა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 თებერვლის №04/5767 წერილობითი პასუხით კ. მ-ს განემარტა, რომ პ. ა-ს 2016 წლის 1 აგვისტოდან შეუჩერდა პენსიის მიღება, მინდობილობის ვადის გასვლის გამო. პენსიონერ პ. ა-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით პენსიონერის გარდაცვალებამდე შესაბამისი ორგანოსათვის არ მიუმართავს. ამიტომ მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ დანართი №1-ის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მონაწილის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა, შეჩერებული პენსიის განახლების შესახებ, პენსიონერის ან რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ განხორციელებულია პენსიონერის სიცოცხლეში.

საქმის მასალებით დადგენილი იყო და მოსარჩელეც არ ხდიდა სადავოდ იმ გარემოებას, რომ პ. ა-ის მინდობილ პირს ან თავად ან გარდაცვლილ პ. ა-ს მის გარდაცვალებამდე არ მიუმართავს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი სამსახურისათვის. საქმის მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ კ. მ-ი წარმოადგენდა ან გარდაცვლილი პ. ა-ის მემკვიდრეს, რომელიც ითხოვდა ან გარდაცვლილი დედის მიმართ გაუცემელი პენსიის თანხის მიღებას და ეს გარემოება სადავო არ იყო. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2016 წლის 5 ოქტომბერს ზ. ც-ამ განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს დედამთილის – პ. ა-ის მიმართ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე, თუმცა გადაწყვეტილების მიღებამდე პ. ა-ი გარდაიცვალა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი

გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობს „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებასთან მიმართებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ კ. მ-მა მოახდინა მისი უფლების რეალიზაცია, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან ერთი წლის განმავლობაში. ამდენად, კ. მ-ს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ გააჩნდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც შეეხებოდა მისი გარდაცვლილი დედის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას, ამიტომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძველიანი იყო და ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა მიიჩნია, რომ სასამართლომ მათ არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-13, მე-14 და მე-17 მუხლების მიხედვით, პენსია ინიშნება მასზე უფლებამოსილი პირის მიერ კომპეტენტურ ორგანოში შესაბამისი განცხადების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარდგენის საფუძველზე, ხოლო წყდება შემდეგ შემთხვევებში: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს.

რაც შეეხება პენსიის გაცემის შეჩერებას, პალატის განმარტებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, მისი საფუძვლია პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა და პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ კი წარსული დროისათვის მიუღებელი თანხა ანაზღაურდება შეჩერებიდან არა უმეტეს 1 წლის პერიოდისათვის. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსია შეჩერდება იმ გარემოების არსებობისას, როდესაც საპენსიო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მონაწილის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა, შეჩერებული პენსიის განახლების შესახებ, პენსიონერის ან რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ განხორციელებულია პენსიონერის სიცოცხლეში. ამდენად, სააპელაციო პალატამ მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე განმარტა, რომ პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხები პირველი რიგის მემკვიდრეებზე იმ შემთხვევაში გაიცემოდა, თუ მოთხოვნა შეჩერებული პენსიის განახლების შესახებ განხორციელებული იყო პენ-

სიონერის სიცოცხლეში. საქმეზე დადგენილია, რომ გარდაცვლილ პ. ა-ს მის გარდაცვალებამდე არ მიუმართავს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი სამსახურისათვის. ამდენად, გაუცემელი საპენსიო თანხის ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია ქალებისათვის 60 წლის ასაკის მიღწევა და გარდაცვალებამდე კანონით მინიჭებული ამ უფლების წართმევა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებს. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დღისთვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს თუ მიუღებელი თანხისათვის მიმართეს პირის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არც პ. ა-ს და არც მის ნდობით აღჭურვილ პირს არ მიუმართავთ სადავო თანხის მოთხოვნით სოციალური სააგენტოს შესაბამისი სამსახურისათვის. კასატორი აღნიშნავს, რომ სარჩელში გარკვევითაა მითითებული, რომ ზ. ც-ას უარი უთხრეს პ. ა-ის კუთვნილი პენსიის გაცემაზე მინდობილობის ვადის გასვლის გამო. ამის შემდეგ ნოტარიუსმაც პ. ა-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ახალი მინდობილობის გაცემაზე უარი განაცხადა. აქედან გამომდინარე, ვინაიდან კასატორსა და მის მეუღლეს პ. ა-ის სახელით რაიმე სახის განცხადების შეტანის უფლება არ ჰქონდათ არც სააგენტოში და არც სასამართლოში, ზ. ც-ამ მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს პ. ა-ის მხარდამჭერად ცნობის თაობაზე, რაც უპირველეს საჭიროებას წარმოადგენდა მიუღებელი პენსიის ასაღებად. აღნიშნული ქმედებები განხორციელდა პ. ა-ის სიცოცხლეშივე, თუმცა იგი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე გარდაიცვალა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 აპრილის განჩინებით კ. მ-ის საკასა-

ციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასრულების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ კ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: კასატორის დედა – პ. ა-ი იყო „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტი – პენსიონერი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით დაენიშნა სახელმწიფო პენსია ასაკის გამო. იგი გაიცემოდა მინდობილ პირზე – ზ. ც-აზე, 2015 წლის 6 აგვისტოს სანოტარო წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე. 2016 წლის 1 აგვისტოდან პენსიონერს – პ. ა-ს შეუჩერდა სახელმწიფო პენსიის მიღება მინდობილობის ვადის გასვლის გამო. 2016 წლის 5 ოქტომბერს ზ. ც-ამ მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს და დედამთილის – პ. ა-ის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა მოითხოვა, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე პ. ა-ი გარდაიცვალა.

დადგენილია, რომ 2016 წლის 24 ნოემბერს ზ. ც-ამ განცხადებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს ახმეტის რაიონულ განყოფილებას და მოითხოვა, ეცნობებინათ როდის და რა მოტივით შეუჩერდა პ. ა-ს პენსია, რამდენს შეადგენდა გარდაცვალებამდე მიუღებელი პენსია და რა დოკუმენტი უნდა წარედგინა აღნიშნული პენსიის მისაღებად. სოციალური მომსახურების სააგენტოს ახმეტის რაიონული განყოფილების 2016 წლის 30 ნოემბრის №04-10-02/2933 წერილით, ზ. ც-ას განცხადების პასუხად ეცნობა, რომ მოქალაქე პ. ა-ს, ბანკის ინფორმაციის საფუძველზე, მინდობილობის ვადის გასვლის გამო 2016 წლის 1 აგვისტოდან შეუჩერდა პენსიის ჩარიცხვა, რადგან მის სიცოცხლეში არ მომხდარა სოციალური მომსახურების სააგენტოში პენსიის განახლებაზე განცხადების წარდგენა. ასევე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 თებერვლის №04/5767 წერილობითი პასუხით კ. მ-ს მისი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ პ. ა-ს 2016 წლის 1 აგვისტოდან შეუჩერდა პენსიის მიღება მინდობილობის ვადის გასვლის გამო. პენსიონერ პ. ა-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით პენსიონერის გარდაც-

ვალეზამდე შესაბამისი ორგანოსათვის არ მიუმართავს. ამდენად, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ კ. მ-ი წარმოადგენდა გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრეს, მიუღებელი სახელმწიფო გადაცემელი ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 თებერვლის №04/5767 გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება წარმოადგენს. სადავო აქტის ბათილად ცნობას მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძველით, რომ პენსიის გაცემაზე უარი უკანონოდ ეთქვა. კასატორის მეუღლეს ზ. ც-ას (პ. ა-ის მინდობილი პირი) უარი ეთქვა პენსიის გაცემაზე მინდობილობის ვადის გასვლის გამო. ამასთან, პ. ა-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ნოტარიუსმა უარი განაცხადა ახალი მინდობილობის გაცემაზე, რის გამოც ზ. ც-ამ მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს და პ. ა-ის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა მოითხოვა. ამდენად, სსიპ სპეციალური სააგენტოს უარი პენსიის გაცემაზე იმ მოტივით, რომ პ. ა-ის მემკვიდრეს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით პენსიონერის გარდაცვალებამდე შესაბამისი ორგანოსათვის არ მიუმართავთ, უსაფუძვლოა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის 1-ლი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლებას, ხოლო ამავე ქარტიის მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულ პირთა მიერ სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება დიდხანს. მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გამოიხატება ადეკვატური სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოით-

ხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება.

საკაცაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად წესებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია და ა.შ. პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები რეგულირდება ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესით“.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს პენსიის შეჩერება/განახლების საფუძვლებს. კერძოდ, შეჩერების საფუძველია პირის მიერ პენსიის ზედღებულად 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა და წინასწარ პატიმრობაში ყოფნა, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ კი წარსული დროისათვის მიუღებელი თანხა ანაზღაურდება შეჩერებიდან არა უმეტეს 1 წლის პერიოდისათვის. ამავე კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულია აგრეთვე პენსიის შეწყვეტის წესი და პირობები, კერძოდ, 1-ლი პუნქტის თანახმად, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძველით, თუ იგი ამ

კანონიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება პ. ა-ისათვის პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებები, თუმცა სადავოა მხოლოდ პენსიის შეჩერება, რადგან პ. ა-ისათვის პენსიის შეწყვეტას საფუძვლად დაედო მისი გარდაცვალება, რაც მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და სადავო არ არის.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერება-შეწყვეტის საფუძვლები წარმოადგენენ კონკრეტული პირის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პირობას და არა თავად ინდივიდუალურ აქტებს. ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის დანაწესის თანახმად, პენსია შეჩერდება კანონით გათვალისწინებული შეჩერების ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, არ ნიშნავს იმას, რომ კანონით გათვალისწინებული შეჩერების საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფო პენსიის შეჩერების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბზ-365-360(კ-16)) თანახმად, განიმარტა, რომ „სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობის არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ.: პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, ასეთ შემთხვევაში მოქალაქის განცხადების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება, რომლის შედეგადაც, თუ მოქალაქის ფაქტობრივი მდგომარეობა შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ მოთხოვნებს და განცხადებას ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტი, საჯარო დაწესებულება ახდენს პენსიის დანიშვნის შესახებ მოქალაქის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, ე.ი. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი არის პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა, პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის მიმართვა, აქტის გამოცემა“.

„ამდენად, სახელმწიფო გასაცემელთან დაკავშირებით ურთიერთობის შინაარსის კონკრეტულად განსაზღვრა ხდება ინდივი-

დუალური აქტის გამოცემით. კანონი განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არსებობისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ჩაებას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონით განსაზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მონესრიგება საჭიროებს მისი კონკრეტულ-ინდივიდუალური შემთხვევისადმი მისადაგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეშვეობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის არის კანონის მოთხოვნების ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ პირებზე გავრცელების საშუალება. სახელმწიფო ხელისუფლება კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად თავისი საქმიანობით უშუალოდ კი არ უპირისპირდება მოქალაქეს, არამედ გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც მიიღება კონკრეტული ზომა, როგორც სამართლიანი, განსაზღვრული და სავალდებულო ძალის მქონე ქმედება. სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქმნის აქტის ამოქმედების შემდგომ მისი თვითაღსრულების პირობას. აღნიშნულში ვლინდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებითსამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს შესაძლებლობას პირის ნების სანინააღმდეგოდ, მის ხელთ არსებული კანონით დადგენილი აღსრულების საშუალებების გამოყენებით აღასრულოს აქტი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების სამართლებრივი ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ ის არის აღსრულების დაწყების აუცილებელი წინაპირობა“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის უფლებებისა და მოვალეობების დაწესების, შეცვლის, შეწყვეტის ან დადასტურებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, გამოცემა და აღსრულება, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტა უკავშირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარებას, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აქტის გამოცემის პროცესში დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი, მოცემულ შემთხვევაში მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები, როგორცაა წარმოებაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა, საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და სხვ. საქმის მასალებით არ დასტურდება პ. ა-ის მიმართ პენსიის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ასევე არ დასტურდება მისი არც ადრესატისათვის და არც მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარების ფაქტი, რაზეც სააკასაციო პალატას სა-

ერთოდ არ უმსჯელია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ძირითადი პროცედურული ვალდებულების შესრულების შემდეგ პ. ა-ისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის აქტის ჩაბარების შემთხვევაში ადგილი ექნებოდა პენსიის შეჩერების საფუძველს და დადგებოდა იგივე შედეგი, არ დასტურდება, რომ პ. ა-ის წარმომადგენელი არ მიმართავდა სოციალური მომსახურების სააგენტოს და არ აღმოფხვრიდა სახელმწიფო პენსიის შეჩერების საფუძველს და შეჩერების აქტის გამოცემის პროცედურის დაცვის შემთხვევაში დადგებოდა იგივე შედეგი. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მიმართებით რაიმე არგუმენტაცია არ წარმოუდგენია. ამდენად, ადგილი აქვს ისეთ მნიშვნელოვან პროცედურულ დარღვევას, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. გამარტივებული წარმოება, პროცედურის ეკონომიურობისა და ეფექტურობის მოთხოვნები, არ გულისხმობს ადრესატისათვის აქტის გამოცემის საფუძველებისა და გამოცემული აქტის შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობას, მით უფრო სოციალური დაცვის სამართალწარმოებაში აუცილებელი განსაკუთრებული კეთილსინდისიერების მოთხოვნის, აგრეთვე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით განსაზღვრული საყოველთაობის, მუდმივობის, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტიის პრინციპების (მე-3 მუხ.) გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ზ. ც-ამ პენსიის გაცემაზე უარის მიღების შემდეგ მიმართა ნოტარიუსს, რომელმაც უარი განაცხადა ახალი მინდობილობის გაცემაზე პ. ა-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. ამის შემდეგ ზ. ც-ამ მიმართა სასამართლოს პენსიონერისათვის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის მოთხოვნით, თუმცა პ. ა-ი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე გარდაიცვალა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ზეპირად გამოცემული აქტისაგან განსხვავებით, წერილობითი აქტის მიმართ მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-58-ე მუხლების მოთხოვნები. ამავე კოდექსის 54-55-ე მუხლებიდან გამომდინარე, დადგენილია აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების შესაძლებლობა მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებას არ ითვალისწინებს, ასეთი აქტები ძალაში შედის უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარების დღი-

დან. ამდენად, რადგან პენსიის შეჩერების აქტი ადმინისტრაციულ ორგანოს მხარისთვის არ გაუცვნია, არ მომხდარა მისი ძალაში შესვლა. ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეეჩერებინა მისთვის პენსიის ჩარიცხვა, რომელიც კანონიერ ძალაში არ იყო შესული. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებულ დავაში მტკიცების ტვირთი ეკისრება არა ადრესატს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს. სახელმწიფო გასაცემლების შეჩერება-შენწყვეტის შესახებ აქტები ძალაში შედის მისი ადრესატისათვის ჩაბარების დღიდან. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესის – პენსიის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებების დაინტერესებული პირისათვის ჩაბარება, შესაბამისად, არ დასტურდება აგრეთვე მისი ძალაში შესვლა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სადავო აქტის ბათილად ცნობით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა მიუღებელი პენსიის ანაზღაურება, მაგრამ სასამართლომ გადაწყვეტილება სამართლებრივად სხვაგვარად დაასაბუთა. სააპელაციო სასამართლომ კი სრულიად დაუსაბუთებლად გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და არგუმენტირებული მსჯელობის გარეშე დააკმაყოფილა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ძირითად მოტივს წარმოადგენს ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ პენსიის შეჩერების საკითხი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით უნდა გადაწყდეს. რაც კანონით დადგენილი წესით უნდა გაეცნოს (ჩაბარდეს) პირს, მხოლოდ ამის შემდეგ იძენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერ ძალას.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პენსიის გაცემის ორგანიზება ხდება მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით, ხოლო ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. საქმის მასალების თანახმად, კ. მ-მა განცხა-

დებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა დედის – პ. ა-ის გარდაცვალებამდე გაუცემელი პენსიის თანხის გაცემა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 თებერვლის №04/5767 წერილობითი პასუხით კ. მ-ს განემარტა, რომ პ. ა-ს 2016 წლის 1 აგვისტოდან შეუჩერდა პენსიის მიღება, მინდობილობის ვადის გასვლის გამო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კ. მ-მა მოახდინა მისი უფლების რეალიზაცია. მას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ გააჩნდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც შეეხებოდა მისი გარდაცვლილი დედის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას, ამიტომ ამ გარემოების გათვალისწინებითაც კასატორის მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დასკვნები კ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. ამასთან, კ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანია, რის გამოც მას ეკუთვნის დედის – ან გარდაცვლილი პ. ა-ის მიერ გარდაცვალებამდე მიუღებელი საპენსიო თანხა 2016 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავ ე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-

წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. კ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. კ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 თებერვლის №04/5767 გადაწყვეტილება;
5. მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დავალოს პ. ა-ის მემკვიდრეს – კ. მ-ს აუნაზღაუროს მისი დედის გარდაცვალებამდე მიუღებელი პენსიის თანხა 2016 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო პენსიის შიჩაჩაგისა და პენსიების სამართლებრივი საფუძვლები

გაღანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-666-666(კ-18)

22 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 16 აგვისტოს ო. ყ-მა სასარჩელო განცხადებით მი-

მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი მუშაობს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“. მას დანიშნული ჰქონდა ასაკობრივი პენსია, რომელიც შეუწყდა 2013 წლის 1 ნოემბრიდან. ო. ყ-მა 2016 წლის 19 ივლისს განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მისთვის სახელმწიფო პენსიის გაცემის გაგრძელება მოითხოვა. ამავე სააგენტოს 2016 წლის 9 აგვისტოს წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრი „დელტა“ იყო საჯარო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულება და ისინი ვერ მოიპოვებდნენ სოციალურ უზრუნველყოფაზე უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-54/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრისათვის ო. ყ-ისთვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ო. ყ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-54/16 გადაწყვეტილება სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ო. ყ-ისათვის სახელმწიფო გასაცემლის (პენსია) აღდგენა დაევალა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ოდენობით 2013 წლის 1 დეკემბრიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 24 სექტემბერს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ და ო. ყ-ს შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც იგი დაინიშნა ... თანამდებობაზე და მისი ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრა 704 ლარის ოდენობით. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ 2017 წლის 28 თებერვლის №363 წერილით დგინდება, რომ ო. ყ-ი 2010 წლის 24 სექტემბრიდან ამ პერიოდამდე მუშაობს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტას“

... (...) თანამდებობაზე. ო. ყ-ს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის პარალელურად დანიშნული ჰქონდა და იღებდა სახელმწიფო კომპენსაციას (პენსიას), რომლის გაცემაც შეუწყდა 2013 წლის 1 დეკემბრიდან.

2016 წლის 19 ივლისს, ო. ყ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა მისთვის შეწყვეტილი სახელმწიფო კომპენსაციის (პენსიის) აღდგენა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ისანი-სამგორის ცენტრის მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს მიღებულ იქნა №57995-54/16 გადაწყვეტილება სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, საჯარო საქმიანობის განხორციელების მიზეზით, ო. ყ-ს ვერ დაენიშნებოდა სახელმწიფო გასაცემელი (პენსია). სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ისანი-სამგორის ცენტრის 2016 წლის 9 აგვისტოს №04-00-ი/35200 წერილით ო. ყ-ის წარმომადგენელს ეცნობა, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ცენტრი „დელტა“ არ წარმოადგენდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, რის გამოც მასთან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან დასაქმებულებზე არ ვრცელდებოდა შეღავათი და ისინი ვერ მოიპოვებდნენ სოციალურ უზრუნველყოფაზე უფლებას („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). წერილის მიხედვით, მოქალაქეებს, მათ შორის ო. ყ-ს, გაუფორმდა საპენსიო პაკეტის დანიშვნაზე უარის გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონზე, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ დანართი №1-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განმარტებულია, რომ პენსიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ახდენს პენსიის დანიშვნას, მისი გაცემის ორგანიზებას, შეჩერებას, განახლებას, შეწყვეტას და გადაანგარიშებას, აგრეთვე პენსიის მი-

ღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას და კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ო. ყ-ი დაიბადა 1944 წლის 25 იანვარს. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების მქონე სუბიექტს. მას დანიშნული ჰქონდა პენსია, რომლის გაცემაც შეუწყდა 2013 წლის 1 დეკემბრიდან. 2016 წლის 19 ივლისს, ო. ყ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა მისთვის შეწყვეტილი სახელმწიფო პენსიის აღდგენა, რაზეც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ისანი-სამგორის ცენტრის მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს მიღებულ იქნა №57995-54/16 გადაწყვეტილება სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნაზე უარის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, საჯარო საქმიანობის განხორციელების მიზეზით, ო. ყ-ს ვერ დაენიშნებოდა სახელმწიფო გასაცემელი (პენსია).

სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვით, პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. მითითებული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო საქმიანობა არის სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაზე (საქმის ნომერი: №ბს-77-75(კ-15)), სადაც საკასაციო სასამართლომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიიჩნია, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ

„დელტას“ საქმიანობის მიმართულებით, მისი მიზნებით, ამოცანებით, ფუნქციებითა და თავად ცენტრის შექმნის საფუძვლებით უდავოდ დგინდება ცენტრის საქმიანობის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათი, ხოლო დანესებულების სახელწოდება – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი საქმიანობის მთავარ მიმართულებას.

სასამართლომ განმარტა, რომ ამავე გადანყვეტილების თანახმად, სახეზე არ იყო კომპენსაციის მიღებაზე ხელახლა უფლების მოპოვების შემთხვევა, რადგან უფლება კომპენსაციის მიღებაზე მოპოვებული იყო და ეს უფლება მას არ დაუკარგავს. მოსარჩელემ მოითხოვა კომპენსაციის აღდგენა და არა დანიშვნა. ამასთან, მართალია, კომპენსაციის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი საჯარო საქმიანობის განხორციელებას განსაზღვრავს, თუმცა საყურადღებოა, რომ მოცემულ შემთხვევაში კომპენსაციის შეწყვეტა, თავისი არსით, კომპენსაციის შეჩერებას გულისხმობს. ამდენად, მოსარჩელე – ო. ყი. საქმიანობს სამეცნიერო-კვლევით დანესებულებაში – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტაში“, მისი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო საქმიანობად და მას კანონის შესაბამისად არ შეიძლება შეუწყდეს უფლება, მიიღოს სახელმწიფო პენსია კანონით დადგენილი წესით და ოდენობით. შესაბამისად, მისთვის სახელმწიფო პენსიის შეწყვეტა ეწინააღმდეგება კანონს.

სასამართლომ საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დაადგინა, რომ 2013 წლის 1 დეკემბრიდან ო. ყ-ს ისე შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ან მის ტერიტორიულ ორგანოს აღნიშნულთან დაკავშირებით არ გამოუცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა გასაჩივრებული 2016 წლის 8 აგვისტოს გადანყვეტილებისა. შესაბამისად, მითითებული მოქმედებით მოსარჩელეს მიაღდა ზიანი, რაც შეადგენდა 2013 წლის 1 დეკემბრიდან გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის (პენსიის) ოდენობას. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-54/16 გადანყვეტილება სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა აღედგინა ო. ყ-ისათვის სახელმწიფო გასაცემელი (პენსია), საქართველოს კანონმდებლო-

ბით დადგენილი წესით და ოდენობით 2013 წლის 1 დეკემბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ 2013 წლის 1 დეკემბრიდან ო. ყ-ს ისე შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ან მის ტერიტორიულ ორგანოს აღნიშნულთან დაკავშირებით არ გამოუცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა გასაჩივრებული 2016 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებისა. შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიზეზი, რის გამოც, ო. ყ-ს ზემოთ მითითებული პერიოდიდან შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, მიჩნეულ იქნა უკანონოდ, მითითებული მოქმედებით მას მიადგა ზიანი, რაც შეადგენდა 2013 წლის 1 დეკემბრიდან გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის (პენსიის) ოდენობას. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა, აპელანტების მიერ არ ყოფილა მითითებული გარემოებებზე, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს. შესაბამისად, სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები, რის გამოც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება საკასაციო წე-

სით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც სასამართლოს დასკვნები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე, კერძოდ, 2017 წლის 20 ივლისის განჩინებაზე (საქმე №ბს-481-478(2კ-17), რომელშიც სასამართლომ იმსჯელა მითითებულ პერიოდზე, უარი უთხრა მხარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და სააგენტოს დაავალა მიუღებელი პენსიის ანაზღაურება 2016 წლის 1 აგვისტოდან. ამდენად, მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებაზე – 2013 წლის 1 დეკემბრიდან სახელმწიფო გასაცემლის (პენსია) ანაზღაურებაზე და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

კასატორი ასევე მიუთითებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო საქმიანობა განმარტებულია შემდეგნაირად: „საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და საალმზრდელი საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ისეთ შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. კასატორის აღნიშვნით, სსიპ სახელმწიფო, სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, რადგან საქართველოს თავდაც-

ვის მინისტრის 2015 წლის 15 აგვისტოს №25 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლში ჩამოყალიბებულია „დელტას“ მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, რომლითაც ნათელი ხდება, რომ იგი არ წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 სექტემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ო. ყ-ისათვის 2016 წლიდან სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების ნაწილში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ №ბს-1103-1097(2კ-17) და №ბს-1042-1036(2კ-17) ანალოგიურ ადმინისტრაციულ საქმეებზე გაკეთებულ განმარტებებზე მითითებით, მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და მითითებულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება. ამავე განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ო. ყ-ისათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლამდე სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში საფუძვლიანია, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა. ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სადავო საკითხს და ო. ყ-ისათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლამდე სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების ნაწილში არას-

წორი სამართლებრივი შეფასება მისცეს განსახილველ სამართალურთიერთობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ო. ყ-ი დაიბადა 1944 წლის 25 იანვარს. იგი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების მქონე სუბიექტს. მას სახელმწიფო პენსია დანიშნული ჰქონდა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, რომელიც შეუწყდა 2013 წლის 1 დეკემბრიდან. ამასთან, ო. ყ-ი 2010 წლის 24 სექტემბრიდან დღემდე მუშაობს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“.

2016 წლის 19 ივლისს ო. ყ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა მისთვის შეწყვეტილი სახელმწიფო კომპენსაციის (პენსიის) აღდგენა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ისანი-სამგორის ცენტრის მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს მიღებულ იქნა №57995-54/16 გადაწყვეტილება სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო, ო. ყ-ს ვერ დაენიშნებოდა სახელმწიფო გასაცემელი (პენსია). სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ისანი-სამგორის ცენტრის 2016 წლის 9 აგვისტოს №04-00-ი/35200 წერილით ო. ყ-ის წარმომადგენელს ეცნობა, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრი „დელტა“ არ წარმოადგენდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, რის გამოც მასში, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებულებზე არ ვრცელდებოდა შეღავათი და ისინი ვერ მოიპოვებდნენ სოციალურ უზრუნველყოფაზე უფლებას („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). წერილის მიხედვით, მოქალაქეებს, მათ შორის ო. ყ-ს, გაუფორმდა საპენსიო პაკეტის დანიშვნაზე უარის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-54/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის ო. ყ-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, ვინაიდან განჩინების ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 3 სექტემბრის განჩინებით არ იქნა

დაშვებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ო. ყ-ს სწორედ ამ კანონის შესაბამისად, საჯარო საქმიანობის განხორციელების მოტივით შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაცია (პენსია), თუმცა ის გარემოება რომ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურში საქმიანობად, აღნიშნულის კვლავ დასადასტურებლად საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე დადგენილ პრაქტიკაზე (სუს 2015 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №ბს-77-75(კ-15)), რომელშიც საკასაციო სასამართლომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ მიიჩნია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად და განმარტა, რომ „სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტას“ საქმიანობის მიმართულებით, მისი მიზნებით, ამოცანებით, ფუნქციებითა და თავად ცენტრის შექმნის საფუძვლებით უდავოდ დგინდება ცენტრის საქმიანობის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათი, ხოლო დაწესებულების სახელწოდება – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი საქმიანობის მთავარ მიმართულებას“.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია გასაჩივრებული განჩინების კანონიერება მხოლოდ ო. ყ-ის სასარგებლოდ 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის, მამაკაცებისათვის – 65 წლის ასაკის მიღწევა. ო. ყ-ი დაიბადა 1944 წლის 25 იანვარს, შესაბამისად, ის არის სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების მქონე სუბიექტი. ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ო. ყ-ი 2010 წლის 24 სექტემბრიდან მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტაში“ და იღებდა ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-

ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო ო. ყ-ს 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის გაცემა. მან 2016 წლის 19 ივლისს განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილებას და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზედაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების 2016 წლის 8 აგვისტოს გადანყვეტილებით უარი ეთქვა. უარის საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ ო. ყ-ი მუშაობდა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტაში“, სადაც საქმიანობა ითვლებოდა საჯარო სამსახურში საქმიანობად, აღნიშნული გარემოება გამორიცხავდა პარალელურად სახელმწიფო პენსიის მიღებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, ბათილად არის ცნობილი „სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-54/16 გადანყვეტილება, თუმცა აღნიშნულით არ დგინდება სახელმწიფო პენსიის შეწყვეტიდან – 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ო. ყ-ისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძვლის არსებობა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. იმავე დათქმას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესები“. მოსარჩელეს 2016 წლამდე არ წარუდგენია პრეტენზია 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილ პენსიასთან დაკავშირებით. მოსარჩელე არ უარყოფს, რომ პენსიის შეწყვეტა მისთვის ცნობილი იყო, მას 2013 წლის 1 დეკემბრიდან არ ერიცხებოდა საპენსიო თანხა, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, მას პენსიის შეწყვეტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილ ერთთვიან ვადაში არ გაუსაჩივრებია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება. ო. ყ-ს არ მიუმართავს ზემდგომი ორგანოსათვის ადმინისტრაციული საჩივრით, არ აღუძრავს სასამართლოში სარჩელი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახ-

მად, აქტის ბათილად ცნობაზე უფლებამოსილი სუბიექტებია უშუალოდ აქტის გამომცემი ორგანო, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო. განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება, რომ 2016 წლის ივლისის თვემდე ო. ყ-მა პენსიის შეწყვეტა ანუ მისი უფლებების ხელყოფა რაიმე ფორმით სადავოდ გახადა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსიის დანიშვნაზე გადაწყვეტილება მიიღება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით და „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით. პენსიის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე საფუძვლით პენსიის დანიშვნა არ ნიშნავს პენსიის აღდგენას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, პენსიის განახლება დასაშვებია პენსიის შეჩერების შემთხვევაში. შეჩერებული პენსიის განახლება მოხდება პენსიის მიმღები პირის მიერ სააგენტოში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, ხოლო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშვნა.

პენსიის აღდგენას და ასევე გასული პერიოდისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა თავისი არსით შესაძლოა მიჩნეულ იქნეს პენსიის შეჩერებად (სუს 02.07.2015წ. №ბს-77-75(კ-15) გადაწყვეტილება). რაც შეეხება განსახილველ დავას, პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მოცემულ შემთხვევაში არ გასაჩივრებულა, არ დადგენილა მისი უკანონობა. მოსარჩელემ მოითხოვა მხოლოდ სააგენტოს 2016 წლის 8 აგვისტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. მოცემულ შემთხვევაში, უკანონოდ არის ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-54/16 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ო. ყ-ს უარი ეთქვა სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნაზე; მას არ გაუსაჩივრებია გადაწყვეტილება, რომლითაც ო. ყ-ს 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის მიღება, შესაბამისად, არ არსებობს მოსარჩელის სასარგებლოდ

2013 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ზიანად მიჩნევის და მისი მოსარჩელისათვის ანაზღაურების პირობა. მოცემული დავის საგანია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-54/16 გადაწყვეტილების კანონიერება. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით სასამართლომ ბათილად ცნო მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა და მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება იმ პერიოდისთვის, როდესაც მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ.: პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა ხდება პენსიის დანიშვნის შესახებ პირის განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე. ასევეა პენსიის შეწყვეტის შემთხვევაშიც. შეწყვეტის შედეგების აღმოფხვრა, სახელმწიფო პენსიის გაცემის აღდგენა საჭიროებდა პენსიის შეწყვეტის გასაჩივრებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება პენსიის აღდგენის შესახებ არ არის დასაბუთებული, ვინაიდან პენსიის შეწყვეტის შემდეგ ხდება არა პენსიის განახლება, არამედ ხელახალი დანიშვნა, შეწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ო. ყ-მა მოიპოვა პენსიის მიღების უფლება მიმართვის, კერძოდ, 2016 წლის 19 ივლისის მომდევნო თვიდან და არა 2013 წლის 1 დეკემბრიდან. ამდენად, 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის სახით თანხის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება მითითებულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს მიერ 20.07.2017წ. №ბს-481-478(2კ-17) საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება ო. ყ-ისათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ო. ყ-ის სარჩელი 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ო. ყ-ისათვის სახელმწიფო გასაცემლის (პენსია) 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე აღდგენა და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ო. ყ-ის სარჩელი 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის
სამართლებრივი საფუძვლები**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-798(კ-18)

27 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების და-
ვალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 15 მარტს ნ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს
მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, მას სახელმწიფო პენსია დაენიშნა
2011 წლის 1 მარტიდან, რომელიც ერიცხებოდა სს „...ში“ გახსნილ
საბანკო ანგარიშზე. მისთვის ცნობილი არ იყო ის გარემოება, რომ
კუთვნილი საპენსიო თანხა ყოველთვიურად უნდა გაეტანა. აღნიშ-
ნულს ფიზიკურადაც ვერ შეძლებდა, ვინაიდან მოსარჩელის საც-
ხოვრებელი ადგილი იყო შუახევი, სოფელი ..., სადაც არ ფუნქციო-
ნირებდა კომერციული ბანკები. ამასთან, მისი ჯანმრთელობის
მდგომარეობა მძიმე იყო.

მოსარჩელის განმარტებით, მას კუთვნილი სახელმწიფო პენ-
სია არ მიუღია 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის
ჩათვლით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნ. ბ-ემ 2016 წლის 2 თე-
ბერვალს განცხადებით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა მიუღე-
ბელი პენსიის შესახებ ინფორმაციის გაცემა, ასევე მოითხოვა მის-
თვის გაუცემელი საპენსიო თანხების ანაზღაურება. 2016 წლის 16
თებერვალს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გა-
იცა №04/12461 აქტი, რომლითაც განემარტა, რომ არ არსებობდა
ნ. ბ-ისათვის 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის
ჩათვლით საპენსიო თანხის ანაზღაურების სამართლებრივი სა-
ფუძველი.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 მომართვის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მოსარჩელის კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით, სრულად ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 წერილი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელის კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით, მოსარჩელე ნ. ბ-ისათვის სრულად ანაზღაურება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ბ-ეს სახელმწიფო პენსია დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, თვეში 84 ლარის (80 ლარი სახელმწიფო პენსია, 4 ლარი შრომის სტაჟის დანამატი) ოდენობით. 2012 წლის 1 იანვრიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მას შეუჩერდა სახელმწიფო პენსია, სს „...ის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, „ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ბენეფიციარის მხრიდან სახელმწიფო გასაცემლის მიუღებლობის გამო“. ნ. ბ-ემ განყოფილებას სახელმწიფო პენსიის განახლების მოთხოვნით განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის დარიცხვა განახლდა 2014 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო მიუღებელი გასული პერიოდის სახელმწიფო პენსია, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე, დაერიცხა 832 ლარის ოდენობით, სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

დადგენილია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 წერილის თანახმად, ნ. ბ-ის წარმომადგენელს – რ. ფ-ეს მისი 2016 წლის 2 თებერვლის №10219 წერილის პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორცი-

ელებული ცვლილებებიდან გამომდინარე (მუხლი 12), იმ პირთათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საპენსიო პაკეტი ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა საპენსიო პაკეტით განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთანავე აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) საპენსიო თანხების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნია.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც არეგულირებდა პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავდა პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენდა პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განმარტებული იყო კომპეტენტური ორგანოს ცნება. კერძოდ, კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს მიზნები იყო მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა, ხოლო მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ფუნქციებს და უფლებამოსილებებს – „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით, ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციე-

ლება წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანი იყო საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია და სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის (შემდგომ – პენსია) დანება არსებული რესურსების ფარგლებში. ამავე კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებდა პენსიის შეჩერება/განახლების საფუძვლებს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეჩერდებოდა ამ საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავდა პენსიის შეწყვეტის საფუძვლებს, კერძოდ, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდებოდა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ იყო განსაზღვრული: ა) პირადი გაცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარებოდა თავისი უფლების აღკვეთის აღსრულება – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობდა.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კანონმდებლობა პენსიის შესახებ შედგებოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მათ საფუძველზე მოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/წ ბრძანება „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ დანართი №1 მე-8 მუხლით განსაზღვრული იყო პენსიის შეჩერება/განახლების საფუძვლები, კერძოდ, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსია შეჩერდებოდა პენსიონერის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის შემთხვევაში, ანუ როდესაც არ ხდებოდა მისი კუთ-

ვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ბ-ეს სახელმწიფო პენსია საპენსიო ასაკის გამო დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, რომელიც შეუჩერდა 2012 წლის 1 იანვრიდან ზედიზედ 6 თვის განმავლობაში სახელმწიფო გასაცემელის მიუღებლობის გამო. ასევე, დადგენილია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 წერილით, ნ. ბ-ის წარმომადგენელს – რ. ფ-ეს მისი 2016 წლის 2 თებერვლის №10219 წერილის პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე (მუხლი 12), იმ პირობების, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლებოდა შეწყვეტილად და აუნაზღაურდებოდათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საპენსიო პაკეტი ინიშნებოდა განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა „საპენსიო პაკეტით“ განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთან, აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით. ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) საპენსიო თანხების ანაზღაურების მოთხოვნაზე უარი ეთქვა, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მოტივით.

საქმის მასალებით დადგენილია და მოსარჩელეც არ ხდოდა სადავოდ იმ გარემოებას, რომ მას არ მიუმართავს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი მომსახურების ცენტრისათვის ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფო პენსიის მიღების მოთხოვნით და მიმართა 2014 წლის 6 იანვარს, რაც „სახელ-

მნიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე არ ქმნიდა მისთვის სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან, მხოლოდ ის გარემოება, რომ პირის მიერ საბანკო ანგარიშიდან ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში არ ხდებოდა თანხის გატანა, არ შეიძლებოდა გამხდარიყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, გარკვეული პერიოდით პირისათვის კანონით მინიჭებული უფლების – სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების ნართმევის საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ამგვარი შემთხვევებისათვის სპეციალური ვადას აწესებდა, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, პენსია შეწყდებოდა პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავდა ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ადგილს საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგად წესებს. აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების იურიდიული ძალა განისაზღვრებოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ ორგანოთა (თანამდებობის პირთა) იერარქიის შესაბამისად. ამავე კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლებოდა გამოცემულიყო მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა ყოფილიყო, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი უპირატესი იურიდიული ძალით სარ-

გებლობდა „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებასთან მიმართებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე ნ. ბ-ეს სახელმწიფო პენსია დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, თვეში 84 ლარის ოდენობით. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სს „...ის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, „ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ბენეფიციარის მხრიდან სახელმწიფო გასაცემლის მიუღებლობის გამო“, ნ. ბ-ეს 2012 წლის 1 იანვრიდან შეუჩერდა სახელმწიფო პენსიის გაცემა. სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის განყოფილებას ნ. ბ-ემ სახელმწიფო პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს, რის საფუძველზეც მის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის დარიცხვა განახლდა 2014 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო მიუღებელი გასული პერიოდის სახელმწიფო პენსია დაერიცხა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდზე, რის შედეგადაც მიუღებელი გასაცემლის თანხამ შეადგინა 832 ლარი. 2016 წლის 2 თებერვალს ნ. ბ-ის წარმომადგენელმა №10219 ნერილით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით, სრულად ანაზღაურება. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 მიმართვით განმცხადებელს ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო

პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე (მუხლი 12), იმ პირობისათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საპენსიო პაკეტი ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა საპენსიო პაკეტით განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთანავე აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღლებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით, რის გამოც ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) საპენსიო თანხების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სარჩელით მოთხოვნილია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 მომართვის ბათილად ცნობა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის განყოფილებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით ანაზღაურების დაკისრება (მოთხოვნა მითითებულ ნაწილში დაზუსტდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე).

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების არსებობის თაობაზე ემყარებოდა შესაბამისი სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების არასწორ განმარტებას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პენსიონერს უფლება ჰქონდა: ა) მიეღო პენსია საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით; ბ) დამატებით მიეღო სოციალური დახმარებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; გ) ესარგებლა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. იმავე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული იყო სახელმწიფო პენსიის შეჩერების საფუძველები. აღნიშნული კანონის (2012 წლის 1 სექტემბრამდე რედაქციით) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავდა, რომ პენსიის გაცემა შეჩერდებოდა საქართველოს მოქალაქის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პენსიის გაცემის შეჩერების ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი გაცემა განახლდებოდა პენსიონერის მიერ კომპეტენტურ ორგანოში პენსიის გაცემის განახლების თაობაზე განცხადების შეტანის თვის მომდევნო თვეს და ანაზღაურდებოდა მის მიერ მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის გაცემის შეჩერების დღიდან. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2012 წლის 22 ივნისის №6550 კანონით შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც 2012 წლის 1 სექტემბრიდან მითითებული კანონის მე-16 მუხლი ამოქმედდა შემდეგი რედაქციით: პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეჩერდებოდა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან: ა) პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას; ბ) პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას. პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) განახლდებოდა მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდებოდა მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან: ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პენსიონერის მიერ კომპეტენტური ორგანოსთვის პენსიის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ; ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების“ (2012 წლის 1 სექტემბრამდე რედაქციით) მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მიზნებისათვის 2012 წლის 1 სექტემბრამდე დანიშნული შესაბამისი წლის სახელ-

მნიფო ბიუჯეტის კანონის „საპენსიო უზრუნველყოფისა“ და „სოციალური დაცვის“ პროგრამული კოდეზით დაფინანსებული რაიმე სახის ყოველთვიური ფულადი გასაცემლების (გარდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიისა, სახელმნიფო კომპენსაციისა, საარსებო, რეინტეგრაციის, დევილთა და ლტოლვილთა შემწეობისა) ჯამური ოდენობის გამოთვლისას, აგრეთვე, გათვალისწინებული იქნეს ყველა ის გასაცემელი (გარდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიისა, სახელმნიფო კომპენსაციისა, საარსებო, რეინტეგრაციის, დევილთა და ლტოლვილთა შემწეობისა), რომლის გაცემაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეჩერებულია არა უმეტეს 6 თვის განმავლობაში. ამ შემთხვევაში „საპენსიო პაკეტი“ ფულადი გასაცემლის სახით შეჩერებულად ითვლება და თუ განახლება არ განხორციელდა 2013 წლის 1 იანვრამდე, მაშინ პენსია შეწყდება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №48/ნ ბრძანების „სახელმნიფო პენსიის, სახელმნიფო კომპენსაციისა და სახელმნიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: გარდამავალ ეტაპზე, გასული პერიოდის მიუღებელი თანხა ანაზღაურდება შემდეგი სახით: იმ პირთათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს სააგენტოს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. სააპელაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული მუხლის დანაწესს და აღნიშნავს, რომ ნ. ბ-ეს სახელმნიფო პენსიის გაცემა შეუჩერდა 2012 წლის 1 იანვრიდან. ნ. ბ-ემ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახევის განყოფილებას სახელმნიფო პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს, ანუ 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, რის შედეგადაც მასზე გაიცა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდზე მიუღებელი გასაცემელი და გასაცემლის დარიცხვა განახლდა 2014 წლის 1 თებერვლიდან, რაც სრულად შეესაბამებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმნიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმნიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების შესახებ“ (ამ პერიოდისათვის მოქმედი რედაქციით) მე-12 მუხ-

ლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების არსებობის თაობაზე, რამდენადაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი შეჩერებული პენსიის განახლების პირობებში დასაშვებად თვლიდა არა უმეტეს ერთი წლის პენსიის მიუღებელი თანხის ანაზღაურებას. ამდენად, ზემოაღნიშნული გარდამავალი დებულებების არარსებობის პირობებშიც კი, მოსარჩელის მოთხოვნა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მას ანაზღაურებული ჰქონდა მიუღებელი 9 თვიანი პერიოდი, შესაძლოა ეფუძნებოდეს მხოლოდ 3 თვის გასაცემლის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლომ აქვე გაითვალისწინა ის პრინციპი, რაც უკავშირდებოდა სახელმწიფოს უფლებას – მოეხდინა სოციალური რეგულაციების დადგენა, მათი კორექტირება, რაც დამოკიდებული და განპირობებული იყო სახელმწიფო შესაძლებლობებით და სოციალური ბალანსის დადგენის საჭიროებით და მიიჩნევდა, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი უარეყო გარდამავალი დებულებების მოთხოვნები, განემარტა, რომ ადგილი ჰქონდა პენსიის შეჩერებას და არა შეწყვეტას და სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების გზით აენაზღაურებინა თუნდაც მითითებული 3-თვიანი პერიოდი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: კასატორი – ნ. ბ-ე წარმოადგენს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტს, რომელსაც სახელმწიფო პენსია დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, თვეში 84 ლარის ოდენობით. 2012 წლის 1 იანვრიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნ-

ქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სს „...ის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მას შეუჩერდა სახელმწიფო პენსია „ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ბენეფიციარის მხრიდან სახელმწიფო გასაცემლის მიუღებლობის გამო“. ნ. ბ-ემ ადმინისტრაციულ ორგანოს სახელმწიფო პენსიის განახლების მოთხოვნით, განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის დარიცხვა, „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განახლდა 2014 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო მიუღებელი გასული პერიოდის სახელმწიფო პენსია დაერიცხა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე – 832 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 წერილზე, რომლის თანახმად, ნ. ბ-ის წარმომადგენელს – რ. ფ-ეს მისი 2016 წლის 2 თებერვლის №10219 წერილის პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, იმ პირთათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდება მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ საპენსიო პაკეტი ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა „საპენსიო პაკეტით“ განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთანავე, აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) საპენსიო თანხების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძ-

ველი სააგენტოს არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 წერილის კანონიერების დადგენა წარმოადგენდა. სადავო აქტის გაუქმებას მოსარჩელე ითხოვდა იმ საფუძველით, რომ პენსიის შეწყვეტა მოხდა უკანონოდ. სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთთან გააიგივა პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ამის თაობაზე არ მიუღია რაიმე ადმინისტრაციული აქტი. შესაბამისად, პენსიის შეჩერებაც იყო უკანონო, რაც, კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის პირველი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულ პირთა მიერ სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულია იღებს უზრუნველყოფის ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება დიდხანს. მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გამოიხატება ადეკვატური სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშნის, გაცემის, შე-

ჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად წესებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაოობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია და ა.შ. პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები რეგულირდება ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშნისა და გაცემის წესით“.

საკაცადგო სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს პენსიის შეჩერება/განახლების საფუძვლებს. კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირის მიერ პენსიის ზედზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეჩერდება ამ საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამავე კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულია პენსიის შეწყვეტის წესი და პირობები, კერძოდ, პირველი პუნქტის თანახმად, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლით სხვა რამ არ არის განსაზღვრული: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს პენსიის გაცემის შეწყვეტის ვალდებულებას შეჩერებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ. შეჩერებული პენსიის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან პენსია განახლება და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან. პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვეტიდან პენსიის ხელახლა

დანიშვნამდე სახელმწიფო გასაცემელი არ ანაზღაურდება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება ნ. ბ-ის პენსიის შეჩერების, ასევე პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები. მოსაზრება იმის შესახებ, რომ პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო ფაქტობრივი გარემოებები, რომ ნ. ბ-ეს ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსია არ მიუღია, თავისთავად გამოიწვევდა დამდგარ შედეგს, კერძოდ, სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერებას, ხოლო შემდეგ შეწყვეტას, არ ადასტურებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პენსიის მიღების უფლების მქონე პირთა წრეს, მისი შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლებს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერება-შეწყვეტის საფუძვლები წარმოადგენენ კონკრეტული პირის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პირობას და არა თავად ინდივიდუალურ აქტებს. ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის დანაწესის თანახმად, პენსია შეჩერდება კანონით გათვალისწინებული შეჩერების ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, არ ნიშნავს იმას, რომ კანონით გათვალისწინებული შეჩერების საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფო პენსიის შეჩერების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროება.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-365-360(კ-16)), რომლის თანახმად, განიმარტა, რომ „სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობის არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ. პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, ასეთ შემთხვევაში მოქალაქის განცხადების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება, რომლის შედეგადაც, თუ მოქალაქის ფაქტობრივი მდგომარეობა შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ მოთხოვნებს და განცხადებას ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტი, საჯარო დაწესებულება ახდენს პენსიის დანიშ-

ვნის შესახებ მოქალაქის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, ე.ი. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი არის პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა, პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის მიმართვა, აქტის გამოცემა“.

„ამდენად, სახელმწიფო გასაცემელთან დაკავშირებით ურთიერთობის შინაარსის კონკრეტულად განსაზღვრა ხდება ინდივიდუალური აქტის გამოცემით. კანონი განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არსებობისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ჩაებას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონით განსაზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მოწესრიგება საჭიროებს მისი კონკრეტულ-ინდივიდუალური შემთხვევისადმი მისადაგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეშვეობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის არის კანონის მოთხოვნების ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ პირებზე გავრცელების საშუალება. სახელმწიფო ხელისუფლება კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად თავისი საქმიანობით უშუალოდ კი არ უპირისპირდება მოქალაქეს, არამედ გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც მიიღება კონკრეტული ზომა, როგორც სამართლიანი, განსაზღვრული და სავალდებულო ძალის მქონე ქმედება. სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქმნის აქტის ამოქმედების შემდგომ მისი თვითაღსრულების პირობას. აღნიშნულში ვლინდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებით სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს შესაძლებლობას პირის ნების სანინააღმდეგოდ, მის ხელთ არსებული კანონით დადგენილი აღსრულების საშუალებების გამოყენებით აღასრულოს აქტი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების სამართლებრივი ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ ის არის აღსრულების დაწყების აუცილებელი წინაპირობა“.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირის უფლებებისა და მოვალეობების დაწესების, შეცვლის, შეწყვეტის ან დადასტურებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, გამოცემა და აღსრულება, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტა უკავშირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარებას, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აქტის გა-

მოცემის პროცესში დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი, მოცემულ შემთხვევაში, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები, როგორცაა წარმოებაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა, საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და სხვ. საქმის მასალებში არ მოიპოვება ნ. ბ-ის პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები. ასევე არ დასტურდება მათი ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტი, რაც სააპელაციო პალატის მიერ არ შეფასებულა, თუმცა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს საფუძვლად დაედო სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე დადგენილი, ნ. ბ-ის მიერ ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის უდავო ფაქტობრივი გარემოება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები არ ადასტურებდა სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის მართლობიერებას. სააპელაციო პალატის მიერ საქმის ხელახლა განხილვისას, მნიშვნელოვანი იყო, ასევე, შეფასებულიყო ის გარემოებები, რომ პენსიონერი ნ. ბ-ე ცხოვრობს შუახევის რაიონში, სოფელ ..., სადაც არ ფუნქციონირებს ბანკების ფილიალები და ბანკომატები. აღნიშნული სოფელი დაბა შუახევიდან დაშორებულია 32 კმ-ით. ნ. ბ-ე დაავადებულია და გადის მკურნალობის კურსს, რის გამოც ვერ ახერხებდა თანხების ანგარიშიდან განაღდებას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი ოქმის თანახმად, ყოველ პირს აქვს მისი საკუთრების პატივისცემის უფლება. პენსიის მოთხოვნა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრებად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 18.11.2004წ. დადგენილება საქმეზე „პრავედნაია რუსეთის წინააღმდეგ“). პენსია სოციალური უზრუნველყოფის განსხვავებული ტიპის ბენეფიტია, ის წარმოიშობა უფლების საფუძველზე, მიუხედავად პირის ქონებრივი მდგომარეობისა. განსახილველ შემთხვევაში ნ. ბ-ეს როგორც პენსიონერს, პენსიის პერიოდული მიღების უფლება სამისდღემშიოდ, მოპოვებული ჰქონდა ასაკის გამო. საქმეზე „სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პრეცედენტულ სამართალში შენატანების საფუძველზე უზრუნველყოფილი დახმარებების საქმეები გაიმიჯნა იმ საქმეებისაგან, რომლებიც შენატანებთან არ იყო დაკავშირებული. ახალი მიდგომის თანახმად, თუ მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს სოციალური კეთილდღეობის დახმარებას – შენატანების წინასწარი გადახდის ან გადაუხდელობის პირობით, ასეთი კანონმდებლობა განხილული უნდა იქნეს, როგორც მესაკუთრის ინტერესის წარმომშობი, რაც პირ-

ველი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში ექცევა მათთვის, ვინც ამ კანონმდებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში მრავალი ადამიანი, სრულიად ან ნაწილობრივ, სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებული. მრავალი შიდასახელმწიფოებრივი სისტემა აღიარებს, რომ ასეთ პირებს სჭირდებათ საიმედოობის და უსაფრთხოების გარკვეული ხარისხი. აქედან გამომდინარე, სოციალური დახმარება განიხილება, როგორც უფლება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ბ-ეს კანონით აქვს მინიჭებული სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება, რომელიც სრულად ვერ იქნა რეალიზებული.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოებების დადგენა, მოცემულ შემთხვევაში რამდენად კანონიერი იყო ნ. ბ-ისათვის პენსიის შეჩერება და შეწყვეტა იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ასეთი გადაწყვეტილებების მიღების ფაქტი. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო პალატას ზემოაღნიშნულ გარემოებათა დადგენის შემთხვევაში უნდა ემსჯელა ნ. ბ-ისათვის პენსიის სრულად ანაზღაურების საკითხზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, გაუქმებულიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებოდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-

ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი იყო უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, სს „...ის“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, „ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ბენეფიციარის მხრიდან სახელმწიფო გასაცემლის მიუღებლობის გამო“, ნ. ბ-ეს 2012 წლის 1 იანვრიდან შეუჩერდა სახელმწიფო პენსიის გაცემა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების არსებობის თაობაზე, ემყარებოდა შესაბამისი სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების სწორ განმარტებას.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პენსიონერს უფლება აქვს: ა) მიიღოს პენსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ბ) დამატებით მიიღოს სოციალური დახმარებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; გ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

იმავე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულია სახელმწიფო პენსიის შეჩერების საფუძვლები. დასახელებული კანონის (2012 წლის 1 სექტემბრამდე რედაქციით) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავდა – პენსიის გაცემა შეჩერდება საქართველოს მოქალაქის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პენსიის გაცემის შეჩერების ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი გაცემა განახლდება პენსიონერის მიერ კომპეტენტურ ორგანოში პენსიის გაცემის განახლების თაობაზე განცხადების შეტანის თვის მომდევნო თვეს და ანაზღაურდება მის მიერ მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერ-

თი წლისა პენსიის გაცემის შეჩერების დღიდან.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2012 წლის 22 ივნისის №6550 კანონით შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც 2012 წლის 1 სექტემბრიდან მითითებული კანონის მე-16 მუხლი ამოქმედდა შემდეგი რედაქციით: პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან: ა) პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას; ბ) პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას. პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) განახლება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან: ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პენსიონერის მიერ კომპეტენტური ორგანოსთვის პენსიის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ; ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას.

რაც შეეხება პენსიის შეწყვეტის საფუძვლებს, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული განსაზღვრულია „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით, რომლის პირველი პუნქტი ადგენს: პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ნ. ბ.-ისათვის 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსიის შეწყვეტის საფუძველი იქცა არა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრული საფუძველი, არამედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 07 აგვისტოს №48/ნ ბრძანება „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწი-

ფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განისაზღვრა, რომ გარდამავალ ეტაპზე, გასული პერიოდის მიუღებელი თანხა ანაზღაურდება შემდეგი სახით: იმ პირთათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს სააგენტოს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რომლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებასთან მიმართებით სარგებლობს უპირატესი იურიდიული ძალით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რამდენადაც სახეზე არ იყო „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრული პენსიის შეწყვეტის საფუძველი, პენსიის შეწყვეტა უნდა ჩათვლილიყო კანონშეუსაბამოდ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩენილიყო უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას მიიჩნევს უკანონოდ და დაუსაბუთებლად, ვინაიდან საქართველოს შრომის, ჯან-

მრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დაწესებისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე (მუხლი 12), იმ პირობების, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არაუმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საპენსიო პაკეტი ინიშნება განაცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

კასატორი მიუთითებს, რომ ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განაცხადებით 2014 წლის 6 იანვარს მიმართა. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა „საპენსიო პაკეტით“ განსაზღვრული ფულადი გასაცემელი 150 ლარის ოდენობით, ამასთანავე, აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი 832 ლარის ოდენობით.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს 2014 წლამდე არ მიუმართავს სასამართლოსთვის 2012 წლის 1 სექტემბრიდან შეწყვეტილი პენსიის ანაზღაურების თაობაზე.

კასატორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნავს, რომ ხსენებული მუხლი ყველას აძლევს გარანტირებულ უფლებას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ამდენად, კასატორი განმარტავს, რომ მოსარჩელეს ჰქონდა უფლება, კანონით დადგენილ ვადაში და წესით მიემართა სასამართლოსთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის ბათილად ცნობის ან/და ქმედების განხორციელების დავა-
ლების თაობაზე, რომელიც მოსარჩელის მხრიდან არ განხორციე-
ლებულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს არ გააჩ-
ნდა სამართლებრივი საფუძველი, ემსჯელა იმ წლებზე, რომელიც
2012-2014 წლების გასაცემლის გადაანგარიშებას ეხება, ვინაიდან
მოთხოვნა ხანდაზმულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2018 წლის 6 ივლისის განჩინებით საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-
ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქ-
ნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასა-
ციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2018 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სოცია-
ლური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა
დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გა-
რეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გა-
საჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის
შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ სოციალური მომსახურე-
ბის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და
უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩი-
ნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ
შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ნ. ბ-ეს სახელმწიფო პენსია
დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, თვეში 84 ლარის (80 ლარი სა-
ხელმწიფო პენსია, 4 ლარი შრომის სტაჟის დანამატი) ოდენობით.
2012 წლის 1 იანვრიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის
მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მას
შეუჩერდა სახელმწიფო პენსია, სს „...ის“ მიერ მიწოდებული ინ-
ფორმაციის საფუძველზე, „ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ბენე-
ფიციარის მხრიდან სახელმწიფო გასაცემლის მიუღებლობის გა-
მო“. ნ. ბ-ემ განყოფილებას სახელმწიფო პენსიის განახლების მოთ-
ხოვნით განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მის მიმართ
სახელმწიფო გასაცემლის დარიცხვა განახლდა 2014 წლის 1 თე-
ბერვილიდან, ხოლო მიუღებელი გასული პერიოდის სახელმწიფო
პენსია, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე, დაე-
რიცხა 832 ლარის ოდენობით, სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და

გაცემის წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 წერილის თანახმად, ნ. ბ-ის წარმომადგენელს – რ. ფ. ეს მისი 2016 წლის 2 თებერვლის №10219 წერილის პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/6 ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე (მუხლი 12), იმ პირობების, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არაუმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საპენსიო პაკეტი ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა საპენსიო პაკეტით განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთანავე აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) საპენსიო თანხების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 მომართვის კანონიერება და მოპასუხისათვის მოსარჩელის კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით, სრულად ანაზღაურების დაკისრება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პი-

რის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის პირველი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულ პირთა მიერ სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულებას იღებს უზრუნველყონ ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება დიდხანს. მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გამოიხატება ადეკვატური სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულ პირთა სოციალური უფლებების მიმართ სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, არა მხოლოდ აღიაროს აღნიშნულ პირთა სოციალური უფლებების არსებობა, არამედ საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული ქმედითი ეროვნული კანონმდებლობის შექმნისა და არსებულის დახვეწის გზით, აგრეთვე, უზრუნველყოს ხსენებულ უფლებათა რეალიზებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელო-

ბის მქონე სამართლებრივი გარანტიების შექმნა. პოზიტიურ ჭრილში, სახელმწიფო, ასევე, ვალდებულია, დასახელებული ვალდებულებების ზედმიწევნითი განხორციელებით მოახდინოს ხანდაზმულ პირთა სოციალური უფლებების ეფექტური დაცვა და შეამციროს მათი ხელყოფის რისკები. ამასთან, პენსიის მიღების უფლების საჯარო-სამართლებრივი შინაარსის გათვალისწინებით, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას სახელმწიფოს მიერ პენსიის გაცემის შემხვედრი ვალდებულებით აღჭურვილ, სახელმწიფოს სოციალურ უფლებათა მიმართ წარმოეშობა ნეგატიური ვალდებულებაც – საპენსიო სისტემის ფორმირების შედეგად ნაკისრი ვალდებულებების განუხორციელებლობით თავად არ ხელყოს ხანდაზმულ პირთა სოციალური გარანტიები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის სამართლებრივ წინაპირობებსა და საფუძვლებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად წესებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია და ა.შ. პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები რეგულირდება, ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესით“.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს პენსიის უფლების წარმოშობის წინაპირობებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. ამავ კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე, პენსიის დანიშვნის აუცილებელი წინაპირობაა პენსიის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა, კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მიხედვით, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება კომპეტენტურ ორგანოს. პენსიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა, საპენსიო დოკუმენტაციის წარმოების, აგრეთვე პენსიის დანიშვნის წესი და

პირობები განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

ამასთან, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულია პენსიის შეჩერებისა და განახლების საფუძვლებიც, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეჩერდება შესაბამისი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას. იმავე შინაარსის დანაწესს ითვალისწინებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, პენსია შეჩერდება ქვემოთ მითითებული საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან პენსიონერის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის დროს, ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ითვალისწინებს პენსიის შეწყვეტის საფუძვლებს, კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსია შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია პენსიის შეჩერების ფაქტთან დაკავშირებული შეწყვეტის საფუძველი, კერძოდ, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება შესაბამისი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან პენსიის შეჩერების დღი-

დან 3 წლის გასვლის შემდგომ.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს, რომ ნ. ბ-ეს 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით საპენსიო თანხების ანაზღაურებაზე უარი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე (მუხლი 12) ეთქვა, კერძოდ, მოსარჩელეს ეცნობა, რომ იმ პირთათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არაუმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საპენსიო პაკეტი ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა საპენსიო პაკეტით განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთანავე აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) საპენსიო თანხების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, გარდამავალ ეტაპზე, გასული პერიოდის მიუღებელი თანხა ანაზღაურდება შემდეგი წესით: იმ პირთათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს სააგენტოს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1

სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემ-
ლები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის შეწყვეტის ზემოხსენებული კანონქვემდებარე აქტის გარდამავალი დებულებით (მე-12 მუხლი) გათვალისწინებული დანაწესი აფართოვებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ პენსიის შეწყვეტის საფუძვლებს. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, სხვა საფუძვლით პენსიის შეწყვეტა დასაშვებია, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს. ამავე შინაარსის დათქმას ითვალისწინებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პენსია შეწყდება შესაბამისი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სხვა საფუძვლით, თუ ის გამომდინარეობს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან.

ამდენად, კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ზემოხსენებული დანაწესთა შესაბამისად, პენსიის შეწყვეტის კონკრეტულად განსაზღვრული საფუძვლების გაფართოვება, ანუ სხვა საფუძვლით პენსიის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში დასაშვებია, თუ აღნიშნული საფუძველი სწორედ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის დათქმებს უკავშირდება და მათგან გამომდინარეობს. შესაბამისად, დასახელებული კანონის დათქმებთან კავშირის არსებობა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით გაუთვალისწინებელი, თუმცა კანონქვემდებარე აქტით დადგენილი პენსიის შეწყვეტის საფუძვლისათვის არსებით სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს, რომლის დაცულობის პირობებშიც, კანონქვემდებარე დანაწესები კანონის დანაწესების შემავსებელი ფუნქციით აღიჭურვება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში კი, კანონითა და კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებული კონკრეტული დათქმები წინააღმდეგობრივად მიიჩნევა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მსგავსი შინაარსის დანაწესს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი არ შე-

იცავს, ამავე დროს, ამგვარი შინაარსი არ გამომდინარეობს არც აღნიშნული კანონით გათვალისწინებული რომელიმე დებულებიდან, რაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პენსიის შეწყვეტის საფუძვლებსა და კანონქვემდებარე აქტის ზემოხსენებულ დანაწესს შორის წინააღმდეგობის არსებობას ადასტურებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რომლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას მასზე, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნვისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებასთან მიმართებით სარგებლობს უპირატესი იურიდიული ძალით, და რამდენადაც სახეზე არ იყო „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრული პენსიის შეწყვეტის საფუძველი, არ არსებობდა ნ. ბ-ისათვის პენსიის შეწყვეტის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებისას სააპელაციო სასამართლომ სრულად არ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით განსაზღვრული, მის მიერ მხედველობაში მისაღები გარემოებები, კერძოდ, მართალია სააპელაციო სასამართლომ პენსიის შეჩერება-შეწყვეტის კანონიერება განიხილა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების შესაბამისი ნორმატიული საფუძვლების არსებობა-არარსებობასთან მიმართებით, თუმცა მას აღნიშნული საკითხები არ შეუფასებია იმ კუთხით, თუ რამდენად კანონიერი იყო ნ. ბ-ისათვის პენსიის შეჩერება და შეწყვეტა იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ასეთი გადაწყვეტილებების მიღების ფაქტი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს თავად იმსჯელოს ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებით მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება ნ. ბ-ის პენსიის შეჩერების, ასევე პენ-

სიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები. ამგვარი გადაწყვეტილებების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და მათი აღრესატისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის გარეშე, პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული საფუძვლების სახით პენსიონერის მიმართ ფაქტობრივი გარემოებების წარმოშობა დამოუკიდებლად ვერ განაპირობებს პენსიონერის მიმართ სამართლებრივი შედეგის – პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის დადგომას. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებებს საფუძვლად კანონით გათვალისწინებული ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის ფაქტი დაედო, რაც თავისთავად გამოიწვევდა დამდგარ შედეგს – სახელმწიფო პენსიის შეჩერებას, ხოლო შემდეგ შეწყვეტას, არ შეიძლება განხილულ იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერად მიჩნევის საკმარის სამართლებრივ საფუძვლად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პენსიის მიღების უფლების მქონე პირთა წრეს, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლებს. კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერება-შეწყვეტის საფუძვლები წარმოადგენენ კონკრეტული პირის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წინაპირობას და არა თავად ინდივიდუალურ აქტებს. ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის დანაწესის თანახმად, პენსია შეჩერდება კანონით გათვალისწინებული შეჩერების ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, არ ნიშნავს იმას, რომ კანონით გათვალისწინებული შეჩერების საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფო პენსიის შეჩერების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-365-360(კ-16)), რომლის თანახმად, განიმარტა, რომ „სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობის არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ, პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშნვას, ასეთ

შემთხვევაში მოქალაქის განცხადების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება, რომლის შედეგადაც, თუ მოქალაქის ფაქტობრივი მდგომარეობა შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ მოთხოვნებს და განცხადებას ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტი, საჯარო დანესებულება ახდენს პენსიის დანიშვნის შესახებ მოქალაქის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, ე.ი. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი არის პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა, პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის მიმართვა, აქტის გამოცემა“.

„ამდენად, სახელმწიფო გასაცემელთან დაკავშირებით ურთიერთობის შინაარსის კონკრეტულად განსაზღვრა ხდება ინდივიდუალური აქტის გამოცემით. კანონი განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არსებობისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ჩაეხდეს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონით განსაზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მოწესრიგება საჭიროებს მისი კონკრეტულ-ინდივიდუალური შემთხვევისადმი მისადაგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეშვეობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის არის კანონის მოთხოვნების ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ პირებზე გავრცელების საშუალება. სახელმწიფო ხელისუფლება კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად თავისი საქმიანობით უშუალოდ კი არ უპირისპირდება მოქალაქეს, არამედ გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც მიიღება კონკრეტული ზომა, როგორც სამართლიანი, განსაზღვრული და სავალდებულო ძალის მქონე ქმედება. სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქმნის აქტის ამოქმედების შემდგომ მისი თვითაღსრულების პირობას. აღნიშნულში ვლინდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებით სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს შესაძლებლობას პირის ნების სანადაგმდეგოდ, მის ხელთ არსებული კანონით დადგენილი აღსრულების საშუალებების გამოყენებით აღასრულოს აქტი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების სამართლებრივი ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ ის არის აღსრულების დაწყების აუცილებელი წინაპირობა“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის უფლებებისა და მოვალეობების დანესების, შეცვლის, შეწყვეტის ან დადასტურებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის მომზადება, გამოცემა და აღსრულება, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტა უკავშირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარებას, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. თავის მხრივ, პენსიონერსა და სახელმწიფოს შორის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საპენსიო ურთიერთობების წარმოშობაც სწორედ პენსიონერის მიერ განცხადების წარდგენასა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელი კანონით დადგენილი საფუძვლების გათვალისწინებით, ასეთივე საჭიროება ვლინდება საპენსიო სამართალურთიერთობების შეჩერება-შენწყვეტის მიმართაც, კერძოდ, ხსენებული საჭიროებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასა და მისი ადრესატისათვის გაცნობას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აქტის გამოცემის პროცესში დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი, მოცემულ შემთხვევაში, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები, როგორცაა წარმოებაში დანტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა, საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და სხვ. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება ნ. ბ-ის პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები, ასევე, არ დასტურდება მათი ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო გასაცემლებთან მიმართებით კანონმდებლობით განსაზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მონესრიგების კონკრეტულ-ინდივიდუალური მისადაგებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროების დადასტურების პირობებში, ასეთი აქტის არსებობა მისი აღსრულების სამართლებრივ წინაპირობად ისახება. ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე განხორციელებული კონკრეტული ქმედებების უკანონობაზე მიუთითებს. მეორე მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხანდაზმული პირის მიმართ პენსიის შეჩერებისა თუ შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ გამოცემა არ არის საკმარისი ამ პირის მიმართ წარმოშობილი შესაბამისი სა-

მართლებრივი შედეგის კანონიერად მიჩნევისათვის, რამდენადაც ასეთ დროს აქტის აღსრულების კანონიერებისათვის განმსაზღვრელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ან/და აღნიშნული აქტის აღსრულების თაობაზე მისი ადრესატის ინფორმირებულობის საკითხი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. ამავე კოდექსის 55-ე მუხლით დადგენილია, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების შესაძლებლობა მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

ზემოხსენებულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა ადრესატისათვის მის გაცნობაზეა დამოკიდებული. საგულისხმოა, რომ კანონმდებლობა ხანდაზმულ პირს არ ავალდებულებს ყოველთვისა და სახელმწიფო პენსიის მიღებას. პენსიონერს უფლება აქვს, ერთიანად აიღოს და ისარგებლოს რამდენიმე თვის გასაცემლით. ამგვარი მოცემულობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებათა გამოცემის და მათი ადრესატისათვის ჩაბარების ან კანონით გათვალისწინებული სხვაგვარი წესით გაცნობის საკითხს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება პირის სოციალური გარანტიების დაცვის კუთხით, რამდენადაც პირის ინფორმირებულობა ასეთ პირობებში არსებით გავლენას ახდენს მის მიერ სამომავლოდ განსახორციელებელ მოქმედებებზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ზემოხსენებული აქტების აღსრულების პირობებშიც, მიუღებელი საპენსიო გასაცემლების მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისათვის მნიშვნელოვანია აღსრულების შესახებ პირის ინფორმირებულობის საკითხიც, კერძოდ, ის, თუ რამდენად იცოდა პირმა ან შეიძლება სცოდნოდა მას ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება ნ. ბ-ისათვის პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებები, ამასთან, არ დასტურდება მათი მოსარჩელისათვის ჩაბარების ან სხვაგვარი გაცნობის ფაქტი. ამას-

თან, პენსიონერი ნ. ბ-ე ცხოვრობს შუახევის რაიონში, სოფელ ..., სადაც არ ფუნქციონირებს ბანკების ფილიალები და ბანკომატები. აღნიშნული სოფელი დაბა შუახევიდან დაშორებულია 32 კმ-ით. ნ. ბ-ე დაავადებულია და გადის მკურნალობის კურსს, რის გამოც ვერ ახერხებდა თანხების ანგარიშიდან განაღდებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან ნ. ბ-ისათვის პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებათა ჩაუბარებლობის პირობებში, არ იქნა დაცული საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი მოთხოვნები. მეტიც, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არც რაიმე სხვა გზით სცადა ნ. ბ-ისათვის ეცნობებინა ზემოხსენებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებას არ ითვალისწინებს, ასეთი აქტები ძალაში შედის უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარების დღიდან. ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ პენსიის შეჩერების აქტი ადმინისტრაციულ ორგანოს მხარისთვის არ გაუცვნია, არ მომხდარა მისი ძალაში შესვლა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეჩერებინა მისთვის პენსიის დარიცხვა, რომელიც კანონიერ ძალაში არ იყო შესული.

ამასთან, ასეთ ვითარებაში, პენსიის შეჩერება-შეწყვეტის აღსრულების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ ნ. ბ-ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ პენსიის გაცემის მოთხოვნაზე უარყოფითი პასუხით მიეღო, თუმცა მისი საცხოვრებელი ადგილის, ამ ადგილას ბანკის ფილიალებისა და ბანკომატების არარსებობის, ასევე, მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსარჩელეს არ გააჩნდა შესაძლებლობა პენსიის მიღების მოთხოვნით მიემართა შესაბამისი ორგანოებისათვის. ამდენად, მისი მხრიდან თანხების განაღდებას მოთხოვნის შეუძლებლობა გამორიცხავს ნ. ბ-ის ინფორმირებულობას მისთვის პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის აღსრულებადობასთან დაკავშირებით, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებულ დავაში მტკიცების ტვირთი ეკისრება არა ადრესატს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო განსახილველ შემთხვევაში, სანინააღმდეგოს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვერ ადასტურებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩე-

ლეს 2014 წლამდე არ მიუმართავს სასამართლოსთვის 2012 წლის 1 სექტემბრიდან შეწყვეტილი პენსიის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ნ. ბ-ეს მის მიმართ ამ პერიოდისათვის მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი აღსრულების შესახებ უშუალოდ კასატორისაგან ინფორმაცია არ გააჩნდა, ამასთან, იგი ზემოთ მითითებული გარემოებების გამო მოკლებული იყო შესაძლებლობას პენსიის ანგარიშიდან განაღდების მოთხოვნის წარდგენის გზით თავად მიეღო ინფორმაცია ასეთი გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე. ამგვარ ვითარებაში, დაუსაბუთებელია კასატორის მითითება ნ. ბ-ის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციაზე უარის თქმის შესახებ.

ამასთან, მართალია, საკასაციო სასამართლო იზიარებს ნ. ბ-ისათვის მიუღებელი საპენსიო გასაცემლების ანაზღაურების ოდენობასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამდგარ შედეგს, თუმცა საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს დამატებით მიუთითოს ნ. ბ-ისათვის 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით მიუღებელი პენსიის სრულად ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლებზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს პენსიის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდგომ პენსიის განახლების საფუძვლებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პენსია განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს პენსიის შეჩერების დღიდან 1 წლისა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი ოქმის თანახმად, ყოველ პირს აქვს მისი საკუთრების პატივისცემის უფლება. სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში გააჩნია შეფასების ფართო ფარგლები, რომელიც ზღუდავს საკუთრების უფლებას. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ განაცხადა: „...მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ შეუძლია, ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული შეფასება ჩაანაცვლოს თავისი შეფასებით, იგი ვალდებულია, გასაჩივრებული ზომა გადასინჯოს პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად და, ამგვარად, მოახდინოს იმ ფაქტების გამოკვლევა, რომელზედაც ეროვნული ხელი-

სუფლების ორგანოებმა თავიანთი მოქმედებების განხორციელებისას მიუთითეს“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პენსიის მოთხოვნა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრებად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 18.11.2004 წ. დადგენილება საქმეზე „პრავედნაია რუსეთის წინააღმდეგ“). როგორც წესი, უფლება პენსიაზე ექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ საკუთრების უფლების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „პრინციპები, რომელიც ვრცელდება ზოგადად კონვენციის 1-ლი მუხლის 1-ლი დამატებით ოქმთან დაკავშირებულ საქმეებში, იდენტურად რელევანტურია, როდესაც საქმე პენსიებს ეხება (ლაკიჩევიჩი და სხვები სერბეთისა და მონტენეგროს წინააღმდეგ (Lakicevic and others v. Montenegro and Serbia, para. 59)“. პენსია სოციალური უზრუნველყოფის განსხვავებული ტიპის ბენეფიციია, ის წარმოიშობა უფლების საფუძველზე, მიუხედავად პირის ქონებრივი მდგომარეობისა. განსახილველ შემთხვევაში ნ. ბ-ეს როგორც პენსიონერს, პენსიის პერიოდული მიღების უფლება სამისდღემშიოდ, მოპოვებული ჰქონდა ასაკის გამო. საქმეზე „სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პრეცედენტულ სამართალში შენატანების საფუძველზე უზრუნველყოფილი დახმარებების საქმეები გაიმიჯნა იმ საქმეებისაგან, რომლებიც შენატანებთან არ იყო დაკავშირებული. ახალი მიდგომის თანახმად, თუ მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს სოციალური კეთილდღეობის დახმარებას – შენატანების წინასწარი გადახდის ან გადაუხდელობის პირობით, ასეთი კანონმდებლობა განხილული უნდა იქნეს, როგორც მესაკუთრის ინტერესის წარმომშობი, რაც პირველი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში ექცევა მათთვის, ვინც ამ კანონმდებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში მრავალი ადამიანი, სრულიად ან ნაწილობრივ, სოციალურ დახმარებებზეა დამოკიდებული. მრავალი შიდასახელმწიფოებრივი სისტემა აღიარებს, რომ ასეთ პირებს სჭირდებათ საიმედოობის და უსაფრთხოების გარკვეული ხარისხი. აქედან გამომდინარე, სოციალური დახმარება განიხილება, როგორც უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებულ საკუთრებად მიიჩნევა. საქმეში „სპო-

რონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ „პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი მოიცავს სამ წესს. პირველი წესი, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, აცხადებს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის პრინციპს; ის გათვალისწინებულია პირველი ნაწილის პირველი წინადადებით. მეორე წესი მოიცავს ქონების ჩამორთმევას და ამ უკანასკნელს გარკვეულ პირობებს უქვემდებარებს; ის მოიპოვება იმავე ნაწილის მეორე წინადადებაში. მესამე წესი აღიარებს, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს, სხვა ზომების გარდა, გააკონტროლოს ქონების გამოყენება ზოგადი ინტერესის შესაბამისად, ისეთი კანონების მიღებით, რომელთაც ის აუცილებლად ჩათვლის ამ მიზნით; ეს წესი გათვალისწინებულია პირველი მუხლის მეორე ნაწილით“.

ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, პენსიის შემცირება ან შეწყვეტა შესაძლოა წარმოადგენდეს საკუთრების უფლებაში ჩარევას. თუმცა, როგორც წესი, სასამართლო ამგვარ ჩარევებს აფასებს არა საკუთრების ან მის გამოყენებაზე კონტროლის წართმევის კუთხით, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი წინადადების ჭრილში. შედეგად, ის ამ სახის ქმედებებს პირის მიერ მისი საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევად მოიაზრებს.

ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, საქმეზე ვიეცზორეკი პოლონეთის წინააღმდეგ (*Wieczorek v. Poland*, par. 57), სასამართლო დაადგენს, რომ „როცა სარგებლის მოცულობა მცირდება ან მისი გაცემა წყდება, ეს შესაძლოა წარმოადგენდეს ჩარევას საკუთრებაში, რაც გამართლებას საჭიროებს“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მხარეს, რომელსაც უკანონოდ შეუჩერდა ან/და შეუწყდა პენსია, წაერთვა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების რეალიზების საშუალება, რაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული ზოგადი ხასიათის პირველი წესის – საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული, ასეთ ვითარებაში, ხანდაზმულ პირს, რომლის სოციალური გარანტიების შეზღუდვით უკანონოდ განხორციელდა მისი პენსიის მიღების უფლებით გამოხატული საკუთრების უფლების ხელყოფა, ენიჭება არა კონკრეტულად განსაზღვრულ 1-წლიან მონაკვეთზე, არამედ აუნაზღაურებელ სრულ პერიოდზე მიუღებელი საპენსიო გასაცემების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12461 მომართვის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მოსარჩელის კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით, სრულად ანაზღაურების დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შენწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა

გადანწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-79-79(კ-18)

17 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: მიუღებელი პენსიის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

15.08.2016წ. გ. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-47/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო პენსიის გაცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მის მიმართ ასაკობრივი პენსიის გაცემა შეწყდა 2013 წლის 01 დეკემბრიდან. 21.07.2016წ. მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადებით, რომლის მიზანი იყო გაერკვია თუ რა მიზეზით შეუწყდა პენსია და ამავდროულად მოითხოვა პენსიის გაცემა. მოპასუხის 09.08.2016წ. წერილობითი პასუხით შეიტყო, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო შეუწყდა სახელმწიფო პენსიის გაცემა, ვინაიდან აღნიშნულ ორგანიზაციაში მუშაობა ითვლებოდა საჯარო სამსახურში საქმიანობად. აღნიშნულ არგუმენტი მიიჩნია უკანონოდ და მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-47/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო პენსიის გაცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.09.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სოციალური მომსახურების

რების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-47/16 გადაწყვეტილება, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა გ. ს-ისათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო პენსიის აღდგენა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ს-ი (დაბ. 03.02.1948წ.) 2010 წლის 24 სექტემბრიდან მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“. გ. ს-მა 2016 წლის ივლისის თვეში განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის აღდგენა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-47/16 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძველით. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი მიღებული იყო სზაკ-ის მოთხოვნათა დარღვევით და საკასაციო სასამართლოს №ბს-77-75(კ-15) 02.07.2015წ. განჩინებაზე მითითებით აღნიშნა, რომ მოსარჩელე გ. ს-ი საქმიანობდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტაში“, მისი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო საქმიანობად, მისთვის პენსიის შეწყვეტა არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. სახეზე არ არის პენსიის მოპოვების შემთხვევა, ვინაიდან გ. ს-ს პენსიის მიღების უფლება მოპოვებული ჰქონდა, არ დაუკარგავს და ითხოვს უკანონოდ შეწყვეტილი პენსიის აღდგენას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გ. ს-ის პენსიის შეწყვეტასთან დაკავშირებით რაიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოუცია და მოსარჩელისათვის ჩაბარებული არ ყოფილა, გარდა გასაჩივრებული სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.08.2016წ. №57995-47/16 გადაწყვეტილებისა. შესაბამისად, გ. ს-ისათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარი ეწინააღმდეგება კანონს. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.08.2016წ. №57995-47/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2013 წლის 01 დეკემბრიდან გ. ს-ათვის სახელმწიფო პენსიის აღდგენის საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.17წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უც-

ვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები სადავო საკითხთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობისა და პენსიის აღდგენის თაობაზე.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

კასატორი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი მიუთითებს საკასაციო სასამართლოს №ბს-481-478(2კ-17) განჩინებაზე და აღნიშნავს, რომ ზიანის სახით დაკისრებული თანხის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას. მოსარჩელეს 2013 წლის დეკემბერში შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა და მას სადავოდ არ გაუხდია კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. პენსიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით გ. ს-ს 2016 წლამდე არ მიუმართავს ორგანოსთვის. გ. ს-ს 2016 წლის ივლისის თვემდე არ მიუმართავს ადმინისტრაციული ორგანოსთვის პენსიის შეწყვეტის უკანონოდ მიჩნევის თაობაზე. სზაკ-ის 177.2, 180-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რაც გ. ს-ს არ განუხორციელებია 2016 წლამდე. აღნიშნულის გამო არ არსებობდა 2016 წლამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი.

კასატორი მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიჩნევა. სსიპ სსსტ ცენტრი „დელტა“ არ არის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. თავდაცვის მინისტრის 15.08.2015წ. №25 ბრძანებით დამტკიცებული იქნა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტას“ წესდება, რომლითაც არ არის გათვალისწინებული მისი სამეცნიერო ფუნქცია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 09.02.2017წ. №04/8010 წერილით მიმართა „დელტას“ და 27.02.2017წ. №338 წერილობითი პასუხით ადმინისტრაციულმა ორგანომ უარყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ბუნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტი-

ლება, რომლითაც სსიპ სსსტ ცენტრი „დელტა“ მიჩნეული იქნა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად, რის გამოც გ. ს-ს სწორად ეთქვა უარი სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლოს 28.06.2018წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-47/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის გ. ს-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. მითითებულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12..2017წ. განჩინება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გ. ს-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში განსხვავდებოდა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (სუს №ბს-481-478(2)-17) 20.07.2017წ. განჩინება), რაც 34.3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის ნინაპირობას წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი გ. ს-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით გ. ს-ის სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ს-ი (დაბ. 03.02.1948წ.) მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ და იღებდა ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო გ. ს-ს 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსიის გაცემა. მან 2016 წლის ივლისის თვეში განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს

და მოითხოვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-47/16 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 09.08.2016წ. წერილით უარის თქმის საფუძველად მიეთითა გ. ს-ის მუშაობა სსიპ სსსტ ცენტრ „დელტაში“, რომელშიც საქმიანობა ითვლებოდა საჯარო სამსახურში საქმიანობად, აღნიშნული გარემოება გამორიცხავდა პარალელურად სახელმწიფო პენსიის მიღებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 08.08.2016წ. №57995-47/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემელის დანიშვნისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის გ. ს-ის სასარგებლოდ ანაზღაურების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, ვინაიდან გადაწყვეტილების ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს 28.06.2018წ. განჩინებით არ იქნა დაშვებული, რის გამოც საკასაციო პალატის შეფასების საგანია განჩინების კანონიერება მხოლოდ გ. ს-ის სასარგებლოდ 01.12.2013წ.-01.08.2016წ. ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში (5.3 მუხ., 17 მუხ.). იგივე დათქმას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესი“ (4.3 მუხ., 9.1 „ბ“ ქვეპ.). პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვეტიდან პენსიის ხელახლა დანიშვნამდე სახელმწიფო გასაცემელი არ ინიშნება.

2013 წლიდან პენსიის გაცემის საფუძველს არ ქმნის პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება წერილობით არ გამოცემულა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებები, რომლებიც მას ადმინისტრაციული კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით ან რეალაქტებით რეალიზდება. საქართველოს შრომის, ჯან-

მრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.2 მუხლის თანახმად, საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აწვდის ინფორმაციას სააგენტოს შეთანხმებული ფორმით. სააგენტო პენსიის შეჩერება-შეწყვეტის გადაწყვეტილებების ასახვას ახორციელებდა ინდივიდუალურად, თითოეული პენსიონერის მიმართ, ე.წ. „სამმართველო ინფორმაციაში“. „სამმართველო ინფორმაცია“ შიდა გამოყენების დოკუმენტია, სადაც ხდება თითოეული პირის მიმართ მიღებული წერილობითი ან ზეპირი გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსის ასახვა, ბენეფიციარის დაინტერესების, წერილობითი მმართველის შემთხვევაში სააგენტო უზრუნველყოფდა მისთვის დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას „სამმართველო ინფორმაციის“ შესაბამისად. სადავო პერიოდში მოქმედი სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 27.09.07წ. №02/64 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა-ცვლილებების გაფორმებისა და მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლი ითვალისწინებდა ამონაწერის, როგორც დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემას დაინტერესებული მხარისათვის წერილობითი განაცხადის საფუძველზე. გ. ს-მა იცოდა სამსახურის გამო მისთვის ასაკის პენსიის შეწყვეტის შესახებ, მას შეეძლო გადაემოწმებინა პირადი საპენსიო ანგარიში და შემდგომ მოეთხოვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეწყვეტილი პენსიის აღდგენა (პენსიის აღდგენას და ასევე გასული პერიოდისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა თავისი არსით შესაძლოა მიჩნეული იქნეს პენსიის შეჩერებად). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას წერილობით ან ზეპირად. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თვლიდა საჯარო სამსახურის დაწყების გამო პენსიის შეწყვეტას მისი უფლებების შეზღუდვად, მას უნდა მოეთხოვა აქტის წერილობითი გამოცემა და უნდა გაესაჩივრებინა აქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს 2013 წლის დეკემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო პენსია, გ. ს-ს პენსიის გაუცემლობა წლების განმავლობაში სადავოდ არ გაუხდია, მას არც ყოველთვიური სარგებლის გაუცემლობის სახით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს უმოქმედობა გაუსაჩივ-

რებია. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სადავო გახადოს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ გასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება – მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა გასაჩივრდეს იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული პირისათვის ცნობილი გახდა მოქმედების განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2013 წლის 01 დეკემბრიდან სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის თაობაზე გ. ს-ისათვის ცნობილი იყო შემდეგ პერიოდში ყოველთვიური პენსიის შეწყვეტის გაუცემლობის ფაქტით (აღნიშნულის უარსაყოფად მოსარჩელე არ უთითებს რაიმე მტკიცებულებაზე ან გარემოებაზე). წლების განმავლობაში პენსიის მიუღებლობა ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელისათვის უთუოდ ცნობილი იყო მისი შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულს თავად მოსარჩელეც ადასტურებს, რომელიც სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავს, რომ პენსიის 2013 წელს შეწყვეტის მიზეზის გასარკვევად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის აგვისტოს თვეში მიმართა. თვით ის ფაქტი, რომ გ. ს-ს სადავოდ არ გაუხდია პენსიის შეწყვეტა 3 წლის განმავლობაში, სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიმართვისას მოითხოვა პენსიის დანიშვნა და არა გასული პერიოდის საპენსიო თანხა, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ გ. ს-მა იცოდა პენსიის შეწყვეტის შესახებ და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის პრეტენზია არ წარუდგენია 2016 წლის ივლისამდე. მანამდე პენსიის შეწყვეტა გ. ს-ს არ გაუსაჩივრებია როგორც უკანონო ადმინისტრაციული აქტი (სასკ-ის 22-ე მუხ.), როგორც ვირტუალური ადმინისტრაციული აქტი (სზაკ-ის 177-ე მუხ.) ან როგორც უკანონო ქმედება (სასკ-ის 24-ე მუხ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. არ დასტურდება გ. ს-ის სასამართლოსადმი მიმართვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა. არ დგინდება, რომ 2016 წლის ივლისის თვემდე გ. ს-მა პენსიის შეწყვეტა ანუ მისი უფლებების ხელყოფა რაიმე ფორმით სადავოდ გახადა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში. პენსიის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე საფუძვლით პენსიის დანიშვნა არ ნიშნავს პენსიის აღდგე-

ნას. პენსიის განახლება დასაშვებია პენსიის შეჩერების შემთხვევაში („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხ.), შეჩერებული პენსიის განახლება მოხდება პენსიის მიმღები პირის მიერ სააგენტოში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, ხოლო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშვნა.

გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით სასამართლომ ბათილად ცნო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა და მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ, პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა ხდება პენსიის დანიშვნის შესახებ პირის განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის შედეგების აღმოფხვრა, სახელმწიფო პენსიის გაცემის აღდგენა საჭიროებდა პენსიის შეწყვეტის გასაჩივრებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად არ დგინდება პენსიის შეწყვეტის უკანონობა და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება პენსიის აღდგენის შესახებ არ არის დასაბუთებული, ვინაიდან პენსიის შეწყვეტის შემდეგ ხდება არა პენსიის განახლება, არამედ ხელახალი დანიშვნა, შეწყვეტილი პენსიის ხელახლა დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად. უმოქმედობის განგრძობადი ხასიათის გამო (2013 წლის დეკემბრიდან), წარსულ პერიოდში უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს პენსიის გაუცემლობის უკანონობის დადგენის მოთხოვნით სასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ პენსიის შეწყვეტაზე პრეტენზიის 2016 წლის ივლისის თვეში დასმით გ. ს-მა მოიპოვა პენსიის მიღების უფლება სააგენტოსადმი მიმართვის (2016 წლის აგვისტო) მომდევნო თვიდან („სახელმწიფო

პენსიის შესახებ“ კანონის 14.2 მუხ.) და არა 2013 წლის 01 დეკემბრიდან. პენსიის შეწყვეტას გ. ს-ი დაეთანხმა, მას არ გაუსაჩივრებია პენსიის შეწყვეტა, რის გამოც 2013 წლის 01 დეკემბრიდან 2016 წლის 01 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის სახით თანხის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს 01.12.2013წ.-01.08.2016წ. პერიოდში მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძვლები. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება მითითებულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუს №ბს-481-478(2კ-17) 20.07.2017წ., №ბს-887-883 (კ-17) 15.03.2018წ. განჩინებები).

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს პასუხებს სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტებზე. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობილ ნაწილში სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების და სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. სასკ-ის 9.1 მუხლის საფუძველზე მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411 -ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.2017წ. განჩინება იმ ნაწილში, რომ-

ლითაც დაკმაყოფილდა გ. ს-ი სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. გ. ს-ის სარჩელი 01.12.2013წ.-01.08.2016წ. მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სარჩო და კომპენსაცია

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების ფაქტის დადგენა და ერთჯერადი დახმარების მოთხოვნის სანდაზმულობა

გადანყვითლება საქართველოს სახელით

№ბს-101-100(კ-17)

5 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. შ-ემ 2016 წლის 25 აპრილს სარჩელი აღძრა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპა-
სუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩე-
ლემ სარჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ საქართველოს
თავდაცვის სამინისტროს 2016 წლის 31 მარტი MOD 3 1600300919
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და თ.
შ-ისათვის ერთჯერადი დახმარების სახით 15 000 (თხუთმეტი ათა-
სი) ლარის გაცემის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო-
სათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის გამოცემის დავალეზა მოითხოვა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მისი ოჯახი არის ეკომიგრანტი
აჭარიდან და ცხოვრობს გორის რაიონში, სოფ. ... მისი შვილი – რ. შ-
ე გადიოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურს გორის რაიონში,
სოფელ განთავსებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონში, 1995 წლის 27 მაისს, სამ-
სახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჯავშანმანქანის
აფეთქების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. 2015 წლის 25 ივნისს
ოჯახმა აიღო რ. შ-ის გარდაცვალების მონშობა, ხოლო 2015 წლის
28 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გასცა დას-

კვნა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას რ. შ-ის გარდაცვალების თაობაზე.

მოსარჩელეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2016 წლის 31 მარტის MOD 3 16 00300919 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მის სასარგებლოდ 15000 (თხუთმეტიათასი) ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით თ. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2016 წლის 31 მარტის MOD 3 16 00300919 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა თ. შ-ისათვის ერთჯერადი დახმარების სახით 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის გაცემის თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ რ. შ-ე 1994 წლის 10 ივნისს განვეული იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურში. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შენახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის სტატუსი საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეს ენიჭება სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის დღიდან და ეხსნება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღესვე. ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, სამხედრო მოსამსახურის, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ და სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო. აღნიშნული კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილია სამხედრო სამსახურის გავლისათვის ჯანსაღი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით, სამხედრო სამსახურისათვის დამახა-

სიათბელო რისკფაქტორების შემცირების ღონისძიებათა სისტემით, რომელსაც ახორციელებს მეთაური (უფროსი) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად. ამავე კანონის ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის, გარდა ამ მუხლის მე-4' პუნქტით განსაზღვრული სამხედრო მოსამსახურისა, დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით, ხოლო მე-4' პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების დროს, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამხედრო მოსამსახურის დალუპვის ან მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვალების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (განკარგულებით) მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 100 000 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი პოლკოვნიკის ს. ძ-ის მიერ 2015 წლის 8 დეკემბერს დამტკიცებულ დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, სამსახურებრივი შემონმებით დადგინდა სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონის სარეზერვო ასეულის მესამე ოცეულის მეტყვიაფრქვევის, რიგითი რ. დ. შ-ის გარდაცვალების ფაქტის დადგომა 1995 წლის 27 მაისს, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და სასამართლო განხილვის დროს გამოკვეთილი მტკიცებულებათა გათვალისწინებით, სახეზეა „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთობა, რადროსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ მოსარჩელე – თ. შ-ე წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დალუპული რ. შ-ის

დედას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით ის გარემოება, რომ რ. შ-ე გარდაიცვალა 1995 წლის 27 მაისს დადგენილია არაერთი მტკიცებულებით, რომლებსაც ეფუძნება, როგორც 2015 წლის 30 ივნისს გაცემული გარდაცვალების მოწმობა, ასევე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის პოლკოვნიკი ს. ძ-ის მიერ 2015 წლის 8 დეკემბერს გაცემული დასკვნა. როგორც ირკვევა ჯერ გარდაცვალების მოწმობაა გაცემული და შემდგომ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დასკვნა, შესაბამისად ის გარემოება, რომელსაც სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეფუძნება და აღნიშნავს – თითქოს რ. შ-ის გარდაცვალება მითითებული სამხედრო პოლიციის დასკვნით დადგინდა, სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია. გარდა ამისა, რ. შ-ის გარდაცვალება არ უკავშირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე და 22-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებს გამომდინარე იქიდან, რომ მისი გარდაცვალების ფაქტი 1995 წლის 27 მაისს იყო ცნობილი ოჯახისთვის და მისი გარდაცვალების აღიარება არ განხორციელებულა 2015 წელს.

კასატორი აღნიშნავს, რომ გარდა აღნიშნულისა, საქმეში წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმის დოკუმენტაცია, საიდანაც ირკვევა, რომ რ. შ-ის გარდაცვალების ფაქტზე ჯერ კიდევ 1995 წლის 27 მაისს დაიწყო გამოძიება და დადგინდა, რომ მისი გარდაცვალების ფაქტზე ბრალი შეერაცხა ს. ხ-ს (მტკიცებულება – საქართველოს გენერალური პროკურატურის 2005 წლის დადგენილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო აღძრული წარმოების შეწყვეტის შესახებ). საქმეში წარმოდგენილი სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონის მეთაურის 1995 წლის 28 მაისის №99 ბრძანებით დასტურდება, რომ რ. შ-ე მოხსნილია ყველა სახის კმაყოფიდან და ამორიცხულია ბატალიონის სიებიდან გარდაცვალების გამო. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებას.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები მოსარჩელის მიმართ, რადგან სამართალურიერთობა მოცემულ შემთხვევაში

გამომდინარეობს 1995 წლის 27 მაისიდან, ხოლო მოთითებული ნორმის მოქმედება ვრცელდება ამ კანონის ამოქმედების შემდგომ წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე – 2005 წლიდან. რამდენადაც, 2005 წელს „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლში განხორციელებულმა №1337 ცვლილებამ მოახდინა დათქმა, რომ ნორმის მოქმედება არ გავრცელებულიყო ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა და ემსჯელა 1995 წელს მოქმედი კანონმდებლობით (ვინაიდან გარდაცვალების ფაქტი იმ დროისათვის უკვე დადასტურებული იყო), კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 31 მაისის №421 დადგენილებით, რომელიც იმ დროისთვის არეგულირებდა გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით სადავოა ასევე ხანდაზმულობის საკითხიც, რომელზეც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მიუხედავად მოპასუხის მოთხოვნისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. შ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ 1975 წლის 10 დეკემბრის №114 სააქტო ჩანაწერის საფუძველზე გაცემული დაბადების მოწმობის თანახმად, რ. დ. შ-ე დაიბადა 1975 წლის..., მამა – დ. ე. შ-ე, დედა – თ. რ. შ-ე.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის 2015 წლის 10 თებერვლის №59 ცნობის თანახმად, რ. დ. შ-ე (დაბ. 1975წ.) 1994 წლის 10 ივნისს განვეული იყო

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გორის სამხედრო კომისარიატის მიერ.

სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონის მეთაურის 1995 წლის 1 იანვრის №1 ბრძანების (ამონაწერი №308ა, 13.10.2015წ.) თანახმად, სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონის სარეზერვო ასეულის მესამე ოცეულის მეტყვიამფრქვევის თანამდებობაზე დაინიშნა რიგითი შ-ე რ.დ.

სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონის მეთაურის 1995 წლის 28 მაისის №99 ბრძანების (ამონაწერი №145ა, 16.05.2016წ.) საფუძველზე 27 მაისს მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო (ფეხოსანთა საბრძოლო აფეთქება ნაღმით) ჯარისკაცთა დაღუპვასთან დაკავშირებით ბატალიონიდან ამოირიცხნენ და ყველა სახის კმაყოფიდან მოიხსნენ სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის რიგითი შ-ე რ. დ. – სარეზერვო ასეულიდან.

სსგ გორის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 2015 წლის 30 ივნისს №67157000832 აქტის ჩანაწერის საფუძველზე, გაცა რ. შ-ის (დაბ. თარიღი: 08.11.1975წ.) გარდაცვალების მოწმობა №67157002399. მოწმობის თანახმად, რ. შ-ე გარდაიცვალა 1995 წლის 27 მაისს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის პოლკოვნიკი ს. ძ-ის მიერ 2015 წლის 8 დეკემბერს დამტკიცებული დასკვნის მიხედვით, სამსახურებრივი შემონმებით დადგენილ იქნა, რომ სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონის სარეზერვო ასეულის მესამე ოცეულის მეტყვიამფრქვევის, რიგითი რ. დ. შ-ის გარდაცვალება დადგა 1995 წლის 27 მაისს, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

თ. შ-ის წარმომადგენელმა 2016 წლის 11 მარტს №241936 განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რ. შ-ის გარდაცვალების გამო, მისი ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემის მოთხოვნით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2016 წლის 31 მარტის MOD 3 16 00300919 გადაწყვეტილებით, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის 20 აპრილს განხორციელებული ცვლილების მე-2 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა რ. შ-ის გარდაცვალების გამო მისი ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემის თაობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელე ითხოვს მისი

შვილის -რ. შ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების გამო „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დახმარებას. მითითებული უფლება წარმოშობილია „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის 20 აპრილის №1337-IX კანონით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998, გვ.14), რომლითაც მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით“. იმავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ რ. შ-ის 1995 წლის 27 მაისს გარდაცვალების სამართლებრივი შედეგი დადგა 2015 წლის 8 დეკემბრის დასკვნით, ვინაიდან კანონმდებელი ერთჯერადი კომპენსაციის გაცემისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს არა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების ფაქტის დადგენას, არამედ მისი სამხედრო სამსახურის ტერიტორიაზე და უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფაქტის დადასტურებასაც. სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზეზობრივი კავშირი პირის გადრაცვალებასა და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას შორის დადასტურდა მხოლოდ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მიერ 2015 წლის 8 დეკემბრის დასკვნის გაცემით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უფლების წარმოიშობის მომენტად მიიჩნია 2015 წელი, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია, ანუ ივარაუდება, რომ პირმა იცის კანონი, რამეთუ სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ნორმატიული აქტების ძალაში შესვლის, გაუქმებისა და კანონის ცოდნის პრეზუმფციის ზოგად დებულებებს და მას რაიმე მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიური დანიშნულება და ფუნქცია არ გააჩნია. იმავე კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტი-

დან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამასთან, 131-ე მუხლით თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში თ. შ-ის უფლება მოთხოვნის წარმოშობის შესახებ უკავშირდება იმ დროს, როდესაც მან შეიტყო მისი შვილის – რ. შ-ის გარდაცვალების შესახებ. რამდენადაც, სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონის მეთაურის 1995 წლის 28 მაისის №99 ბრძანებით 27 მაისს მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო (ფეხოსანთა საბრძოლო აფეთქება ნაღმით) ჯარისკაცთა დალუპვასთან დაკავშირებით ბატალიონიდან ამოირიცხნენ და ყველა სახის კმაყოფიდან მოიხსნენ სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის რიგითი შ-ე რ. დ. – სარეზერვო ასეულიდან. შესაბამისად, მოსარჩელისათვის 1995 წლის 27 მაისს ცნობილი იყო მისი შვილის თ. შ-ის გარდაცვალების, გარდაცვალების მიზეზისა და გარდაცვალებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ, თუმცა სამართალურთიერთობის წარმოშობა – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დალუპვის ფაქტის დადგენის მიზნით უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა დამოკიდებული იყო მოსარჩელის მოქმედებაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფაქტი სადავო არ გამხდარა.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სპეციალურ გამოკვლევათა სამმართველოს დაჭრა-დასახიჩრების, ტრავმის მიღების ან დალუპვის ფაქტებზე ინსპექტირების სამსახურის 2015 წლის 28 დეკემბრის დასკვნის თანახმად, თ. შ-ემ 2015 წლის 4 ნოემბერს მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს სამსახურებრივი შემონმების ჩატარების უზრუნველსაყოფად, რომელიც შეეხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონის სარეზერვო ასეულის მესამე ოცეულის მეტყვიამფრქვევის, რიგით რ. დ. შ-ის 1995 წლის 27 მაისს გარდაცვალების ფაქტს. სამსახურებრივი შემონმებით დადგენილ იქნა, რომ სამშვიდობო ძალების მე-3 ბატალიონის სარეზერვო ასეულის მესამე ოცეულის მეტყვიამფრქვევის, რიგით რ. დ. შ-ის გარდაცვალება დადგა 1995 წლის 27 მაისს სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ შვილის გარდაცვალების შესახებ თ. შ-ისთვის

ცნობილი გახდა მისი გარდაცვალების დღეს 1995 წლის 27 მაისს, თუმცა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების ფაქტის დასადაგენად 20 წლის შემდეგ – 2015 წლის 4 ნოემბერს მიმართა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ან შეწყვეტის არსებობის ფაქტი, რაც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ მოთხოვნის წარდგენამდე – 2016 წლის 11 მარტამდე განვლილი დრო არ მიეღო მხედველობაში. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ იმ პირობებშიც კი, თუ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას დაუკავშირებთ პირის სამხედრო სამსახურის ტერიტორიაზე და უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების ფაქტის დადასტურების თარიღს – 2015 წლის 28 დეკემბერს, აღნიშნული ვერ შეცვლის იმ გარემოებას, რომ თ. შ-ემ 2015 წლის 4 ნოემბერს მიმართა უფლებამოსილ ორგანოს რ. შ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების ფაქტის დასადაგენად, როცა უკვე გასული იყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის – 2005 წლის 20 აპრილის №1337-1ს კანონის ამოქმედებიდან მოთხოვნის ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა. რამდენადაც, მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებული იყო თ. შ-ის მოქმედებაზე, რაც მან განახორციელა კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდე-

ბულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა, სააპელაციო სასამართლომ კი არასწორი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საკასაციო პალატის მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით თ. შ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კომპენსაციის ანაზღაურების პერიოდის განსაზღვრა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1160-1154(კ-17)

14 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, თანხის ანაზღაურების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 29 ნოემბერს რ. რ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის (დიდუბეჩულურეთი) მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2001 წლის მაისიდან 2014 წლის მარტამდე უწყვეტლივ იღებდა სახელმწიფო კომპენსაციას იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის ხაზით. 2014 წლის 1 მარტიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 22 მარტს შესული ცვლილებებიდან გამომდინარე (გაიზარდა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა), მოსარჩელეს თავისი განცხადების საფუძველზე შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაცია იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის ხაზით და 2014 წლის მარტის თვიდან სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. 2014 წლის 16 აპრილს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან. მითითებულ კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, მოსარჩელეს განცხადების საფუძველზე წელთა ნამსახურობაში ჩაეთვალა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობის პერიოდი – შეღავათიანი გაანგარიშებით და 2015 წლის თებერვლის თვიდან სახელმწიფო კომპენსაცია კვლავ დაენიშნა სასჯელაღსრულების სისტემის ხაზით.

2016 წლის 27 აპრილს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ამ კანონის პირველი მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ქვეპუნქტების მოქმედება ვრცელდება 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელალსრულების სისტემის ხაზით 2015 წლის 1 იანვრიდან და მის შემდგომ პერიოდში, ვისი საქმეებიც გადაისინჯა და წელთა ნამსახურებიდან ამოურიცხეს სწავლის, განსაკუთრებულ პირობებში მუშაობის პერიოდი და შეუმცირეს გასაცემელი თანხა, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეტანილ იქნა კორექტირება და ყველა ამ კატეგორიის ბენეფიციარს ნამსახურების სტაჟში ჩაუთვალეს სწავლისა და განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი შეღავათიანი განგარიშებით და ყველას აუნაზღაურეს 2015 წლის ივნისიდან დაკავებული თანხა. მოსარჩელის მითითებით, თანხის ანაზღაურებაზე მას სრულიად უსაფუძვლოდ უთხრეს უარი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება დაკავებული თანხის დაბრუნების შესახებ უარის თქმის თაობაზე, ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას და ამავე დროს არის დისკრიმინაციული ხასიათის.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის (დიდუბე-ჩუღურეთი) 2016 წლის 26 სექტემბრის №04-00-დ/41721 აქტის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 11 ნოემბრის №04/83909 აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის მის სასარგებლოდ 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ივნისამდე პერიოდის კომპენსაციის თანხის ანაზღაურების დავალეზა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით რ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის (დიდუბე-ჩუღურეთი) 2016 წლის 26 სექტემბრის №04-00-დ/41721 წერილობითი პასუხით, რ. რ-ს მისი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ მას დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო კომპენსაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით 2001 წლის 1 მაისიდან (კომპენსაციის საქმის №11-29-2-00697, წელთა ნამსახურება შეადგენდა 35 წელს, 3 თვესა და 8 დღეს), რომლის

გაცემა შეწყდა 2014 წლის მარტიდან და რ. რ-ს 2014 წლის 5 თებერვლის საკუთარი განცხადების საფუძველზე დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. მის მიერ წარდგენილ იქნა ახალი წელთა გაანგარიშების ნუსხა 37 წელი, 6 თვე და 28 დღე. სახელმწიფო გასაცემელმა შეადგინა 520 ლარი.

2015 წლის 23 თებერვალს რ. რ-მა განცხადებით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრს, წარადგინა საბუთები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან და მოითხოვა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა. წელთა ნამსახურობამ შეადგინა 39 წელი, 6 თვე და 28 დღე. რ. რ-ს დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 2015 წლის მარტიდან თვეში 540 ლარის ოდენობით.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი და ამავე პერიოდიდან ამოქმედდა „პატიმრობის კოდექსი“, რომელიც ზემოაღნიშნული კანონების შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემიდან დათხოვნილი მოსამსახურეებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას აღარ ითვალისწინებდა. 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე, აღნიშნული უწყებებიდან დათხოვნილ მოსამსახურეთა სახელმწიფო გასაცემლით უზრუნველყოფა ხორციელდებოდა მხოლოდ სამოქალაქო პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად. კერძოდ, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების“ შესაბამისად.

2015 წლის 1 იანვრიდან, სასჯელაღსრულების სისტემის ორგანოებიდან დათხოვნილ სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე პირთა სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხები მონესრიგდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (ცვლილება №2242, 16.04.2014წ.), ხოლო აღნიშნულ კანონში სასჯელაღსრულების სისტემის ორგანოებიდან დათხოვნილ პირთა ნამსახურობის სტაჟის, სწავლისა და განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდის შეღავათიანი გაანგარიშებით ჩათვლაზე საუბარი არ არის. ამდენად, იმ პირებს, რომლებსაც სასჯელაღსრულების სისტემის ორგანოების ხაზით 2010 წლის 1 ოქტომბრამდე ჰქონდათ კომპენსაცია და დღემდე უწყვეტად იღებენ სახელმწიფო გასაცემელს, მათ შეუნარჩუნდათ ნამსახურობის სტაჟზე ადრე მოპოვებული უფლება (მათ შორის, სწავლაზე და შეღავათი-

ან პერიოდებზე), ხოლო პირებს, რომლებმაც 2015 წლის 1 იანვრიდან დაინიშნეს ან ხელახლა მოიპოვეს სახელმწიფო კომპენსაციაზე უფლება, მათ წელთა ნამსახურობაში სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისა და განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდის შეღავათიანი გაანგარიშებით ჩათვლის სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნია. ამასთან, განმცხადებელს დამატებით განემარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება, მხოლოდ ამავე მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ ორგანოებში ნამსახურები წლები, შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში სწავლის წლები და შეღავათიან პირობებში ნამსახურება ვერ ჩაითვლება კანონით განსაზღვრულ კალენდარულ ნამსახურებად.

სასამართლოს მითითებით, სააგენტოში დაცული ინფორმაციით დგინდებოდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით დანიშნული კომპენსაციის გაცემა მოსარჩელეს შეუწყდა 2015 წლის მარტიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის 16 აპრილს განხორციელებული ცვლილების შედეგად (ამოქმედდა 2015 წლის 1 იანვრიდან), 2015 წლის 1 მარტიდან ხელახლა დაინიშნა სახელმწიფო გასაცემელი, თუმცა სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მხრიდან ბენეფიციარისათვის კომპენსაციის დანიშვნა და მის წელთა ნამსახურობაში სწავლისა და განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდის შეღავათიანი გაანგარიშებით ჩათვლა, გამოინვია სამართლებრივი აქტის არასწორად გაგებამ, შესაბამისად, ამ აქტის არასწორად გამოყენებამ. ამდენად, 2015 წლის 1 აგვისტოდან რ. რ-ს შეუწყდა კომპენსაციის გაცემა სასჯელალსრულების სამინისტროს ხაზით და მისივე 2015 წლის 30 ივლისის №03/3328 განცხადების საფუძველზე დაინიშნა კომპენსაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით თვეში 520 ლარის ოდენობით.

2016 წლის 30 მაისს რ. რ-მა განცხადებით მიმართა სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სერვისცენტრს და მოითხოვა სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტა შსს-ს ხაზით და დანიშვნა სასჯელალსრულების სამინისტროს ხაზით. ამჟამად, რ. რ-ს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნული აქვს სასჯელალსრულების სამინისტროს ხაზით და მისი ოდენობა შეადგენს 560 ლარს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 11 ნოემბრის №04/83909 წერილით რ. რ-ს მისი 2016 წლის 10 ოქტომბრის №105044 განცხადების პასუხად ეცნობა, რომ „სახელმწიფო კომ-

პენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით (ცვლილება განხორციელდა 2016 წლის 27 აპრილს), მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილ სამხედრო წოდების მქონე პირზე ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირზე კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების მიზნებისათვის საერთო წელთა ნამსახურობაში შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, საგამოძიებო დეპარტამენტსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, აგრეთვე, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სამხედრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურის ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში ჩარიცხვამდე სამოქალაქო, სპეციალურ ან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდიც. 6 წლის ზემოთ სწავლის 1 წელი 6 თვედ ჩაითვლება. საერთო წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდ შეღავათიანი გაანგარიშებით (მე-5 და მე-6 პუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზეზედაც). კანონის შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება შეეხოთ მხოლოდ სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხაზით სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირებს. რ. რ-ს განემარტა, რომ იგი 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ივნისამდე მისივე განცხადების საფუძველზე, სახელმწიფო კომპენსაციას იღებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით და კომპენსაციის ოდენობაც გაანგარიშებული იყო ასევე კანონის შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის 1 ივნისამდე სხვა რაიმე სხვაობის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათ-

ხოვნილ, ზევადიან სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს. „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პირს კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების მიზნებისათვის საერთო წელთა ნამსახურობაში შეიძლება ჩაეთვალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, საგამოძიებო დეპარტამენტსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, აგრეთვე შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სამხედრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურის ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოში ჩარიცხვამდე სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდიც. 6 წლის ზემოთ სწავლის 1 წელი 6 თვედ ჩაითვლება. საერთო წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი შეღავათიანი გაანგარიშებით (ამ პუნქტის მოქმედება გაერცვლდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზედაც).

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში – 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის ივნისამდე მოსარჩელე სახელმწიფო კომპენსაციას იღებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. ამასთან, მოსარჩელე ვერ უთითებდა, თუ რა პერიოდის ნამსახურობა არ იქნა გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემისას, ან რა რაოდენობით სარგებელი ვერ იქნა მიღებული. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის ივნისამდე რ. რ-ი პირადი განცხადების საფუძველზე სახელმწიფო კომპენსაციას იღებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით, ხოლო კომპენსაციის არასწორი დაანგარიშება მოსარჩელის მიერ დასაბუთებული არ არის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, ხოლო მოსარჩელის მიერ სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის შესაბამისად ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კანონით

დადგენილ ისეთ პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც ზემოაღნიშნულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები მიღებული იყო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით და შესაბამისად, არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდა მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. რ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 სექტემბრის განჩინებით რ. რ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პირს კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების მიზნებისათვის საერთო წელთა ნამსახურობაში შეიძლება ჩათვალოს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, საგამოძიებო დეპარტამენტსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, აგრეთვე შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სამხედრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხო-

ების სამსახურის, პროკურატურის ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოში ჩარიცხვამდე სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდიც. 6 წლის ზემოთ სწავლის 1 წელი 6 თვედ ჩაითვლება. საერთო წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი შეღავათიანი გაანგარიშებით (ამ პუნქტის მოქმედება გაფრცვლდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზედაც).

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში – 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის ივნისამდე აპელანტი სახელმწიფო კომპენსაციას იღებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. ამდენად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ არასწორად მოხდა კომპენსაციის დაანგარიშება, რადგან საქმეში არსებული მასალებით მიხედვით უტყუარად დგინდება და თავად რ. რ-იც წარმოდგენილ სარჩელში მიუთითებდა, რომ 2016 წლის 27 აპრილს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, იმ პირთა საქმეების გადასინჯვა მოხდა, ვინც კომპენსაციას იღებდა სასჯელაღსრულების სისტემის ხაზით, ხოლო სადავო პერიოდში 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის ივნისამდე რ. რ-ი პირადი განცხადების საფუძველზე სახელმწიფო კომპენსაციას იღებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მოსაზრება უსაფუძვლო იყო და არ გამომდინარეობდა საქმის გარემოებებიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. რ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც მიღებულ იქნა არაობიექტური გადაწყვეტილება. მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მოსარჩელეს კომპენსაცია შემცირებული აქვს 2015 წლის ივნისიდან, ხოლო რაც შეეხება სასჯელაღსრულების ხაზით კომპენსაციის შეწყვეტას და მოსარჩელის 2015 წლის 30 ივლისის პირადი განცხადების საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით დანიშნას, რეალობას არ შეესაბამება, რადგან მას მსგავსი განცხადებით სოციალური მომსახურების ცენტრისთვის არ მიუ-

მართავს. საქმეში წარმოდგენილია 2015 წლის 30 ივლისის თარიღით შედგენილი განცხადებები, რომელიც კასატორის აზრით, სავარაუდოდ გაყალბებულია. კერძოდ, პირველი, წელთა ნამსახურობის საფუძვლით კომპენსაციის დანიშვნის შესახებ განცხადების საფუძველზე რ. რ-ს დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით და 2015 წლის 1 მარტიდან დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია სასჯელალსრულების ხაზით – 540 ლარი შეუმცირდა 520 ლარამდე. ამავე თარიღის მეორე გადაწყვეტილება ეხება წელთა ნამსახურობის საფუძვლით დანიშნული კომპენსაციის ცვლილებას, რომლის შესაბამისად, რ. რ-ს დააკისრეს თანხის დაკავება 40 ლარის ოდენობით სახელმწიფოს სასარგებლოდ და კომპენსაციის თანხა 2015 წლის 1 სექტემბრიდან შეუმცირეს 490 ლარამდე. მესამე გადაწყვეტილება ეხება წელთა ნამსახურობის საფუძვლით დანიშნული კომპენსაციის ცვლილებას, რომლის თანახმად, მოსარჩელეს სახელმწიფო კომპენსაცია გადაუანგარიშეს და 2015 წლის 1 სექტემბრიდან დაენიშნა 530 ლარის ოდენობით. მითითებული გადაწყვეტილებაც მიღებულია მას შემდეგ, რაც მოსარჩელეს კომპენსაცია დანიშნული ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით 2015 წლის 1 აგვისტოდან.

სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია რატომ უკავებდნენ მოსარჩელეს კომპენსაციის თანხას, როგორც სასჯელალსრულების ხაზით, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით კომპენსაციის მიღებისას. 2015 წლის 1 იანვარს კანონში შეტანილი ცვლილებები ეხებოდა საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხაზით კომპენსაციის მიმღებ პირებს მაშინ, როცა რ. რ-ი კომპენსაციას იღებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით 2015 წლის 1 აგვისტოდან.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, კერძოდ, ადგილი აქვს დისკრიმინაციულ მიდგომას, არათანაბარ მოპყრობას სასჯელალსრულებისა და სხვა პენსიონერებთან მიმართებით მაშინ, როცა კანონში შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ სასჯელალსრულების დაწესებულების პენსიონერებზე უნდა გავრცელებულიყო და ანაზღაურებულიყო სწავლისა და განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი 2016 წლის 27 აპრილის კანონის თანახმად, ყველას აუნაზღაურდა გაუცემელი თანხა ავტომატურ რეჟიმში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოება-

ში იქნა მიღებული რ. რ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მარტის განჩინებით რ. რ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ რ. რ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. რ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სადავო საკითხს და გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს განსახილველ სამართალურთიერთობას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას

ბას, გამოიტანოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: რ. რ-ს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნული ჰქონდა სასჯელალსრულების სისტემის ხაზით 2001 წლის 1 მაისიდან (კომპენსაციის საქმის №11-29-2-00697 მიხედვით, წელთა ნამსახურობა შეადგენდა 35 წელს, 3 თვესა და 8 დღეს). 2014 წლის 1 მარტიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 22 მარტს შესული ცვლილებების შესაბამისად (გაიზარდა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა), რ. რ-ს 2015 წლის 23 თებერვლის პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაცია იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების სისტემის ხაზით და სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. წელთა ნამსახურობამ შეადგინა 39 წელი, 6 თვე და 28 დღე. 2015 წლის მარტიდან რ. რ-ს დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია – 540 ლარის ოდენობით.

ასევე დადგენილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით დანიშნული კომპენსაციის გაცემა რ. რ-ს შეუწყდა 2015 წლის მარტიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის 16 აპრილს განხორციელებული ცვლილების შედეგად (ამოქმედდა 2015 წლის 1 იანვრიდან). 2015 წლის 1 მარტიდან მას ხელახლა დაენიშნა სახელმწიფო გასაცემელი, თუმცა განემარტა, რომ სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მხრიდან ბენეფიციარისათვის კომპენსაციის დანიშვნა და მის წელთა ნამსახურობაში სწავლისა და განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდის შეღავათიანი გაანგარიშებით ჩათვლა, გამოიწვია სამართლებრივი აქტის არასწორად გაგებამ, შესაბამისად, ამ აქტის არასწორად გამოყენებამ. ამდენად, 2015 წლის 1 აგვისტოდან რ. რ-ს შეუწყდა კომპენსაციის გაცემა სასჯელალსრულების სამინისტროს ხაზით და მისივე 2015 წლის 30 ივლისის განცხადების საფუძველზე დაენიშნა კომპენსაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით თვეში 520 ლარის ოდენობით.

2016 წლის 30 მაისს, რ. რ-მა განცხადებით მიმართა სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სერვისცენტრს და მოითხოვა სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით და დანიშვნა სასჯელალსრულების სამინისტროს ხაზით. ამჟამად, რ. რ-ს სახელმწიფო კომპენსაცია დანიშნული აქვს სასჯელალსრულების სამინისტროს ხაზით და მისი ოდენობა შეადგენს 560 ლარს.

განსახილველი დავის საგანს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენ-

ტრის (დიდუბე-ჩუღურეთი) 2016 წლის 26 სექტემბრის №04-00-დ/41721 აქტისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 11 ნოემბრის №04/83909 აქტის კანონიერების დადგენა წარმოადგენს, რომლებითაც რ. რ-ს 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ივნისამდე პერიოდის სახელმწიფო კომპენსაციის თანხის სხვაობის ანაზღაურებაზე უარი ეთქვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, რ. რ-ი წარმოადგენს თუ არა „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ კანონით განსაზღვრულ კომპენსაციის მიღების მქონე სუბიექტს და შესაბამისად, შეფასება უნდა მიეცეს იმ უმნიშვნელოვანეს საკითხს არის თუ არა იგი სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირი სასჯელალსრულების სისტემის ხაზით.

საკასაციო სასამართლო სადავო საკითხზე მსჯელობისას ყურადღებას მიაქცევს თავად კომპენსაციის ბუნებასა და მისი დანიშვნის მიზნებს. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, სახელმწიფო კომპენსაციისა (შემდგომში-კომპენსაცია) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოხატა ნება შეექმნა დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის გამო. სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის საფუძველით კომპენსაციის დანიშვნა მათი დამსახურების ერთგვარ კომპენსირებას ახდენს. შესაბამისად, კომპენსაციის არსისა და მისი მიზნების გათვალისწინებით, გაუგებარია რ. რ-ს სასჯელალსრულების სისტემიდან დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტისა და შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით მიღების გამო რატომ შეეზღუდა კომპენსაციის გარკვეული თან-

ხის მიღების – დამატებითი სოციალური გარანტიით სარგებლობის უფლება.

„სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ (დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვალი №46/ნ ბრძანებით) მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კომპენსაციის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომელიც ახდენს კომპენსაციის დანიშვნას, მისი გაცემის ორგანიზებას, შეჩერებას, განახლებას, შეწყვეტასა და გადაანგარიშებას, აგრეთვე კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას და კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ, ზევადიან სამხედრო ნოდების ან სახელმწიფო სპეციალური ნოდების მქონე პირებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სადავო აქტით – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 11 ნოემბრის №04/83909 ნერილით რ. რ.-ს მისი 2016 წლის 10 ოქტომბრის №105044 განცხადების პასუხად ეცნობა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით (ცვლილება განხორციელდა 2016 წლის 27 აპრილს), მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილ სამხედრო ნოდების მქონე პირზე ან სახელმწიფო სპე-

ციალური წოდების მქონე პირზე კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების მიზნებისათვის საერთო წელთა ნამსახურობაში შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, საგამოძიებო დეპარტამენტსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, აგრეთვე, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სამხედრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურის ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში ჩარიცხვამდე სამოქალაქო, სპეციალურ ან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდიც. 6 წლის ზემოთ სწავლის 1 წელი 6 თვედ ჩაითვლება. საერთო წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი შეღავათიანი გაანგარიშებით (მე-5 და მე-6 პუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზედაც). კანონის შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება შეეხოთ მხოლოდ სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხაზით სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირებს. რ. რ-ს განემარტა, რომ იგი 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ივნისამდე მისივე განცხადების საფუძველზე, სახელმწიფო კომპენსაციას იღებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით და კომპენსაციის ოდენობაც გაანგარიშებული იყო კანონის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ივნისამდე სხვა რაიმე სხვაობის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლომ სადავო აქტებში მოყვანილი მოსაზრებები უკლებლივ გაიზიარა და განმარტა, რომ სადავო პერიოდში – 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის ივნისამდე აპელანტი სახელმწიფო კომპენსაციას იღებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. ამდენად, პალატამ არ გაიზიარა რ. რ-ის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ არასწორად მოხდა კომპენსაციის დაანგარიშება, რადგან საქმეში არსებული მასალების მიხედვით, უტყუარად დგინდებოდა და თავად რ. რ-იც წარმოდგენილ სარჩელში მიუთითებდა, რომ 2016 წლის 27 აპრილს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, იმ პირთა საქმეების გადასინჯვა მოხდა ვინც კომპენსაციას იღებდა სასჯელალსრულების სისტემის ხაზით, ხოლო სადავო პერიოდში 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის ივნისამდე რ. რ-ი პირადი განცხადების საფუძველზე სახელმწიფო კომპენსაციას

იღებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით.

ზემოაღნიშნული განმარტებების უგულვებელსაყოფად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, 2015 წლის ივნის-ივლისში მიღებული თანხიდან რ. რ-ს დააკისრეს თანხის დაკავება სახელმწიფოს სასარგებლოდ. აღნიშნული ფაქტი განხორციელდა მას შემდეგ, რაც კასატორს სასჯელაღსრულების სისტემის ხაზით შეუწყდა კომპენსაციის გაცემა და დაენიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. ასევე დადგენილია, რომ რ. რ-ს 2015 წლის 1 მარტიდან სასჯელაღსრულების ხაზით დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია – 540 ლარი შეუმცირდა 520 ლარამდე. 2015 წლის 30 ივლისის განცხადების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ეხება წელთა ნამსახურობის საფუძვლით დანიშნული კომპენსაციის ცვლილებას, რომლის შესაბამისად, რ. რ-ს დააკისრეს თანხის დაკავება 40 ლარის ოდენობით სახელმწიფოს სასარგებლოდ და კომპენსაციის თანხა 2015 წლის 1 სექტემბრიდან შეუმცირეს 490 ლარამდე. ამავე თარიღით მიღებული გადაწყვეტილება ასევე ეხება წელთა ნამსახურობის საფუძვლით დანიშნული კომპენსაციის ცვლილებას, რომლის თანახმად, მოსარჩელეს სახელმწიფო კომპენსაცია გადაუანგარიშეს და 2015 წლის 1 სექტემბრიდან დაენიშნა 530 ლარის ოდენობით. მითითებული გადაწყვეტილებაც მიღებულია მას შემდეგ, რაც მოსარჩელეს კომპენსაცია დანიშნული ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით 2015 წლის 1 აგვისტოდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად (2016 წლის 27 აპრილის ცვლილება), ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილ სამხედრო ნოდების მქონე პირზე ან სახელმწიფო სპეციალური ნოდების მქონე პირზე კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების მიზნებისათვის საერთო წელთა ნამსახურობაში შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, საგამოძიებო დეპარტამენტსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, აგრეთვე, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სამხედრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურის ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში ჩარიცხვამდე სა-

მოქალაქე, სპეციალურ ან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდით, 6 წლის ზემოთ სწავლის 1 წელი 6 თვედ ჩაითვლება. საერთო წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი შეღავათიანი გაანგარიშებით (მე-5 და მე-6 პუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზედაც). კანონის შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება შეეხოთ მხოლოდ სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხაზით სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირებს. მოცემულ შემთხვევაში, რ. რ.-ს 2014 წლის მარტიდან სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. 2014 წლის 16 აპრილს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან. მითითებულ კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, მოსარჩელეს პირადი განცხადების საფუძველზე წელთა ნამსახურობაში ჩაეთვალა იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების სისტემაში მუშაობის პერიოდი – შეღავათიანი გაანგარიშებით და 2015 წლის თებერვლიდან სახელმწიფო კომპენსაცია კვლავ სასჯელალსრულების სისტემის ხაზით დაენიშნა. 2016 წლის 27 აპრილს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელალსრულებიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, ასევე სასჯელალსრულების სისტემიდან დათხოვნილ კომპენსაციის მიმღებ პირებს წელთა ნამსახურებაში ჩაეთვალათ სწავლის, განსაკუთრებულ პირობებში მუშაობისა და სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კასატორს – რ. რ.-ს სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება მოპოვებული ჰქონდა სასჯელალსრულების სისტემაში მუშაობის შედეგად, მას შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არასოდეს უმუშავია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით კომპენსაციის მიმღები გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ სასჯელალსრულების სისტემა გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში. 2014 წლის 1 მარტიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ კანონში 2013 წლის 22 მარტის ცვლილებიდან გამომდინარე (გაიზარდა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა), რ. რ.-ს პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების სისტემის ხაზით და დაენიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული კანონის 2016 წლის 27 აპრილის ცვლილებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვა-

ლისწინებით, რ. რ-ს, როგორც სასჯელალსრულების სისტემიდან დათხოვნილ კომპენსაციის მიმღებ პირს, უნდა აუნაზღაურდეს სწავლისა და განსაკუთრებულ პირობებში მუშაობის შედეგად შეღავათიანი გაანგარიშებით დანიშნული კომპენსაციის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკავებული თანხა. ამდენად, უსაფუძვლოა როგორც ადმინისტრაციული ორგანოების, ისე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რ. რ-ი სადავო პერიოდში (2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ივნისამდე) სახელმწიფო კომპენსაციას იღებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით, რის გამოც არ არსებობდა დაკავებული თანხის ანაზღაურების საფუძველი. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებით უკუძალა გავრცელდა სასჯელალსრულების სისტემის თანამშრომლებზე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის (დიდუბე-ჩუღურეთი) 2016 წლის 26 სექტემბრის №04-00-დ/41721 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 11 ნოემბრის №04/83909 გადაწყვეტილებები და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს უნდა დაევალოს რ. რ-ს აუნაზღაუროს 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ივნისამდე პერიოდის კომპენსაციის დაკავებული თანხა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. რ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. რ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. რ. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. რ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის (დიდუბე-ჩუღურეთი) 2016 წლის 26 სექტემბრის №04-00-დ/41721 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 11 ნოემბრის №04/83909 გადაწყვეტილებები;

5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს დაევალოს რ. რ-ის სასარგებლოდ 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 ივნისამდე პერიოდის კომპენსაციის თანხის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩოს დაკისრების სამართლებრივი საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-925-921(კ-17)

3 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სარჩოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ქ-მა 2015 წლის 8 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისროს გარდაცვლილი რ. ქ-ის მეუღლის მ. ქ-ის სასარგებლოდ, 2014 წლის ივლისიდან, ყოველთვიური სარჩოს გადახდა თვეში 600 ლარის ოდენობით, მ. ქ-ის სიცოცხლის მანძილზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში იმ-

ყოფებოდა რ. ქ-თან. მისი მეუღლე 2012 წელს დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების საავიაციო ბრიგადის საავიაციო ტექნიკური საექსპლუატაციო სარემონტო ნაწილის „სუ-25“ ტიპის თვითმფრინავების საექსპლუატაციო რგოლის თვითმფრინავებისა და ძრავების ტექნიკოსად. მეუღლის ხელფასი წარმოადგენდა ოჯახის შემოსავლის ერთადერთ წყაროს, თუმცა საუბედუროდ 2014 წლის 1 ივნისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს რ. ქ-ი გარდაიცვალა. ძლიერად ამოვარდნილმა ქარმა თვითმფრინავების სარემონტო იარაღების შესანახ სათავსოს მთლიანად გადახადა სახურავი და თუნუქის ფირფიტა თავის არეში დაეცა საბრძოლო მორიგეობაში მყოფ რ. ქ-ს. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 26 აგვისტოს დაიდო დასკვნა, რომლის საფუძველზეც რ. ქ-ის გარდაცვალება ჩაითვალა სამსახურებრივ მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მისი მეუღლის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა პროკურორის დადგენილებით გამოძიება შეწყდა.

სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე და სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1006-ე მუხლებზე და იმის გათვალისწინებით, რომ აქვს ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობა და ესაჭიროება მუდმივი მკურნალობა, მოითხოვა მოპასუხისათვის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სარჩოს დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, მ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ რ. ქ-ის სიცოცხლის მოსპობა არ წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებულ ზიანს, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ იქნა დადასტურებული და არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და სიცოცხლის მოსპობას შორის. ასევე სახეზე არ იყო სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამონვეული ზიანისათვის.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ქ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა გარდაცვლილი რ. ქ-ის მეუღლის – მ. ქ-ის სასარგებლოდ, 2014 წლის ივლისიდან, ყოველთვიური სარჩოს გადახდა თვეში 600 ლარის ოდენობით, მ. ქ-ის სიცოცხლის მანძილზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება მიზეზობრივი კავშირის არარსებობასთან დაკავშირებით, მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილებაში, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ განმარტებულ „შრომის“ ცნებაზე და აღნიშნა, რომ შრომისა და მისი შემადგენელი სოციალური უფლება სიცოცხლისუნარიანია ამ სიკეთეთა ხელმისაწვდომობის სრულყოფის ხარისხით, კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად საქართველოს შრომის კოდექსი ნორმატიულ აქტთა იერარქიაში ორგანული კანონის სტატუსით აღიჭურვა, რითაც კიდევ უფრო გამოიკვეთა ქვეყნის ძირითადი კანონით გაცხადებული ხალხის ნება დემოკრატიული, სამართლიანი და სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის მიზანში. აღნიშნული პოზიციიდან გამომდინარე, საბაზრო ურთიერთობებში მენარმეთა მიერ პასუხისმგებლობების ტვირთის სამართლიანად ზიდვის საკუთარი მიხედულებით განსაზღვრა, ძირშივე ეწინააღმდეგება ხალხის ძირითად კანონში გაცხადებულ ნებას სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების და ღირებულებების საკითხში, ამავე დროს აკნინებს ადამიანის, როგორც ასეთის, პრიორიტეტულ მნიშვნელობას და გულგრილობას ავლენს ადამიანის ყოფის და განვითარების აღიარებულ ღირებულებათა მიმართ. ეს ტვირთი კიდევ უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს, როცა საქმე ეხება საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ მუშაკს.

სააპელაციო პალატამ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2014 წლის 26 აგვისტოს დამტკიცებული დასკვნით დადგენილად მიიჩნია, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სახმელეთო ჯარების საავიაციო ბრიგადის საავიაციო ტექნიკური საექსპლუატაციო სარემონტო ნაწილის „სუ-25“ ტიპის თვითმფრინავების საექსპლუ-

ატაციო რგოლის თვითმფრინავებისა და ძრავების ჯგუფის ტექნიკოსი, სამოქალაქო პირი, რ. ბ-ის ძე ქ-ი გაირდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, აღნიშნული დასკვნით სამსახურებრივი შემონმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ №44763 სამხედრო ნაწილის მეთაურის 2014 წლის 30 მაისის №97 ბრძანებით რ. ქ-ი 2014 წლის 1 ივნისის 10:00 საათიდან, 2 ივნისის 10:00 საათამდე დაინიშნა საბრძოლო მორიგეობის საბრძოლო გათვლად. 2014 წლის 1 ივნისს მორიგეობაზე მყოფი რ. ქ-ი იმყოფებოდა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მდებარე თვითმფრინავების სადგომზე და ასრულებდა საბრძოლო გათვლის ფუნქციას. დაახლოებით 21 საათსა და 45 წუთზე მოულოდნელად ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა იქვე მდებარე თვითმფრინავების სარემონტო იარაღების შესანახ სათავსოს მთლიანად გადახადა სახურავი და თუნუქის ფირფიტა თავის არეში დაეცა საბრძოლო მორიგეობაზე მყოფ რ. ქ-ს, რომელიც წაიქცა და აღნიშნულის შედეგად მიიღო სიცოცხლისათვის შეუთავსებელი ჯანმრთელობის მრავლობითი დაზიანებები. გარდაცვალების მოწმობით დასტურდება, რომ რ. ქ-ი გარდაიცვალა 2014 წლის 1 ივნისს. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილების მიერ 1981 წლის 31 იანვარს გაცემული ქორწინების მოწმობის თანახმად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია რ. ბ. ქ-ისა და მ. რ. რ-ის ქორწინება, ქორწინების შემდეგ მიეცათ გვარები: ქმარს – ქ-ი, ცოლს – ქ-ი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 17 სექტემბრის № MOD 3 14 0000 1300 ბრძანების თანახმად, შეიარაღებული ძალების საავიაციო ბრიგადის ტექნიკური საექსპლოატაციო სარემონტო ნაწილის „სუ-25“ ტიპის თვითმფრინავების საექსპლოატაციო რგოლის თვითმფრინავებისა და ძრავების ჯგუფის ტექნიკოსის, სამოქალაქო პირის – რ. ქ-ის ოჯახის წევრს – მეუღლე მ. ქ-ს მიეცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 992-ე მუხლებზე და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 01 მარტის №45 დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, ამავე დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით, მიიჩნია, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განმარტებულია, რომ ბენეფიციარი არის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ამ წესის შესაბამისად,

დანიშნული აქვს დახმარება, ამავე დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულია ბენეფიციარის უფლება-მოვალეობები, კერძოდ ბენეფიციარს უფლება აქვს: ა) მიიღოს დახმარება ამ წესით დადგენილი პირობებით; ბ) დამატებით მიიღოს სხვა არაფულადი სარგებელი ან/და სხვა ფულადი გასაცემლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; გ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ეს უკანასკნელი დანაწესი სწორედაც, აფართოებს სარჩოს დანიშვნასთან დაკავშირებით გადასახედ საკითხებს ბენეფიციარის უფლების რეალიზაციის შემთხვევებში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან დადგენილია, რომ მ. ქ-ის მიუღლე დასაქმებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და იღებდა ხელფასს – ყოველთვიურად 600 ლარის ოდენობით, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა სანარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩოს სახით მიიღოს ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მიიღებდა ხელფასს რ. ქ-ი, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო. პალატამ განმარტა, რომ სარჩოს მიღების უფლება წარმოადგენს პირის შესაძლებლობას, გარანტირებულ უფლებას შესაბამისი პირობების დადგომისას, აუნაზღაურდეს სანარმოო ტრავმით მიღებული ზიანი. აღნიშნული კი, გულისხმობს პირისათვის შემოსავლის მიღების უზრუნველყოფას სანარმოო ტრავმის არარსებობის პირობებში შესაძლო შრომის ანაზღაურების შესაბამისად. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სარჩოს სახით გადასახდელი ზიანის ანაზღაურების საფუძველია პირის მდგომარეობა, კერძოდ, ჩვეულებრივ შრომის ანაზღაურების მიღების შეუძლებლობა, მისი ანაზღაურების შეწყვეტის ან ნაწი-

ლობრივ შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს, მხოლოდ პირის შრომის უნარის აღდგენა, შესაბამისად, აღნიშნული ვითარება უნდა კომპენსირდეს დაზარალებული მუშაკის სასარგებლოდ შესაბამისი პირობების დადგომისას სამართლიანი კომპენსირების თანაბარზომიერების გამო გაზრდილი მოთხოვნების (408.2მ) თანახმად.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი მიუთითებს, რომ სამხედრო პოლიციის 2014 წლის 26 აგვისტოს დასკვნის თანახმად, რ. ქ-ის გარდაცვალება დადგა საბრძოლო მორიგეობაზე ყოფნის დროს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას და მისი გარდაცვალება ჩაითვალა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად. შესაბამისად, თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 17 სექტემბრის №1300 ბრძანებით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 40¹ მუხლის „დ“ ქვეპუნქტის და 41-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, რ. ქ-ის ოჯახის წევრს, მეუღლე მ. ქ-ს მიეცა ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით. ამდენად, დამსაქმებელმა (სამინისტრომ) გარდაცვლილის ოჯახის მიმართ განახორციელა კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება და გასცა კანონქვემდებარე აქტით დადგენილი კომპენსაცია.

კასატორის განმარტებით, დადგენილი ფაქტია, რომ მოსამსახურის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით (რაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას) მიმდინარეობდა გამოძიება, თუმცა საქმე შეწყდა დანაშაულის არ არსებობის გამო და დადგინდა, რომ რ. ქ-ის სიცოცხლის მოსპობა გამოწვეული იყო უბედური შემთხვევით. შესაბამისად, უდავოა, რომ არ დადგენილა და არ გამოკვეთილა არც სისხლის სამართლის საქმის და არც ადმინისტრაციული წესით საქმის წარმოებისას ვინმეს (თავდაცვის სამინისტროს ან/და რომელიმე კონკრეტული პასუხისმგებელი პირის) ბრალეულობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესის თანახმად უნდა არსებობდეს დადგენილი ის პირი, რომლის ბრალეულობითაც

დადგა ფაქტი, რათა მასზე გავრცელდეს ის პასუხისმგებლობა, რომელიც დადგა მისი ბრალეულობით. კონკრეტულ შემთხვევაში სამინისტროს მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არც 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის არც 992-ე, მე-1000 მუხლის მე-2 ნაწილის, 1004-ე მუხლის პირველი ნაწილის, 1005-ე მუხლებით დადგენილი ვალდებულება არ დგას. იმ მარტივი მიზეზით, რომ უდავოდ დადგენილი ფაქტია ის გარემოება, რომ პირის გარდაცვალება გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (უბედური შემთხვევა) და არა ვინმეს ბრალეულობით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მარჩენლის გარდაცვალების შემთხვევაში სწორედ კონსტიტუციური და საკანონმდებლო („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“) ვალდებულებიდან გამომდინარე – სახელმწიფო პირს უნიშნავს კომპენსაციას მარჩენალის გარდაცვალების გამო, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში აქვს ადგილი და ამ კომპენსაციით მოსარჩელე უკვე უზრუნველყოფილია. ასევე თავდაცვის სამინისტრომ გარდაცვლილის ოჯახის წევრს გადასცა ერთჯერადი დახმარებაც. შესაბამისად, სახელმწიფოს დავალდებულება (კონკრეტულ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს სახით) რაიმე დამატებითი კომპენსაციის გაცემის კუთხით ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, მაშინ როდესაც არც სახელმწიფოს და არც კონკრეტული პირის (საჯარო მოხელის) ბრალეულობა სახეზე არ დგას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 9 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნის ნაწილში, რამდენადაც თბილისის სააპელაციო სასა-

მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა სარჩოს დაკისრება, ისეთ პირობებში, როდესაც საქმეზე არ არის გამოკვლეული და დადგენილი რამდენად აკმაყოფილებს მ. ქ-ი სარჩოს მიმღები პირის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან ბუნდოვანია მისაღები თანხა წარმოადგენს ზიანის ანაზღაურებას თუ სახელმწიფო კომპენსაციას, გარდა ამისა გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან არ დგინდება რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით მიიღო სააპელაციო პალატამ 600 ლარის ოდენობით თანხის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის მ. ქ-ის სასაგებლოდ სარჩოს სახით ყოველთვიურად 600 ლარის დაკისრება მეუღლის – რ. ქ-ის გარდაცვალებიდან მისი სიცოცხლის მანძილზე.

საქმეზე დადგენილია, რომ 2014 წლის 1 ივნისს მორიგეობაზე მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო-საჰაერო ძალების საავიაციო ბაზის სუ-25 ტიპის თვითმფრინავების საავიაციო ესკადრილის „D“ საავიაციო ტექნიკური რგოლის ტექნიკური ჯგუფის თვითმფრინავებისა და ძრავების ტექნიკოსი რ. ქ-ი იმყოფებოდა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მდებარე თვითმფრინავების სადგომზე და ასრულებდა საბრძოლო გათვლის ფუნქციას. დაახლოებით 21 საათსა და 45 წუთზე მოულოდნელად ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა იქვე მდებარე თვითმფრინავების სარემონტო იარაღების შესანახ სათავსოს მთლიანად გადახადა სახურავი და თუნუქის ფირფიტა თავის არეში დაეცა საბრძოლო მორიგეობაზე მყოფ რ. ქ-ს, რომელიც წაიქცა და აღნიშნულის შედეგად მიიღო სიცოცხლისათვის შეუთავსებელი ჯანმრთელობის მრავლობითი დაზიანებები და 2014 წლის 1 ივნისს გარდაიცვალა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 2014 წლის 1 ივნისს, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის გამოძიების მთავარი სამმართველოს აღმოსავლეთ საგამოძიებო სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის საგამოძიებო განყოფილებაში დაიწყო გამოძიება №103020614001 სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით. დადგინდა, რომ რ. ქ-ის გარდაცვალება დადგა საბრძოლო მორიგეობაზე ყოფნის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რის გამოც მისი გარდაცვალება უნდა ჩაითვალოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად.

2014 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით №103020614001 სის-

ხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 17 სექტემბრის № MOD 3 14 00001300 ბრძანების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან რ. ქ-ის ოჯახის წევრს – მეუღლე მ. ქ-ს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური ნოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 40¹ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მიეცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით, ამდენად მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ რ. ქ-ის გარდაცვალება დადგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოა, თუ რამდენად წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებულ პირს, (მარჩენალის გარდაცვალების ან ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო,) მოსარჩელეს მისი სიცოცხლის მანძილზე ყოველთვიურად აუნაზღაუროს სარჩოს სახით გარდაცვლილი მეუღლის ხელფასის ოდენობით მისაღები თანხა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის სამართლებრივი შეფასებისას, უპირველესად უნდა განისაზღვროს, სოციალური სფეროს მარეგულირებელ ნორმებს ეფუძნება ის, თუ დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობას. მოთხოვნის უფლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების სათანადო შემოწმების შემთხვევაში სააპელაციო პალატას ჰქონდა შესაძლებლობა დაედგინა, რამდენად არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიურად თანხის გადახდის ვალდებულება, რაც პალატის მიერ არ იქნა განხორციელებული.

საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, დანაწესებიდან გამომდინარე მოსარჩელე უფლებამოსილი იყო სარჩოს სახით მიეღო ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის სიცოცხლის ხანგრძლივობით, რამდენადაც მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნას ასაბუთებდა, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მეუღლის ხელფასი წარმოადგენდა ოჯახის შემოსავლის ერთადერთ წყაროს, რაც შეუწყდა მეუღლის გარდაცვალების გამო, მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე კი საჭიროებს მკურნალობას. აღნიშნული მოცემულობა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ ქმნის ზე-

მოაღნიშნული მუხლების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების პირობას. რამდენადაც, სასამართლოს შეფასების საგანია მოსარჩელის (გარდაცვლილი მარჩენალის მეუღლის) სასარგებლოდ მოპასუხისათვის სარჩოს დაკისრების მართლზომიერება, რა დროსაც უნდა განიზღვროს მისაღები თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, რათა დადგინდეს მისაღები თანხა წარმოადგენს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას თუ სახელმწიფო კომპენსაციას, რამდენადაც მოსარჩელე არ არის შეზღუდული მიმართოს სასამართლოს როგორც კომპენსაციის ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლზე, რომელიც ადგენს სარჩოს დაკისრების სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებმაც, დაზარალებულის გარდაცვალებით, დაკარგეს მარჩენალი. სარჩოს დაკისრების სავალდებულო პირობას წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი არ არის. სარჩოს მიმღებ პირად მიიჩნევა დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელსაც დამოუკიდებლად საკუთარი რჩენის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს არასრულწლოვნობის ან შრომისუუნარობის გამო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი სარჩოს მიმღებ პირად უთითებს იმ შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს; საქმეზე არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ მარჩენალის მეუღლე – მ. ქ-ი წარმოადგენს სწორედ იმ პირს, რომლის რჩენის ვალდებულებაც გააჩნდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შედეგად გარდაცვლილ მარჩენალს – რ. ქ-ს, ასევე საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არ დგინდება, რომ მოსარჩელის ერთადერთ შემოსავალს წარმოადგედა მეუღლის ხელფასი, იმყოფებოდა მის კმაყოფაზე და მეუღლის გარდაცვალებით წაერთვა სარჩო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანი (სარჩოს სახით) გულისხმობს პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფით შედეგებს და ეს ზემოქმედება უნდა მომდინარეობდეს ბრალეული ქმედებით. სარჩოს დაკისრებისათვის აუცილებელია დადგინდეს მოპასუხის ბრალეული ქმედება შენობის (ფარდულის) სარემონტო სამუშაოების განუხორციელებლობასთან დაკავშირებით, აღნიშნული ფაქტის დადგენის გარეშე შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა რ.

ქ-ის გარდაცვალებასა და თავდაცვის სამინისტროს მიერ შენობის სარემონტო სამუშაოების ბრალეულად შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებები და არსებობს სარჩოს დაკისრების წინაპირობები, ზემოაღნიშნული 1006-ე მუხლის აკეთებს მითითებას სარჩოს გადახდის ვალდებულების ვადაზე, კერძოდ განსაზღვარვს, რომ ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა, ეხადა სარჩო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა დრომდეა ძალაში რჩენის ვალდებულება, რა დრომდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. მოცემულ საქმეზე სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი განმარტებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ პირის ვალდებულება, არჩინოს მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი, მოქმედებს სწორედ ამ უკანასკნელის საპენსიო ასაკამდე. ამდენად, გადაანგარიშებული სარჩო მომავლის პერიოდისათვის უნდა შემოიფარგლოს გარკვეული ჩარჩოთი – კონკრეტული ვადით, როდესაც მოპასუხის ვალდებულება – ეხადა სარჩო, უნდა შეწყვეტილიყო. ამასთან, მოცემული დავის განწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სარჩოს ოდენობის სწორად დადგენა, რათა გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირისათვის შესაბამისი ოდენობის სარჩოს გადახდით მიღწეულ იქნეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზანი. ზიანის ოდენობა განისაზღვრება გარდაცვლილის ხელფასის (შემოსავლის) იმ წილის ოდენობით, რომელსაც პირი იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო სარჩოს სახით მარჩენალის გარდაცვალებამდე. სააპელაციო პალატის მიერ არ არის მითითებული და საქმეში არ მოიპოვება ის მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ქ-ის ხელფასის ოდენობა შეადგენდა 600 ლარს.

სააპელაციო პალატის მიერ სათანადო გამოკვლევასა და შეფასებას საჭიროებს კასატორის მიერ მითითებული ფაქტი, იმასთან დაკავშირებით, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ვალდებულებიდან გამომდინარე – კომპენსაციით მოსარჩელე უკვე უზრუნველყოფილია, რამდენაცად აღნიშნული ფაქტი არაერთხელ იქნა მითითებული ქვედა ინსტანციის სასამართლოში და სასარჩელო მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებისა და დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის საფუძველზე მოსარჩელე თავად წყვეტს

სარჩელის აღძვრის საჭიროებას, განსაზღვრავს მოპასუხეს, სასარჩელო მოთხოვნას და ფაქტებს, რომლის დადგენასაც უკავშირდება ყოველი კონკრეტული საქმის გადანყევტა სასამართლოში. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლომ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო პალატამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს სარჩელის მიზანი, სარჩელში გამოკვეთილი უნდა იყოს პირის კანონიერი ინტერესი, რომელიც გამოხატული უნდა იყოს მატერიალურ-სამართლებრივ სივრცეში. სააპელაციო პალატამ სარჩელის მიზნისა და ფაქტობრივი გარემოებების შემდეგ უნდა განსაზღვროს გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმა, რომელიც, დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე, შესაძლებელია იყოს როგორც სოციალური სფეროს მარეგულირებელი, ასევე დელიქტით მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლზე და განმარტავს, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა არ არის შეზღუდული მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას – მიზანშეწონილი და შესაძლებელია თუ არა სარჩელის ტრანსფორმირება, რაც მოთხოვნის არა გაზრდად, არამედ დაზუსტებად უნდა ჩაითვალოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე მოსარჩელეს მინიჭებული აქვს თავისუფლება საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს მისთვის მინიჭებული მატერიალური და საპროცესო უფლებები. სწორედ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე მხოლოდ მოსარჩელეა უფლებამოსილი განსაზღვროს დავის საგანი და მიუთითოს სასარჩელო მოთხოვნის რა ფარგლებით მიმართავს იგი საქმის განმხილველ სასამართლოს. ამასთან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-19 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, (რაც არ ანაცვლებს ადმინისტრაციულ ორგანოში განსახორციელებელ წარმოებას) აღნიშნული უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და საქმეზე სათანადო მტკიცებულებების მოძიების საფუძველზე საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქ-

ტობრივი გარემოებების დადგენას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის ტრანსფორმირება არის ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოხატულება. ერთი მხრივ, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს სასამართლოს აქტიურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო, მიუხედავად მისი აქტიური როლისა, უფლებამოსილი არ არის, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში სარჩელის ტრანსფორმირების შესაძლებლობისა, სასამართლოები შეზღუდული არიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე და მე-3 მუხლების მოქმედებით, რომელთა მიხედვითაც, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს მხარეებს ის, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მაშინ როდესაც მხარე პროცესუალურად სწორად ვერ აყალიბებს თავის მოთხოვნას პროცესის მოსამართლემ სარჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაადგინოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების დასაცავად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი. პროცესუალური უფლებები და მატერიალური მოთხოვნები არ უნდა იქნეს უარყოფილი, იმის გამო რომ სასარჩელო მოთხოვნა ვერ იქნა ჩამოყალიბებული, შესაბამისად, მოსამართლეს შეუძლია ხელი შეუწყოს მოთხოვნის ტრანსფორმირებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე, თუმცა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დგინდება, რომ მოსარჩელის იურიდიულ ინტერესი ვერ იქნება მიღწეული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, რამდენადაც არ არსებობს საქმეზე მოპასუხედ დასახელებული ორგანოსათვის თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მისი მხრიდან შესრულებულია კანონით დაკისრებული ვალდებულება მოსარჩელის მიმართ, თანხის ერთჯერადად გადახდის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ის შესაძლებლობები და მექანიზმები, რასაც მას კანონმდებლობა ანიჭებს. იგი ფორმალურ-

რად მიუდგა სადავო საკითხს და დავის საგანი არსებითი განხილვის გარეშე დატოვა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების დაუცველობის პირობებში დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ამასთან, იგნორირებულია დავის საგანი და მოსარჩელის ინტერესი, საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები და დაადგინოს მითითებული სადავო გარემოებები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეების ჩართვის, დავის საგნის დაზუსტებისა და ტრანსფორმირების მიზნით, უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, სასამართლო საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დაეხმაროს მოსარჩელეს განახორციელოს მოთხოვნის ტრანსფორმირება, დაზუსტდეს სასარჩელო მოთხოვნა, მოპასუხეთა წრე და მხოლოდ აღნიშნული პროცესუალური მოქმედებების განხორციელების შემდეგ იქნეს განხილული მ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა და საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჭიროა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება, საქმეში ყველა მხარის ჩართვა, დავის გადასაწყვეტად საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა და მათი სამართლებრივი შეფასება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს ქმნის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სხვა სახის სოციალური დავები

პალიატიური მზრუნველობისათვის პაციენტთა შერჩევის კრიტერიუმები და საექიმო საქმიანობის წესის დარღვევა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-831-827(კ-17)

19 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 17 ივნისს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...“ მიმართ.

მოსარჩელემ შპს „...“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 504 625.00 ლარის გადახდის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ განახორციელა შპს „...ში“ ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესრულებული მომსახურების ინსპექტირება, რაც მოიცავდა 2011 წლის 26 დეკემბრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე პერიოდს. შემონშების შედეგად დადგინდა რიგი დარღვევები, კერძოდ, პალიატიურ მკურნალობას ახორციელებდნენ ექიმები, რომლებიც არ ფლობდნენ შესაბამის სუბსპეციალობის მონშობას – „ტკივილის მედიცინა და პალიატიური მკურნალობა“, რითაც დარღვეულ იქნა ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-14 მუხლის მე-10 პუნქტითა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-11 პუნქტით. ამასთან, სოციალური მომსახურების სააგენტოსგან დაწესებულებას მიღებული აქვს 860.750 ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, დაწესებულების საქმიანობის ინსპექტირებისას გაირკვა, რომ დარღვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“, „ა“, „გ.ბ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“, „ა“, „გ.ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები. ასევე, შემონმებისას დადგინდა, რომ რიგ ონკოლოგიურ პაციენტებს მკურნალობა უტარდებოდა 6 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მითითებული არ იყო ის შემთხვევები, რასაც ადგილი ჰქონდა დაწესებულების შემონმებისას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 აგვისტოს საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; მოპასუხე შპს „...“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა 504 625.00 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი (შემდგომში – სახელმწიფო სერტიფიკატი). დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პირს აქვს მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატში აღნიშნული სპეციალობით (სპეციალობებით), გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისებისა.

სასამართლომ ასევე მიუთითა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 თავის 28-ე მუხლზე, რომლითაც დადგენილია, რომ დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი სამედიცინო განათლების მქონე

პირს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი შესაბამის სპეციალობაში. აღნიშნული კანონის 33-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულ პირს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „გ.ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების თანახმად, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველია: ა) თუ ძირითადი (პროგრამულ ანაზღაურებას დაქვემდებარებული) დიაგნოზი არ დასტურდება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემებით ან დამძიმებულია, ან წარმოდგენილია თანმხლები დიაგნოზის სახით; გ.ბ) მომსახურება განუღებია იმ დიაგნოზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით ან/და მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით; ე) თუ მკურნალობის პროცესში ჩართული ყველა ექიმი არ ფლობს შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისათვის; ზ) თუ შემთხვევის შესახებ მონაცემები ან/და დოკუმენტაცია არ ასახავს სინამდვილეს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „გ.ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველია: ა) თუ ძირითადი (პროგრამულ ანაზღაურებას დაქვემდებარებული) დიაგნოზი არ დასტურდება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემებით, ან დამძიმებულია, ან წარმოდგენილია თანმხლები დიაგნოზის სახით; გ.ბ) მომსახურება განუღებია იმ დიაგნოზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით ან/და მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით; ე) თუ მკურნალობის პროცესში ჩართული ყველა ექიმი არ ფლობს შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისათვის.

სასამართლოს მითითებით, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ შპს „...“, „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიურ მზუნველობის“ სახელმწიფო პროგრამის, „ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზუნველობის“ კომპონენტის ფარგლებში, პალიატიურ მომსახურებას

ახორციელებდნენ ექიმები, რომლებიც არ ფლობდნენ სუბსპეციალობის მოწმობას – „ტკივილის მედიცინა და პალიატიური მზრუნველობა“ საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/6 ბრძანების თანახმად.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 3 ექიმის მიერ სახელმწიფო სერტიფიკატის მიღებამდე განხორციელებულ იქნა უკანონო საექიმო საქმიანობა – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 5 პაციენტისთვის გაწეულ იქნა დამოუკიდებელი სამედიცინო მომსახურება. სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე 14 ექიმიდან შვიდს გააჩნდა სახელმწიფო სერტიფიკატი – „საოჯახო მედიცინა“, თუმცა არ გააჩნდა სახელმწიფო სერტიფიკატი იმ საექიმო საქმიანობაში, რომელთა დამატებით კომპეტენციას წარმოადგენს სუბსპეციალობა. შესაბამისად, სასამართლოს მითითებით, დარღვეულ იქნა ზემოაღნიშნული ნორმები.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-11 დანართის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ჰყავს პალიატიური ზრუნვის მინოდებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული პროფილისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც დადასტურებულიად აქვთ გავლილი გადამზადება პალიატიურ მზრუნველობაში, ახორციელებს მომსახურებას „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/6 ბრძანებით განსაზღვრული პირობებისა და მოცულობის დაცვით, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/6 ბრძანებით დამტკიცებული ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმად, ავადმყოფების სამ ძირითად ჯგუფს, რომელთაც სიცოცხლის დასას-

რულს სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროებათ, წარმოადგენს: ა) მე-4 სტადიის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულნი; გ) არაონკოლოგიური ქრონიკული მოპროგრესე სენით დაავადებულნი ტერმინალურ სტადიაში (გულის, ფილტვების დეკომპენსაციის, ლვიძლისა და თირკმლების უკმარისობის სტადიები, გაფანტული სკლეროზი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევების მძიმე შედეგები და სხვ.). ამავე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პალიატიური მზრუნველობისათვის პაციენტთა შერჩევის კრიტერიუმებია: ა) სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა არა უმეტეს 3-6 თვისა; ბ) შემდგომი მკურნალობის ნებისმიერი მცდელობის მიზანშეუწონლობა (სპეციალისტების მტკიცე რწმენის გათვალისწინებით, რომ დიაგნოზი სწორადაა დასმული); გ) ავადმყოფის ისეთი ჩივილები და სიმპტომები, რომლებიც სიმპტომური თერაპიისა და მოვლისათვის სპეციალურ ცოდნასა და უნარს საჭიროებს.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს შემონმების აქტით დასტურდებოდა, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 54 054 ვიზიტი განეკუთვნებოდა ონკოლოგიურ პაციენტებს, რომელთა დიაგნოზებში გამოტანა იქნა კიბოს I, II ან III სტადია, ან სტადია არ იყო მითითებული.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდებოდა, რომ რიგ შემთხვევაში, პაციენტები სახელმწიფო პროგრამაში ჩართულნი იყვნენ ხანგრძლივი (6 თვეზე მეტი) დროის განმავლობაში. გარდა ამისა, 54 054 ვიზიტიდან 12046 ვიზიტი განხორციელებულ იქნა გუნდის მიერ, სადაც ექიმს არ გააჩნდა სახელმწიფო სერტიფიკატი იმ საექიმო საქმიანობაში, რომელთა დამატებით კომპეტენციას წარმოადგენს სუბსპეციალობა – „ტკივილის მედიცინა და პალიატიური მზრუნველობა“. 54 054 ვიზიტის (594 594,00 ლარი) შემთხვევაში დარღვეულ იქნა ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „გ.ბ“, „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის „გ.ბ“ და „ა“ ქვეპუნქტებით.

სასამართლოს მითითებით, ძირითად შემთხვევებში, პაციენტები მონაწილეობდნენ სახელმწიფო პროგრამაში იმ დიაგნოზების საფუძველზე, რაც დაფიქსირებულია სამედიცინო დანესებულებების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებში. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც პალიატიური მზრუნ-

ველობის განმახორციელებელი დაწესებულების ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში გამოტანილი დიაგნოზები/მონაცემები არ არის დაფიქსირებული აღნიშნულ ფორმაში ან/და არ შეესაბამება მასში გამოტანილ დიაგნოზებს/მონაცემებს. რიგ შემთხვევებში კი, სამედიცინო ბარათების სატიტულო გვერდზე, ექიმის მიერ გამოტანილია დიაგნოზები, რომელიც არ არის განსაზღვრული მათი სახელმწიფო სერტიფიკატით მინიჭებულ საექიმო საქმიანობის ფარგლებში. აღნიშნული დიაგნოზები არ არის დაფიქსირებული სამედიცინო ბარათებში მოთავსებულ სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 55 349 ვიზიტის (608 839, ლარი) შემთხვევაში დარღვეულ იქნა ის მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-3 პუნქტის „ა“, „გ“ „გ.ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე ბრძანების მე-14 მუხლის მე-10 პუნქტით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ე“, „გ.ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და ამავე დადგენილების 21-ე მუხლის მე-11 პუნქტით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-11 პუნქტზე, რომლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების/საქონლის მიწოდებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა (გარდა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესისა), რომელიც გამოვლინდება რევიზიის დროს, გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას შემთხვევის ღირებულების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 10%-ით. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა მიმწოდებლის მიერ, რომელიც გამოვლენილი იქნება რევიზიის დროს, გამოიწვევს ამ უკანასკნელის დაჯარიმებას შემთხვევის ღირებულების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 10%-ით.

სასამართლოს მითითებით დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი „შესრულებული სამუშაოს ყოველთვიური პირველადი მიღება-ჩაბარების აქტებისა“ და ცნობის თანახმად, საანგარიშო პერიოდში „ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობის“ კომპონენტის ფარგლებში, სსიპ სოციალური მომსახუ-

რების სააგენტოში, დაწესებულების მიერ წარდგენილ იქნა 860 816,00 ლარის შესრულებული მომსახურების ანაზღაურებაზე მოთხოვნა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებულ იქნა 860 816,00 ლარი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილია ის გარემოება, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2014 წლის 22 იანვრის №04/4458 წერილით შპს „...“ აცნობა, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის 12 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაკისრებული ჰქონდა 86075,00 ლარის ოდენობით საჯარიმო სანქციის გადახდისა და 418550 ლარის ოდენობით ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაბრუნების ვალდებულება (სულ 504625,00 ლარი).

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები და მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო და მოპასუხე შპს „...“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ დაკისრებოდა 504 625,00 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და იმავე სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით; მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები; სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის დანაწესზე, რომლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3 წლის ვადაში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს მიმწოდებლების მიერ განეული მომსახურების რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ რევიზია ითვალისწინებს მიმწოდებელ დანესებულებაში სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებას. რეგულირების სააგენტოს სარევიზიო ჯგუფი მიმწოდებლისგან ითხოვს საჭირო დოკუმენტაციას და ახორციელებს მის დეტალურ შემოწმებას, ხოლო დანესებულება ვალდებულია, სარევიზიო ჯგუფს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული მუხლი ქმნის იმის საფუძველს, რომ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაციის გადაწმობის გზით ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა უფლება ანაზღაურებული შემთხვევის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში, აღმოჩენილი დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, გამოიყენოს სახვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქცია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გამოიციხა სააპელაციო საჩივარში წარდგენილი მოტივაციის გაზიარებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის შპს „...“ მითითებით, სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად და ერთმნიშვნელოვნად დადასტურებულად მიიჩნია სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტში მითითებული გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება მიუხედავად იმისა, რომ არც მონინალმდებელ მხარეს და არც მესამე პირს არ წარუდგენია მათი დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს არ უმსჯელია აქტში მითითებული გარემოებების საფუძვლიანობაზე, ეჭვქვეშ არ დაუყენებია მათი რეალობა, ასევე, არ შეუფასებია მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ შპს „...“ ექიმების მიერ ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგ-

რამაში ჩართულ იქნენ ისეთი ონკოლოგიური პაციენტები, რომელთა დიაგნოზებში გამოტანილი იყო 1-ლი, მე-2 ან მე-3 სტადია ან სტადია მითითებული არ იყო, კასატორმა მიუთითა „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/ნ ბრძანების მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტზე და აღნიშნა, რომ ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია ასეთი ავადმყოფების სამი ძირითადი ჯგუფი და არა მხოლოდ სამი ჯგუფი. კასატორის განმარტებით, ავთვისებიანი სიმსივნის სტადია განისაზღვრება მისი გამოვლენის მომენტისათვის არსებული მდგომარეობის შესაბამისად, რომელიც არ იცვლება პაციენტის სიცოცხლის ბოლომდე, მიუხედავად იმისა, მკურნალობა ეფექტური იყო თუ, პირიქით, დაავადებამ განიცადა პროგრესირება. შესაბამისად, ის არ ასახავს დაავადების მიმდინარეობის დინამიკას. ამასთან, არსებობს ავთვისებიანი სიმსივნეთა მთელი ჯგუფი, რომელთა სტადიის დადგენა არ ხდება (სარკომები, ლეიკოზები, თავის ტვინის სიმსივნეები). აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა განმარტა, რომ სტადია არ წარმოადგენს ონკოლოგიური დაავადებებით შეპყრობილი პირების კურაბელობა/ინკურაბელობის და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების ამსახველ კრიტერიუმს. ასეთი ინდიკატორია კლინიკური ჯგუფი. კასატორის განმარტებით, პალიატიური მზრუნველობა უნდა გაეწიოს ნებისმიერ, მე-4 კლინიკური ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ონკოლოგიურ პაციენტს, მიუხედავად სტადიისა. შესაბამისად, ონკოლოგიური პაციენტი დაავადების 1-ლი, მე-2 ან მე-3 სტადიით ან ისეთი პათოლოგიით, რომლის სტადიის დადგენა საერთოდ არ ხდება, შესაძლოა იყოს ინკურაბელური (განუკურნებელი) და მას ესაჭიროებოდეს პალიატიური მზრუნველობა.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმ არაონკოლოგიური პაციენტების შემთხვევებზე, რომელთა დიაგნოზები, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მოსაზრებით, არ იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ დაავადება არის ტერმინალურ სტადიაში ან/და შესაბამისი მკურნალობის ჩატარების შემდეგ მათი მდგომარეობა არ გაუმჯობესდებოდა. არც მონინალმდეგე მხარეს და არც მესამე პირს ამ გარემოების რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

კასატორმა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-11 დანართის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინ-

სტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებზე მითითებით აღნიშნა, რომ იგი აწესებს სახელმწიფო პროგრამაში პაციენტის ჩართვის კრიტერიუმებს და არა სამედიცინო მომსახურების განევის ხანგრძლივობას. არც რომელიმე საკანონმდებლო აქტით და არც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებით არ არის ლიმიტირებული ავადმყოფების მომსახურების ხანგრძლივობა. კასატორმა მიუთითა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ტ“ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, პალიატიური მზრუნველობა არის აქტიური, მრავალპროფილური მზრუნველობა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება, სულიერი თანადგომა. იგი ვრცელდება იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება, ასეთი მზრუნველობით შესაძლებელია ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. კასატორმა, ასევე მიუთითა ამავე მუხლის „ყ“ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სამედიცინო დახმარების უწყვეტობა პალიატიური მზრუნველობის ღონისძიებების შეუფერხებელ განხორციელებასაც მოიცავს.

კასატორის განმარტებით, უკანონო საექიმო საქმიანობა წარმოადგენს სამართალდარღვევას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 442.3 მუხლით. სამართალდარღვევის არსებობა კი დადასტურებული უნდა იქნეს არა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით ან მოსაზრებით, არამედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს დადგენილებით. არც მოსარჩელეს და არც მესამე პირს ასეთი სასამართლო დადგენილება შპს „...ის“ თუნდაც ერთი ექიმის მიმართ არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, მათი განცხადებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მათ არც ერთი ექიმის მიმართ არ დაუყენებიათ. ამასთან, კასატორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს განცხადებით, „ტკივილის მედიცინასა და პალიატიურ მზრუნველობაში“ სუბსპეციალობის მოწმობა ქვეყნის მასშტაბით პირველად გაიცა მხოლოდ 2013 წლის ზაფხულში, ანუ სადავო პერიოდის დასრულების შემდეგ.

კასატორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის

შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით, „ტკივილის მედიცინა და პალიატიური მზრუნველობა“ „საოჯახო მედიცინის“ სუბსპეციალობად გამოყოფილი არ იყო, დღეს მოქმედი რედაქციით კი, პალიატიურ მედიცინაში სუბსპეციალობის მონმობის ფლობა სავალდებულოა მხოლოდ სტაციონარული მომსახურების განევისას, ხოლო „საექიმო სპეციალობათა პროფესიული კომპეტენციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 მარტის №01-8/ნ ბრძანების მე-10 დანართის მიხედვით, ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა შედის სპეციალობის „საოჯახო მედიცინის“ კომპეტენციაში.

კასატორმა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-11 დანართის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით განმარტა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ამოქმედების მომენტისათვის ქვეყანაში არ იყო არც ერთი ექიმი, რომელსაც ჰქონდა სუბსპეციალობის მონმობა „ტკივილის მედიცინასა და პალიატიურ მზრუნველობაში“, რაც ცნობილი იყო, როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, ისე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის, პროგრამის მიმწოდებლად როგორც შპს „...“, ისე სხვა სამედიცინო დაწესებულებების რეგისტრაცია მეტყველებს იმაზე, რომ თითოეული მათგანი აკმაყოფილებდა აღნიშნული საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კასატორის განმარტებით, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებების შესაბამისად, დანართი, თანდართული პროგრამები, სამედიცინო ვაუჩერთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტები და შესაბამის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე მიმწოდებლის წერილობითი დასტური ერთობლივად წარმოადგენს შეთანხმებას მხარეებს შორის და მხარეები თავისუფლდებიან რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისგან. შესაბამისად, მხარეთა შორის იყო სამოქალაქო სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რაც თავისი არსით, წარმოადგენდა წარდობის ხელშეკრულებას. კასატორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლსა და 146-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ვინაიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 22 იანვრის №04/4458 წერილი იყო პირველი

პრეტენზია ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მათი დაწესებულების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, შესაბამისად, მის მიერ 2013 წლის 22 იანვრამდე მიღებული სამუშაოს გამო ნებისმიერი მოთხოვნა, თუნდაც საფუძვლიანი, იყო ხანდაზმული და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწმინა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესულურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გან-

სახილველ შემთხვევაში კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ შპს „...“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 504 625 ლარის გადახდის დავალება მოითხოვა. შესაბამისად, დავის საგანს წარმოადგენს თანხის დაკისრების კანონიერება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტზე, რომლითაც ირკვევა, რომ 2011 წლის 26 დეკემბრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე იყო ინსპექტირების პერიოდი. ამასთან, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავდა ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტით ასევე ირკვევა, რომ შპს „...“, „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის“ სახელმწიფო პროგრამის, „ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის“ კომპონენტის ფარგლებში, პალიატიურ მომსახურებას ახორციელებდნენ ექიმები, რომლებიც არ ფლობდნენ სუბსპეციალობის მოწმობას – „ტკივილის მედიცინა და პალიატიური მზრუნველობა“ „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანების თანახმად.

აღნიშნული აქტით ირკვევა, რომ დარღვეულ იქნა ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-14 მუხლის მე-10 პუნქტითა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-11 პუნქტით.

ამასთან, 3 ექიმის მიერ განხორციელებულია უკანონო საექიმო საქმიანობა. მათ მიერ სახელმწიფო სერტიფიკატის მიღებამდე, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 5 პაციენტისთვის განეულ იქ-

ნა დამოუკიდებელი სამედიცინო მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული 5 პაციენტის სამედიცინო მომსახურების დროს დარღვეულ იქნა ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით. ასევე, დარღვეული იქნა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/6 ბრძანების მოთხოვნები. დაირღვა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 თავის 28-ე და 33-ე მუხლების მოთხოვნები.

შემონმების აქტის თანახმად, 970 ვიზიტის შემთხვევაში დარღვეულია ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით.

ასევე, სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე 14 ექიმიდან შვიდს გააჩნდა სახელმწიფო სერტიფიკატი – „საოჯახო მედიცინა“. თუმცა, არ გააჩნდა სახელმწიფო სერტიფიკატი იმ საექიმო საქმიანობაში, რომელთა დამატებით კომპეტენციას წარმოადგენს სუბსპეციალობა, რითაც დაირღვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/6 ბრძანების – საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნები.

ამასთან, შემონმების აქტით ირკვევა, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 54 054 ვიზიტი განეკუთვნება ონკოლოგიურ პაციენტებს, რომელთა დიაგნოზებში გამოტანილია კიბოს I, II ან III სტადია, ან სტადია არ არის მითითებული. რიგ შემთხვევაში, პაციენტები სახელმწიფო პროგრამაში ჩართულნი იყვნენ ხანგრძლივი (6 თვეზე მეტი) დროის განმავლობაში.

გარდა ამისა, 54 054 ვიზიტიდან 12046 ვიზიტი განხორციელებული იყო გუნდის მიერ, სადაც ექიმს არ გააჩნდა სახელმწიფო სერტიფიკატი იმ საექიმო საქმიანობაში, რომელთა დამატებით კომპეტენციას წარმოადგენს სუბსპეციალობა – „ტკივილის მედიცინა და პალიატიური მზრუნველობა“. შემონმების აქტის თანახმად, გან-

სახილველ შემთხვევებში არ იყო გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-11 დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/6 ბრძანებით დამტკიცებული „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის მოთხოვნები.

54 054 ვიზიტის (594 594,00 ლარი) შემთხვევაში დარღვეულ იქნა ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „გ.ბ“, „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის „გ.ბ“ და „ა“ ქვეპუნქტებით.

შემომწების აქტის მიხედვით, ძირითად შემთხვევებში, პაციენტები ჩართულნი იყვნენ სახელმწიფო პროგრამაში იმ დიაგნოზების საფუძველზე, რაც დაფიქსირებულია სამედიცინო დანესებულებების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებში. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც პალიატიური მზრუნველობის განმახორციელებელ დანესებულების ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში გამოტანილი დიაგნოზები/მონაცემები არ არის დაფიქსირებული აღნიშნულ ფორმაში ან/და არ შეესაბამება მასში გამოტანილ დიაგნოზებს/მონაცემებს.

შემომწების აქტის თანახმად, რიგ შემთხვევებში, სამედიცინო ბარათების სატიტულო გვერდზე, ექიმის მიერ გამოტანილია დიაგნოზები, რომელიც არ არის განსაზღვრული მათი სახელმწიფო სერტიფიკატით მინიჭებულ საექიმო საქმიანობის ფარგლებში. აღნიშნული დიაგნოზები არ არის დაფიქსირებული სამედიცინო ბარათებში მოთავსებულ სამედიცინო დანესებულებების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებში.

შემომწების აქტში აღნიშნულია, რომ დარღვეულია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 თავის 28-ე მუხლის მოთხოვნები.

ამასთან, 55 349 ვიზიტის (608 839 ლარი) შემთხვევაში დარღვეულ იქნა ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-3 პუნქტის „ა“, „გ“, „გ.ბ“ ქვეპუნქტებით, მე-14 მუხლის მე-10 პუნქტით, საქარ-

თველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ე“, „გ.ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და 21-ე მუხლის მე-11 პუნქტით.

როგორც აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში სადავოა შპს „...ისათვის“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 504 625 ლარის დაკისრების კანონიერება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტით ირკვევა, რომ „შესრულებული სამუშაოს ყოველთვიური პირველადი მიღება-ჩაბარების აქტებისა“ და ცნობის თანახმად, საანგარიშო პერიოდში „ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობის“ კომპონენტის ფარგლებში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, დაწესებულების მიერ წარდგენილ იქნა 860 816,00 ლარის შესრულებული მომსახურების ანაზღაურებაზე მოთხოვნა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან კი, მიღებულ იქნა 860 816,00 ლარი. დაწესებულების მიერ წარდგენილი ცნობის თანახმად, „ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობის“ კომპონენტის ფარგლებში, შესყიდულ და გახარჯულ იქნა 74 616,50 ლარის მედიკამენტები და სხვა სამედიცინო დანიშნულების საგნები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 22 იანვრის №04/4458 წერილით შპს „...“ ეცნობა, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის 12 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაკისრებული ჰქონდა 86 075,00 ლარის ოდენობით საჯარიმო სანქციის გადახდისა და 418 550 ლარის ოდენობით ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაბრუნების ვალდებულება (სულ 504 625,00).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომელიც არეგულირებს ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისას სხვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქციების გამოყენების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შინაარსისაა „2011

წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის პირველი პუნქტიც, რომლის თანახმად, ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქციები: ა) შემთხვევის სრულ ანაზღაურებაზე უარი; ბ) უკვე ანაზღაურებული შემთხვევისას თანხის უკან დაბრუნება; გ) დამატებითი ფინანსური ჯარიმა.

„2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის – თანხის უკან დაბრუნების საფუძვლები განისაზღვრება ამავე დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის თანახმად, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძვლებია: ა) თუ ძირითადი (პროგრამულ ანაზღაურებას დაქვემდებარებული) დიაგნოზი არ დასტურდება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემებით ან დამძიმებულია, ან წარმოდგენილია თანმხლები დიაგნოზის სახით; ბ) თუ სრულად არ ჩატარებულა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება; გ) თუ აღნიშნული შემთხვევა არ წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას; გ.ა) არ არის დაცული პროგრამის მოთხოვნა პაციენტის ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებით; გ.ბ) მომსახურება განეულია იმ დიაგნოზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით ან/და მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით; დ) თუ მიმწოდებელი არ ფლობს ლიცენზიას/ნებართვას ან სანებართვო დანართს შესაბამის სამედიცინო საქმიანობაზე, ან აწარმოებს მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობას სავალდებულო მეტყობინების გარეშე; ე) თუ მკურნალობის პროცესში ჩართული ყველა ექიმი არ ფლობს შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისათვის; ვ) თუ დადასტურდება, რომ სამედიცინო დაწესებულებისათვის პროგრამის მოსარგებლის მიმართვა/გარდაცვალება განპირობებულია ამ ან პროგრამის მონაწილე სხვა სამედიცინო დაწესებულებაში მანამდე ჩატარებული არასრული ან/და უხარისხო სამედიცინო დახმარებით, თანხის დაბრუნება ხდება იმ დაწესებულების მიერ, რომლის მიზეზითაც უშუალოდ დაზარალდა მოსარგებელი; ზ) თუ შემთხვევის შესახებ მონაცემები ან/და დოკუმენტაცია არ ასახავს სინამდვილეს.

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის

ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძვლებია: ა) თუ ძირითადი (პროგრამულ ანაზღაურებას დაქვემდებარებული) დიაგნოზი არ დასტურდება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემებით ან დამძიმებულია, ან წარმოდგენილია თანმხლები დიაგნოზის სახით; ბ) თუ სრულად არ ჩატარებულა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მკურნალობა; გ) თუ აღნიშნული შემთხვევა არ წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას: გ.ა) არ არის დაცული პროგრამის მოთხოვნა პაციენტის ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებით; გ.ბ) მომსახურება განუვლია იმ დიაგნოზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით ან/და მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით; დ) თუ მიმწოდებელი არ ფლობს ლიცენზიას/ნებართვას შესაბამის სამედიცინო საქმიანობაზე, ან ვერ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის პირობებს პროგრამული შემთხვევისას განუვლი სამედიცინო დახმარების შემადგენელი ყველა კომპონენტისათვის; ე) თუ მკურნალობის პროცესში ჩართული ყველა ექიმი არ ფლობს შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისათვის; ვ) თუ მიმწოდებელსა და სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეს შორის არ არის გაფორმებული ხელშეკრულება (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის/მომსახურების დაფინანსება ხორციელდება ვაუჩერის მეშვეობით); ზ) თუ დადასტურდება, რომ სამედიცინო დანესებულებისათვის პროგრამით მოსარგებლის მიმართვა/გარდაცვალება განპირობებულია ამ სამედიცინო დანესებულებაში მანამდე ჩატარებული არასრული ან/და უხარისხო სამედიცინო დახმარებით; თ) თუ შემთხვევა ან/და დოკუმენტაცია გაყალბებულია; ი) ანგარიშში წარმოდგენილი დიაგნოზი არ შეესაბამება პაციენტის რეალურ მდგომარეობას.

„2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, სამედიცინო მომსახურების/საქონლის მიწოდებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა (გარდა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესისა), რომელიც გამოვლინდება რევიზიის დროს, გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას შემთხვევის ღირებულების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 10%-ით. ანალო-

გიური შინაარსისაა „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-10 პუნქტის დანაწესიც.

აღსანიშნავია, რომ ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო შპს „...“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის დაკისრებას ითხოვს, მოცემულია სწორედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს შემონმების აქტში. განსახილველ შემთხვევაში კი, მნიშვნელოვანია შეფასდეს 2013 წლის 15 აგვისტოს შემონმების აქტში მოცემული გარემოებები ჩაითვლება თუ არა შპს „...“ მიერ განხორციელებულ დარღვევად და იძლევა თუ არა მის მიმართ სანქციის გამოყენების საფუძველს.

შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მხოლოდ ზემოაღნიშნული შემონმების აქტის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ რამდენად მართებულიად იქნა უცვლელად დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს „...“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა 504 625.00 ლარის გადახდა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს შემონმების აქტის თანახმად, 3 ექიმის მიერ განხორციელებულია უკანონო საექიმო საქმიანობა. მათ მიერ სახელმწიფო სერტიფიკატის მიღებამდე, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 5 პაციენტისთვის განუღებ იქნა დამოუკიდებელი სამედიცინო მომსახურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 442.3 მუხლზე, რომლის თანახმად, საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

„2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცე-

ბის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველია, თუ მკურნალობის პროცესში ჩართული ყველა ექიმი არ ფლობს შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისათვის.

მართალია, სახელმწიფო სერტიფიკატის მიღებამდე, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის განეული დამოუკიდებელი სამედიცინო მომსახურება ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველია, თუმცა საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 442.3 მუხლზე მითითებით, იზარებს კასატორის არგუმენტაციას და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი შემონმების აქტით არ დგინდება საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 442.3 მუხლის საფუძველზე შპს „...“ ექიმების მიმართ გამოყენებულ იქნა თუ არა სანქცია სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისთვის, რაც თავის მხრივ, არამართებულს ხდის „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გამოყენების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მხოლოდ აღნიშნულ მტკიცებულებაზე (2013 წლის 15 აგვისტოს შემონმების აქტი) დაყრდნობით მიიჩნიეს, რომ შპს „...ის“ 3 ექიმის მიერ განხორციელებული ქმედება იყო უკანონო საექიმო საქმიანობა.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს შემონმების აქტით ასევე ირკვევა, რომ შპს „...“, „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიურ მზუნველობის“ სახელმწიფო პროგრამის, „ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის“ კომპონენტის ფარგლებში, პალიატიურ მომსახურეობას ახორციელებდნენ ექიმები, რომლებიც არ ფლობდნენ სუბ-

სპეციალობის მონაწილას – „ტკივილის მედიცინა და პალიატიური მზრუნველობა“ „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანების თანახმად. ამასთან, სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე 14 ექიმიდან შვიდს გააჩნდა სახელმწიფო სერტიფიკატი „საოჯახო მედიცინა“, თუმცა, არ გააჩნდა სახელმწიფო სერტიფიკატი იმ საექიმო საქმიანობაში, რომელთა დამატებით კომპეტენციას წარმოადგენს სუბსპეციალობა. ასევე ირკვევა, რომ 54 054 ვიზიტიდან 12 046 ვიზიტი განხორციელებულ იქნა გუნდის მიერ, სადაც ექიმს არ გააჩნდა სახელმწიფო სერტიფიკატი იმ საექიმო საქმიანობაში, რომელთა დამატებით კომპეტენციას წარმოადგენს სუბსპეციალობა – „ტკივილის მედიცინა და პალიატიური მზრუნველობა“. შემონგების აქტის თანახმად, განსახილველ შემთხვევაში, არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-11 დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-11 დანართის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ჰყავს პალიატიური ზრუნვის მიწოდებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული პროფილისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც დადასტურებულად აქვთ გავლილი გადამზადება პალიატიურ მზრუნველობაში, ახორციელებს მომსახურებას „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/ნ ბრძანებით განსაზღვრული პირობებისა და მოცულობის დაცვით, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს. ამავე დადგენილების მე-11 დანართის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, პროგრამის ფარგლებში იფარება ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა, რომელიც მოიცავს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და გორის მუნიციპალიტეტში ინკურაბელურ პაციენტთა ბი-

ნაზე ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის განხორციელებას შესაბამისი მობილური გუნდის მიერ.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სადავო პერიოდზე, რომელიც განისაზღვრება ინსპექტირების პერიოდით და მოიცავდა 2011 წლის 26 დეკემბრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე თარიღს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის შპს „...“ არგუმენტაციას და აღნიშნავს, რომ „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით „საოჯახო მედიცინის“ სუბსპეციალობად არ იყო გამოყოფილი „პალიატიური მზრუნველობა“. „პალიატიური მზრუნველობა“ „საოჯახო მედიცინას“ სუბსპეციალობად გამოეყო მხოლოდ ზემოაღნიშნულ ბრძანებაში 2014 წლის 7 თებერვლის ბრძანებით შესული ცვლილებით.

ამასთან, „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანების დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, სუბსპეციალობის მონმოზა სავალდებულოა მხოლოდ სტაციონარული პალიატიური სერვისის მიმწოდებელი სუბიექტებისათვის, ხოლო „საექიმო სპეციალობათა პროფესიული კომპეტენციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 მარტის №01-8/ნ ბრძანების №10 დანართის მიხედვით კი, ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა შედის სპეციალობა – „საოჯახო მედიცინის“ კომპეტენციაში.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას მასზედ, რომ შვიდ ექიმს ჰქონდა უფლება რაიმე დამატებითი მონმობის გარეშე ამბულატორიულად განეხორციელებინათ პალიატიური მზრუნველობა. მით უფრო, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავდა ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობას.

ზემოაღნიშნულ მსჯელობასთან ერთად, აგრეთვე გასათვალისწინებელია კასატორის არგუმენტი მასზედ, რომ „ტივილის მედიცინასა და პალიატიურ მზრუნველობაში“ სუბსპეციალობის მონმოზა ქვეყნის მასშტაბით პირველად გაიცა მხოლოდ 2013 წლის ზაფხულში, ანუ სადავო პერიოდის დასრულების შემდგომ.

შემომნების აქტით ასევე ირკვევა, რომ სახელმწიფო პროგრამა-

მის ფარგლებში, 54 054 ვიზიტი განეკუთვნება ონკოლოგიურ პაციენტებს, რომელთა დიაგნოზებში გამოტანილია კიბოს I, II ან III სტადია, ან სტადია არ არის მითითებული. რიგ შემთხვევაში კი, პაციენტები სახელმწიფო პროგრამაში ჩართულნი იყვნენ ხანგრძლივი (6 თვეზე მეტი) დროის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/ნ ბრძანების მე-2, მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად, ავადმყოფების სამ ძირითად ჯგუფს, რომელთაც სიცოცხლის დასასრულს სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროებათ, წარმოადგენს: ა) მე-4 სტადიის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულნი; ბ) ტერმინალურ სტადიაში მყოფი შიდსით დაავადებულნი; გ) არაონკოლოგიური ქრონიკული მოპროგრესე სენით დაავადებულნი ტერმინალურ სტადიაში (გულის, ფილტვების დეკომპენსაციის, ლვიძლისა და თირკმელების უკმარისობის სტადიები, გაფანტული სკლეროზი, თავის კვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის მძიმე შედეგები და სხვ.).

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ იმ ავადმყოფთა ჩამონათვალი, რომელთაც სიცოცხლის დასასრულს სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროებათ არ არის ამომწურავი, იქიდან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული ნორმა იძლევა ასეთი ავადმყოფების მხოლოდ სამი ძირითადი ჯგუფის ჩამონათვალს.

შესაბამისად, მართალია, 54 054 ვიზიტის შემთხვევაში ონკოლოგიური პაციენტები, რომელთა დიაგნოზებშიც გამოტანილია კიბოს I, II ან III სტადია, ან სადაც სტადია საერთოდ არ არის მითითებული, ვერ ხვდებიან პაციენტების იმ სამ ძირითად ჯგუფში, რომელთაც სიცოცხლის დასასრულს სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროებათ, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მათ მიმართ პალიატიური მზრუნველობის გამოყენების საჭიროებას. მით უფრო, გასათვალისწინებელია „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/ნ ბრძანების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმადაც, პალიატიური მზრუნველობა გამოყენებულ უნდა იქნეს ნებისმიერი ქრონიკული (საბოლოო ანგარიშით) უკურნებელი დაავადების შემთხვევაში.

ამასთან, „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობი-

ლი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/6 ბრძანების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პალიატიური მზრუნველობისათვის პაციენტთა შერჩევის კრიტერიუმებია: ა) სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა არა უმეტეს 3-6 თვისა; ბ) შემდგომი მკურნალობის ნებისმიერი მცდელობის მიზანშეუწონლობა (სპეციალისტების მტკიცე რწმენის გათვალისწინებით, რომ დიაგნოზი სწორადაა დასმული); გ) ავადმყოფის ისეთი ჩივილები და სიმპტომები, რომლებიც სიმპტომური თერაპიისა და მოვლისათვის სპეციალურ ცოდნასა და უნარს საჭიროებს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის განმარტებას, რომ აღნიშნული ნორმის დანაწესი ითვალისწინებს არა სამედიცინო მომსახურების განევის ხანგრძლივობას, არამედ სახელმწიფო პროგრამაში პაციენტების ჩართვის კრიტერიუმებს. შესაბამისად, ის გარემოება, რომ პაციენტები ჩართულნი იყვნენ პროგრამაში ხანგრძლივი (6 თვეზე მეტი) დროის განმავლობაში, არ ქმნიდა შპს „...“ მიმართ სანქციის გამოყენების საფუძველს. მით უფრო, გასათვალისწინებელია ზემოაღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ავადმყოფს მკურნალობა უნდა გაეწიოს უკურნებელი დაავადების დიაგნოზის დასმისთანავე. რაც უფრო ადრე და სწორად იქნება ორგანიზებული და განეული ეს დახმარება, მით მეტია ალბათობა, რომ განხორციელდება დასახული ამოცანა – მიღწეულ იქნება ავადმყოფისა და მისი ოჯახის ცხოვრების ხარისხის მაქსიმალურად შესაძლებელი გაუმჯობესება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2013 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტით. სასამართლოებს შპს „...“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ 504 625.00 ლარის დაკისრების საკითხი უნდა გადაეწყვიტათ საქმეში არსებული მასალების ურთიერთშეჯერებისა და აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ნორმების სწორი განმარტების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას ამახვილებს შპს „...“ მიერ შესაგებელში წარმოდგენილ მასალებზე, რომელთა შორისაა სხვადასხვა სპეციალისტის საპასუხო წერილები შპს „...“ გენერალური დირექტორის, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცი-

ციის პრეზიდენტის, პროფესორ რეზო გაგუასა და პალიატიური მზრუნველობის საერთაშორისო ექსპერტის თ. რ-ის მიერ მათ მიმართ მიწერილ წერილებზე. აღნიშნულ წერილებში აღწერილია პაციენტების ზოგადი მდგომარეობა და დასმულია შემდეგი სახის შეკითხვები: არიან თუ არა აღნიშნული პაციენტები ინკურაბელური; არიან თუ არა ისინი იმ სტადიაში, როდესაც შესაძლებელია პათოგონომური მკურნალობის ჩატარება მათი განკურნების მიზნით; რამდენად საჭიროებენ ისინი პალიატიურ მზრუნველობას; ეთანხმებოდნენ თუ არა, რომ დაავადების ტერმინალურ სტადიაში პაციენტმა შესაძლებელია იცხოვროს გარკვეული პერიოდი (თვეებიც კი), ხოლო ავადმყოფი ტერმინალურ მდგომარეობაში იღუპება უახლოეს რამდენიმე დღეში; თანდართულ მონაცემებიდან გამომდინარე იმყოფებიან თუ არა პაციენტები დაავადების ტერმინალურ ან სიკვდილისწინა მდგომარეობაში. სპეციალისტების ინფორმაციული ხასიათის საპასუხო წერილებში კი, რომლებიც ზოგადი ხასიათის მატარებელია, ძირითადად აღნიშნულია, რომ იმ პაციენტების მდგომარეობა, რომლებიც მითითებულია წერილში, ნამდვილად შეესაბამება ინკურაბელურ მდგომარეობას და ასეთი პაციენტები საჭიროებენ პალიატიურ მზრუნველობას. ამასთან, პაციენტები ასეთი დიაგნოზებით მართლაც იმყოფებიან დაავადების ტერმინალურ ან სიკვდილის წინა სტადიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, რაც თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-

წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვეტერანის სტატუსის მინიჭება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ი ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ ი

№ბს-838-834(კ-17)

5 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-ემ, ი. ძ-მა, კ. მ-ემ, გ. მ-მა, ო. მ-მა, ს. მ-მა, მ. ლ-ემ, დ. მ-მა, გ. ლ-ემ, ო. მ-ემ, კ. ჩ-ემ, ო. მ-ემ, გ. მ-მა და გ. ლ-ემ 2015 წლის 06 ივლისს სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიმართ და მოითხოვეს მოსარჩელეთათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის, ვეტერანის სტატუსის მაძიებლის ფაქტის დამდგენი კომისიის 2015

წლის 21 მარტის სხდომის ოქმების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით გ. გ-ის, ი. ძ-ის, კ. მ-ის, გ. მ-ის, ო. მ-ის, ს. მ-ის, მ. ლ-ის, დ. მ-ის, გ. ლ-ის, ო. მ-ის, კ. ჩ-ის, ო. მ-ის, გ. მ-ის და გ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებლის ფაქტის დამდგენი კომისიის 2015 წლის 21 მარტის სხდომის ოქმები გ. გ-ის, ი. ძ-ის, კ. მ-ის, გ. მ-ის, ო. მ-ის, ს. მ-ის, მ. ლ-ის, დ. მ-ის, გ. ლ-ის, ო. მ-ის, კ. ჩ-ის, ო. მ-ის, გ. მ-ისა და გ. ლ-ისთვის ვეტერანის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ და დაევალა მოპასუხე სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებლის ფაქტის დამდგენ კომისიას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის განჩინებით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც საქალაქო სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად სწორად ცნო ისინი ბათილად და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მართებულად დაავალა, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხის მიმართ.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. გ-ემ, ი. ძ-მა, კ. მ-ემ, გ. მ-მა, ო. მ-მა, ს. მ-მა, მ. ლ-ემ, დ. მ-მა, გ. ლ-ემ, ო. მ-ემ, კ. ჩ-ემ, ო. მ-ემ, გ. მ-მა, გ. ლ-ემ განცხადებით მიმართეს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვეს ვეტერანის სტატუსის მინიჭება. მოსარჩელეთა მიერ წარდგენილ განცხადებებს დაერთო სანოტარო წესით დამოწმებული საბრძოლო მოკვლევები, სადაც

ნიქოზის მოხალისეთა ასეულის მეთაურის ი. ლ-ისა და ოცმეთაურთა და ათმეთაურთა მიერ ხელმოწერით დადასტურებულ იქნა ის ფაქტი, რომ თითოეული მოსარჩელე, როგორც მოხალისე, მონაწილეობდა ნიქოზში ქართულ-ოსური კონფლიქტის საბრძოლო მოქმედებებში. სსიპ ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ მოსარჩელებს უარი ეთქვათ ვეტერანის სტატუსის მინიჭებაზე იმ საფუძვლით, რომ განმცხადებლები საბრძოლო მოქმედებებში არ მონაწილეობდნენ, იყვნენ სოფელში არსებულ პირობით „პოსტებზე“ განმწესებულნი. აღნიშნული კი კომისიის მიერ არ ჩაითვალა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებად, შესაბამისად, არ მიენიჭათ ვეტერანის სტატუსი.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 14 ნოემბრის №871 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირობების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონაწილეობის გაცემის შესახებ ინსტრუქციის მე-6 მუხლით განსაზღვრულია იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლებიც ვეტერანის მონაწილობის მაძიებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამის სამსახურში, კერძოდ, მითითებული მუხლის „ვ.ბ“ ქვეკუთხედის მიხედვით, მოხალისეებზე, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში, წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების, საბრძოლო მოკვლევის აქტების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების ასლები და დედნები.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მიერ 2014 წლის 24 მარტის №37/ს ბრძანებით დამტკიცდა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირობების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონაწილეობის გაცემის თაობაზე თანდართული ინსტრუქციის მე-4 მუხლის თანახმად, ვეტერანის აღრიცხვაზე აყვანის დროს მის შესახებ მონაცემები შეიტანება ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დამტკიცებულ ანკეტაში. ამავე ინსტრუქციის მე-6 მუხლით განისაზღვრა ანკეტირებისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. კერძოდ, მითითებული მუხ-

ლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვეტერანთა აღრიცხვის სწორად წარმართვის მიზნით ვეტერანის დამადასტურებელი მონმობის მაძიებელმა შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთების დედნები და ანკეტაზე დასართავად დედნების კანონმდებლობით დადგენილი წესით დამონმებული ასლები: მოხალისეებზე, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში, წარდგენილი უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ დამონმებული ასლები; საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი. ხელმოწერები დადასტურებული უნდა იქნეს ნოტარიულად. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მოხალისედ მონაწილე პირები განეკუთვნებიან ასეთ მოქმედებებში მონაწილე ვეტერან პირებთან გათანაბრებულ პირებს და წარმოადგენენ ვეტერანის სტატუსის მინიჭების უფლების მქონე პირებს. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დაადგინა მოსარჩელეთა მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში და მიიჩნია, რომ მოსარჩელები განთავსებულნი იყვნენ მხოლოდ სოფელში არსებულ ე.წ. „პოსტებზე“ – საგუშაგოებზე. საქმეში წარმოდგენილია საბრძოლო მოკვლევები თითოეულ მოსარჩელესთან დაკავშირებით, რომლებზეც ასმეთაურის, ოცმეთაურისა და ათმეთაურის ხელმოწერები დადასტურებულია სანოტარო წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში არ არის წარმოდგენილი დასაბუთება, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული საბრძოლო მოკვლევებში მეთაურთა მიერ დაფიქსირებული პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელები იღებდნენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში. პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ ყურადღება სწორად გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო სადავოდ არ ხდის 1991-1992 წლებში ნიქოზში, დაძაბული ვითარების გამო, მოხალისეთა ასეულის შექმნის ფაქტს, რომელსაც მეთაურობდა ი. ლ-ე. უფრო მეტიც, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებლის ფაქტის დამდგენილი კომისიის მიერ ი. ლ-ის ასეულში შემავალ ცალკეულ პირებზე დადასტურებულ იქ-

ნა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა და მიენიჭათ ვეტერანის სტატუსი. აღნიშნულს ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ი. მ-ის, მ. მ-ისა და თ. მ-ის ანკეტა-განაცხადები, საბრძოლო მოკვლევები და კომისიის ოქმები. აღსანიშნავია, რომ მითითებულ პირთა მიერ კომისიისთვის წარდგენილ იქნა მოსარჩელების მიმართ შედგენილი საბრძოლო მოკვლევების ანალოგიური საბრძოლო მოკვლევები ხელმოწერილი იმავე მეთაურთა მიერ. საქალაქო სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ ერთი და იმავე ასეულის შემადგენლობაში შემავალი მოხალისეების მიმართ, რომლებიც ერთი და იმავე პერიოდში, ერთიდაიგივე ტერიტორიაზე არსებულ მოქმედებებში იღებდნენ მონაწილეობას, განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა, თუ რა არსებითი განსხვავება არსებობს წარმოდგენილ პირთა შორის, რამაც შესაძლებელია განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების კანონიერება დაადასტუროს. მოპასუხე მიუთითებს მხოლოდ იმ ფაქტზე, რომ ერთ-ერთმა სტატუსმინიჭებულმა პირმა უშუალოდ მიიღო მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში, რა დროსაც საკუთარი ძმა გამოიყვანა ბრძოლის ველიდან. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ ჭრილობების მიღების ან/და სხვა დაჭრილი პირების საბრძოლო ველიდან გამოყვანის შესახებ განმარტებების გაკეთების საფუძველზე. კანონმდებლობა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ერთ-ერთ დამადასტურებელ დოკუმენტად განიხილავს საბრძოლო მოკვლევას, წარდგენილს უფლებამოსილი პირის მიერ ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით, რაც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიერ წარდგენილ იქნა. აღნიშნული მტკიცებულების საპირწონედ ადმინისტრაციული ორგანო ვერ ადასტურებს, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული საბრძოლო მოკვლევაში მითითებული გარემოებები მოსარჩელებთან მიმართებით და გაზიარებულ იქნა სხვა პირთა მიმართ, რომლებიც ასევე იღებდნენ იმავე მოქმედებებში მონაწილეობას. სააპელაციო პალატამ ასევე მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის

არსებობისას. სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაადასტურა მოსარჩელებსა და ი., მ. და თ. მ-ეებს შორის არსებული განსხვავებული ფაქტობრივი მდგომარეობა, რამაც გამოიწვია მათ მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოცემული პირები არიან არსებითად ერთმანეთის მსგავს ფაქტობრივ გარემოებებში.

სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, 102-ე, 103-ე-105-ე მუხლებზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაადასტურა, რომ მოსარჩელები არ წარმოადგენდნენ იმ მოხალისე პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში ნიქოზში. იმ პირობებში, როდესაც ასეულის მეთაურის მიერ გაცემულია იდენტიური საბრძოლო მოკვლევები მის შემადგენლობაში მყოფ პირთა მიმართ, სადაც აღნიშნულია, რომ ისინი მამაცურად იბრძოდნენ, განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება არ არის დასაბუთებული, ვერ იქნა განმარტებული, დამატებით რა ფაქტობრივი გარემოებების არსებობამ განაპირობა განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, რასაც ადგილი არ ჰქონია მოსარჩელების შემთხვევაში. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კანონმდებელი აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). ადმინისტრაციული წარმოების ვალდებულების შესრულება ემსახურება ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, თუ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება და რა მოტივებით უარყო წარმოების შედეგით დაინტერესებული მხარის არგუმენტები. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებ-

ზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფნა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავენ მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს, რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო აქტები გამოცემულია კანონმდებლობის დანაწესების უგულვებელყოფით, საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და ამგვარად ზღუდავს მოსარჩელეთა უფლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 მაისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა სისპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა არასწო-

რად განმარტა, რაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა, აღნიშნული გარემოება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, კერძოდ, კასატორი განმარტავს, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის როგორც გონივრული, ასევე სიტყვა-სიტყვით განმარტებისას ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ომის ვეტერანის სტატუსის მისანიჭებლად საჭიროა მაძიებელი იყოს საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურე ან მუშაკი, რომლებსაც მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საბრძოლო მოქმედებებში, მათ შორის, სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. კასატორის მითითებით, მოსარჩელებს როგორც სასამართლოში, ასევე სამსახურში წარდგენილი არა აქვთ რაიმე საბუთი ან ინფორმაცია, საიდანაც დასტურდებოდა, რომ ისინი როგორც მოხალისეები შიდა ქართლში საომარი მოქმედებების დროს ირიცხებოდნენ რომელიმე ოფიციალურ სამხედრო ფორმირებაში. ასევე ვერ დგინდება, ზემო ნიქოზის გარდა რომელ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდნენ, ამდენად, სამსახური თავისი გადაწყვეტილების გამოტანისას ხელმძღვანელობდა ლიახვის ხეობის მოხალისეთა 2006 წელს შედგენილი სიებით, რომელშიც მოსარჩელები არ ფიგურირებენ.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 14 ნოემბრის №871 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონმობების გაცემის შესახებ ინსტრუქცია და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აგვისტოს №509 დადგენილება „ვეტერანის მონმობის ნიმუშისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. სასამართლოს უნდა ემსჯელა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2014 წლის 24 აგვისტოს №37/ს ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით, რომლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსისაა, მოხალისეებზე, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში, წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობებისა და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ

დამონმებული ასლები. ასევე, საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმონერით ადასტურებს იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი, ხელმონერები დადასტურებულ უნდა იქნეს ნოტარიულად. მოყვანილი ნორმიდან გამომდინარე, საბრძოლო მოქმედებების მონაწილის ვეტერანის სტატუსის მაძიებელმა, რომელიც არ ყოფილა ჩარიცხული ოფიციალურად სამხედრო ფორმირებაში, უნდა წარმოადგინოს – მათ ხელთ არსებული ნებისმიერი საბუთი ან ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა მათ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას, განსახილველ შემთხვევაში კი საბრძოლო მოკვლევა არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მტკიცებულება, საქმეში კი საბრძოლო მოკვლევის გარდა არ არსებობს სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელეთა საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობას. ამასთან კომისიაზე, ისევე როგორც 2017 წლის 18 მაისს გამართულ სხდომაზე მოსარჩელეთა მიერ ვერ იქნა გადმოცემული საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა აწარმოა ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა გამოკითხვა, ასევე გამოიკითხა სოფლის მოხალისეთა შენაერთის მეთაური ი. ლ-ე, მათ მიერ მიცემული განმარტებები იყო ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხველი, რის გამოც კომისიის წევრები, რომელთაც აწარმოეს გამოკითხვა და რომლის შემადგენლობაში შედიან საველე მეთაურები და პირები, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე ხელმძღვანელობდნენ საბრძოლო მოქმედებებს, მივიდნენ საერთო დასკვნამდე, მოსარჩელეთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე უარის თქმის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით სსპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარ-

ტამენტს და აცნობეს, რომ იბრძოდნენ სამაჩაბლოში, კერძოდ, ნიქოზის ასეულის შემადგენლობაში. განმცხადებლებმა მოითხოვეს მოხალისეთა კომისიაზე გატარება. მათ მიერ წარდგენილ იქნა საწარმოო წესით დამონმებული საბრძოლო მოკვლევა, რომლის თანახმად, მოსარჩელებს უდასტურდებათ, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ მოხალისე 1991-1992 წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის საბრძოლო მოქმედებებში, კერძოდ, სოფელ ზემო ნიქოზის მისადგომებთან. საბრძოლო მოკვლევას ხელს აწერენ მოხალისეთა ასეულის მეთაური ი. ლ-ე, ოცმეთაური ს. მ-ი და ათმეთაური ვ. მ-ი. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის ფაქტის დამდგენი კომისიის 2015 წლის 21 მარტის სხდომის ოქმის თანახმად, მოსარჩელეთა საკითხის განხილვისას პასუხისმგებელ პირად მონვეულ იქნა ი. ლ-ე – ნიქოზის მოხალისეთა ასეულის მეთაური, რომელმაც დაადასტურა მათი ნიქოზის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. დადგენილია, რომ კომისიის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, იმ საფუძველით, რომ ისინი საბრძოლო მოქმედებებში არ მონაწილეობდნენ და განმწესებული იყვნენ სოფელში არსებულ პირობით „პოსტებზე“.

დადგენილია, რომ სსიპ ვეტერანების სახელმწიფო სამსახურის გადაწყვეტილებით ი. მ-ეს დაუდგინდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, იმ საფუძველით, რომ ი. მ-ეს მოუხდა მტერთან შეტაკება, რომელ პოზიციაზეც იმყოფებოდა. მტერთან შეტაკებისას მის გვერდით დაიჭრა მისი ძმა, რომელიც პირადად მან და სხვა თანამებრძოლებმა ერთად გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან.

სსიპ ვეტერანების სახელმწიფო სამსახურის გადაწყვეტილებით ი. მ-ეს დაუდგინდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, თუმცა ოქმში არ არის განმარტებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველები. ანალოგიურად საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა დაუდასტურდა თ. მ-ეს, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის ფაქტის დამდგენი კომისიის 2015 წლის 21 მარტის სხდომის ოქმის თანახმად, თ. მ-ის საკითხის განხილვისას პასუხისმგებელ პირად მონვეულ იქნა ი. ლ. ლ-ე – ნიქოზის მოხალისეთა ასეულის მეთაური, რომელმაც დაადასტურა მისი ნიქოზის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. კომისიის გადაწყვეტილებით თ. მ-ეს დაუდგინდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. ოქმში განიმარტა, რომ თ. მ-ეს მონაწილეობა აქვს მიღებული მტერთან უშუალო შეტაკებაში.

პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი,

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნეს გასაჩივრებული აქტები, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო სადავოდ არ ხდოდა 1991-1992 წლებში ნიქოზში, დაძაბული ვითარების გამო, მოხალისეთა ასეულის შექმნის ფაქტს, რომელსაც მეთაურობდა ი. ლ-ე. უფრო მეტიც, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებლის ფაქტის დამდგენილი კომისიის მიერ ი. ლ-ის ასეულში შემავალ ცალკეულ პირებზე დადასტურებულ იქნა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა და მიენიჭათ ვეტერანის სტატუსი. აღნიშნულს ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ი. მ-ის, მ. მ-ისა და თ. მ-ის ანკეტა-განაცხადები, საბრძოლო მოკვლევები და კომისიის ოქმები. მითითებულ პირთა მიერ კომისიისთვის წარდგენილ იქნა მოსარჩელების მიმართ შედგენილი საბრძოლო მოკვლევების ანალოგიური საბრძოლო მოკვლევები ხელმოწერილი იმავე მეთაურთა მიერ.

საქართველოს მოქალაქეების ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური დაცვის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს მათი კეთილდღეობისა და აქტიური საქმიანობის პირობების შესაქმნელად განსაზღვრავს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს ამ კანონს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებს, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებებს. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის თანახმად, „ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და ამ კანონის დებულებების შესრულების სისტემური კონტროლი ევალება ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს“. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილია ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შემდეგი კატეგორიები: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები. ამავე კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორი-

ული მთლიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ჩამონათვალი, რომლის „გ“ ქვეკუთხუთის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. ვეტერანების სოციალური დაცვა გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლით და მოიცავს ა) საპენსიო უზრუნველყოფას „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; ბ) სხვა სოციალური დაცვის გარანტიებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ვეტერანების უფლებები და შეღავათები ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ ვეტერანებისათვის დადგენილი ერთიანი ნიმუშის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში. ვეტერანის მოწმობის ნიმუშსა და გაცემის წესს კი ადგენს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აგვისტოს №509 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერანის მოწმობის ნიმუშისა და მისი გაცემის წესის“ დაწართი N2-ის პირველი მუხლის თანახმად, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვა, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, ვეტერანის მოწმობების (შემდგომში – მოწმობა) გაცემა ხორციელდება სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (შემდგომში – სამსახური) დირექტორის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. სადავო პერიოდში მოქმედი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2014 წლის 24 მარტის №37/ს ბრძანებით დამტკიცდა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკ-

ვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ-
თა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მონმობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქცია, რომლის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ ვეტერანის სტატუსის მოსაპოვებლად, მოხალისეებზე, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში, წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ დამონმებული ასლები. საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი, ხელმოწერები დადასტურებულ უნდა იქნეს ნოტარიულად. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი სპეციალური კომისიის ოქმი. ასევე, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაბადების მონმობა. კანონმდებლობა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ერთ-ერთ დამადასტურებელ დოკუმენტად განიხილავს საბრძოლო მოკვლევას, წარდგენილს უფლებამოსილი პირის მიერ ნოტარიულად დამონმებული ხელმოწერით, რაც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიერ წარდგენილ იქნა.

ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 14 ნოემბრის №871 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონმობების გაცემის შესახებ ინსტრუქციის მე-6 მუხლით განისაზღვრა იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლებიც ვეტერანის მონმობის მაძიებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამის სამსახურში, კერძოდ, მითითებული მუხლის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოხალისეებზე, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში, წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების, საბრძოლო მოკვლევების აქტების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების ასლები და დედნები.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეები ითხოვენ ვეტერანის სტატუსის დადგენას (შესაბამისად, ვეტერანის მონმობის გაცემას), „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირი, მოხალისე. როგორც აღინიშნა, მოხალისეთა მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა დადგენილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 14 ნოემბრის №871 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონშობების გაცემის შესახებ ინსტრუქციითა და სადავო პერიოდში მოქმედი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2014 წლის 24 მარტის №37/ს ბრძანებით. მოსარჩელეთა მიერ ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა ფაქტის დამდგენ კომისიაში წარდგენილ იქნა მხოლოდ საბრძოლო მოკვლევა, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არასაკმარისად იქნა მიჩნეული. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლია დავასთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება და ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაადასტურა თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული საბრძოლო მოკვლევაში მითითებული გარემოებები მოსარჩეველებთან მიმართებაში. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ საბრძოლო მოკვლევის არსებობა არ წარმოადგენს სტატუსის მინიჭებისათვის საკმარის მტკიცებულებას და არ არის ერთადერთი და უტყუარი მტკიცებულება ვეტერანის სტატუსის მინიჭებისათვის, რამდენადაც აღნიშნული მტკიცებულების გარდა გათვალისწინებულია, რომ ვეტერანის სტატუსის მაძიებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობებისა და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ დამონმებული ასლები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებლობა ვეტერანის სტატუსის მაძიებელს ანიჭებს ფართო შესაძლებლობას შესაბამისი სტატუსის მოპოვებისათვის და აძლევს შესაძლებლობას, მათ ხელთ არსებული ნებისმიერი მტკიცებულებით დაადასტურონ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-ე მუხლისა და 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი იქნა მხოლოდ საბრძოლო მოკვლევა, რაც საკასაციო პალატის მოსაზ-

რებით არ უნდა იქნეს მიჩნეული ერთადერთ საკმარის მტკიცებულებად მაშინ, როდესაც უშუალოდ გამოკითხული მოსარჩელების მიერ ვერ იქნა მითითებული საბრძოლო მოქმედებების ამსახველი ფაქტობრივი გარემოებები, სააპელაციო პალატამ კი ადმინისტრაციულ ორგანოს ხელახლა განსახილველად ისე დაუბრუნა საქმე, რომ სასამართლოს მიერ საქმეზე არ არის გამოკვლეული დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებები, როგორცაა მოსარჩელებისათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭების საფუძველი და მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საკმარისობა აღნიშნული სტატუსის მოსაპოვებლად.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მოსარჩელეთა და სტატუსმინიჭებულ პირთა იდენტური ფაქტობრივი მდგომარეობა არ არის სახეზე, ვინაიდან იმ პირების მიერ, რომელთა განაცხადებაც დაკმაყოფილდა, სტატუსის მინიჭებისთვის წარდგენილი იქნა მეტი და სარწმუნო მტკიცებულება, კერძოდ, საბრძოლო მონაწილეობის ამსახველი ფაქტების გადმოცემა, საბრძოლო მოქმედებებიდან დაჭრილი ძმის გამოყვანა, რაც საფუძველად დაედო ი. მ-ის, მ. მ-ისა და თ. მ-ის განცხადების დაკმაყოფილებას, ამდენად არამართებულია სააპელაციო პალატის მითითება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი პრინციპების უგულვებელყოფის შესახებ. ამასთან, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მითითებას, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ რომელი ფაქტობრივი გარემოება უნდა გამოიკვლიოს საკითხის ხელახლა განხილვისას. როგორც აღინიშნა, ვეტერანის სტატუსის მაძიებლის მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა არ არის შეზღუდული და ითვალისწინებს როგორც საბრძოლო მოკვლევის, ასევე მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნებისა და სათანადოდ დამონმებული ასლების წარდგენის შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით განმარტავს, რომ სასამართლო დავის გადაწყვეტლად აქტს ბათილად ცნობს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებდა გარკვეული გარემოებების გამოკვლევას, რომელიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ამ გარემოების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის, ამასთანავე, ზემოაღნიშნული მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლონარმოების ფარ-

გლებში ვერ ხერხდება სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის სადავო ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე მსჯელობას, განსახილველ შემთხვევაში დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება საკითხის არასრულყოფილად გამოკვლევასთან დაკავშირებით, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესწავლილია მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი ერთადერთი მტკიცებულება, საბრძოლო მოკვლევა, ასევე გამოკითხულია თითოეული მათგანი, რომელთაც ვერ გაიხსენეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ამსახველი კონკრეტული გარემოებები (რა ვითარებაში იბრძოდნენ). სააპელაციო პალატა არ მიუთითებს რა კონკრეტული საკითხი არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რამაც განაპირობა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები. ასევე, ადმინისტრაციული სასამართლო წარმოების ინკვიზიციური ხანყისების გათვალისწინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. სასამართლოს მიერ აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების გარეშე, სადავო აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალება არ არის დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავს მითითებას ზემოაღნიშნული მუხლების დანაწესების მიუხედავად სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების დადგენის შესაძლებლობის გამომრიცხავ გარემოებაზე. სააპელაციო პალატამ ისე დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის ხელახლა გამოკვლევა, რომ არ გამოიყენა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და სათანადო მტკიცებულებების მოძიების თაობაზე, ამასთან საქმეში არსებული მტკიცებულებების არასათანადო გამოკვლევის საფუძველზე მიიჩნია, რომ პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საბრძოლო მოქმედებებში და ასახავდნენ უშუალოდ საბრძოლო მოქმედების ფაქტებს, (ი. მ-ე, მ. მ-ე და თ. მ-ე) იმა-

ვე სამართლებრივ რეჟიმში უნდა მოქცეულიყვნენ როგორც პირები, რომელიც ვერ იხსენებდნენ (მოსარჩელები) სად და რა ვითარებაში მოუხდათ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა და საბრძოლო მოკვლევის გარდა არ გააჩნდათ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას სადავო აქტების დაუსაბუთებლობის შესახებ და განმარტავს, რომ მართალია, არ არსებობს პირთა თანასწორობა უკანონობაში, თუმცა ამ შემთხვევაში სახეზე არ არის უკანონობა, რამდენადაც მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი საბრძოლო მოკვლევები ემყარება მათი გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ, რაც მოპასუხის მიერ ახსნა-განმარტების სახით წარდგენილი იქნა სასამართლოში. ამასთან, სახეზე არ არის იდენტური ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელეთა და მათ მიერ მითითებულ პირებთან მიმართებით (მ. მ-ე, თ. მ-ე). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ერთერთმა სტატუს მინიჭებულმა პირმა უშუალოდ მიიღო მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში, რა დროსაც დაჭრილ მდგომარეობაში მყოფი საკუთარი ძმა გამოიყვანა ბრძოლის ველიდან, შესაბამისად, სხვა პირის მიმართ მის მიერ მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა მიიღო დადებითი გადაწყვეტილება და დაუდასტურდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, რაც არ ქმნის აუცილებელ პირობას მოსარჩელეთა მიმართ მოპასუხემ მიიღოს ანალოგიური გადაწყვეტილება, იმის გათვალისწინებით, რომ საბრძოლო მოკვლევა, რომელზედაც მიუთითებენ მოსარჩელები შედგენილია უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების განხორციელებიდან დიდი პერიოდის გასვლის შემდეგ და არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას, ერთი და იმავე პირების მიერ, როგორც მოსარჩელეთა ასევე სხვა პირთა მიმართ, (რომელთა საკითხიც დადებითად გადაწყდა) ზემოაღნიშნული მტკიცებულების ხელმოწერა თავისთავად არ ქმნის სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

საკასაციო პალატა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 14 ნოემბრის №871 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონაწილეობის გაცემის შესახებ ინსტრუქციის მე-6 მუხლი „ვ.ბ“ ქვეპუნქტსა და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2014 წლის 24 მარტის №37/ს ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის „დ“ პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტზე მითითებით განმარტავს, რომ სხვა შე-

საძლო დოკუმენტებში კანონმდებელი მოიაზრებს ნებისმიერ მტკიცებულებას, რომელიც დაადასტურებს ვეტერანის სტატუსის მადიებლის მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებაში, ასეთი შესაძლოა იყოს ადგილზე დათვალეირებისა და კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის, ასევე მოსარჩელეთა გამოკითხვა უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ამსახველ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებად, მსგავსი კატეგორიის დავებზე, საკითხის სრულყოფილად გამოკვლევისა და საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასაკმარისად მიჩნევისა და იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მითითებული საკითხის ხელახლა განხილვისას რა გარემოება უნდა გამოიკვლიოს მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და მოახდინოს სწორი სამართლებრივი შეფასება, გამოიკვლიოს საკითხი მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები, ასევე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსაგან დამატებითი განმარტების მოთხოვნის, მოსარჩელეთა უშუალოდ გამოკითხვის, (რომელთაც უნდა გააჩნდეთ ინფორმაცია საბრძოლო მოქმედებების ამსახველი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, თუ სახეზე არ არის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მესხიერების შეზღუდვის ფაქტი) საქმეში დაცული მტკიცებულებების შეფასებისა და მათი ანალიზის გზით სააპელაციო პალატას აქვს შესაძლებლობა თავად მიიღოს გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე არ არის გამოკვლეული არსებობდა თუ არა მოსარჩელების მიერ 1991-1992 წლებში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ დამოწმებული ასლები, ამასთან განსახილველ საქმეზე მოსარჩელეთა სიმრავლის გათვალისწინებით, მათი გამოკითხვის შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მათ განმარტებებში, რაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ქმნის.

საკასაციო პალატა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით მართებულად მიიჩ-

ნევს კასატორის მოსაზრებას, რომ მოსარჩელეთა მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის წარდგენილი ვერ იქნა ისეთი სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, მათი სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას, ხოლო რაც შეეხება საბრძოლო მოკვლევის აქტს, იგი წარმოადგენს კომისიისათვის წარსადგენ ერთ-ერთ და არა ერთადერთ დოკუმენტს, რომლითაც პირს უნდა მიენიჭოს ვეტერანის სტატუსი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში საკასაციო სასამართლო მოკვლეულია სამართლებრივი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ამონიშნავს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით (სსკ-ის 377.1 მუხ.), განსხვავებით საკასაციო სასამართლოსგან, რომელიც არ არის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი ინსტანცია, რის გამოც საკასაციო პალატა მოკვლეულია შესაძლებლობას ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები. საქმეში არ მოიპოვება საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დასადასტურებლად საბრძოლო მოკვლევის გარდა სხვა რაიმე მტკიცებულება, შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსგან გამოითხოვილი მტკიცებულებების, ადგილზე ჩატარებული გამოკითხვის ოქმებისა და დათვალიერების ამსახველი ოქმების, მოსარჩელეთა განმარტებების შესწავლის შემდეგ სადავო აქტების კანონიერების გარკვევის მიზნით სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს მოსარჩელებისათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების არსებობა.

იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები და დაადგინოს მითითებული სადავო გარემოებები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საავადმყოფო ფურცლის გაცემისას ექიმის უფლება- მოვალეობების ფარგლები

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ბს-257-257(კ-18)

18 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 9 ივნისს ხ. ნ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესი-

ული განვითარების საბჭოს მიმართ.

მოსარჩელემ სპეციალობაში „შინაგანი მედიცინა“ ხ. ნ-ისათვის 2 თვის ვადით სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2015 წლის 15 მაისს №3 სხდომაზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და პროფესიული განვითარების საბჭოსათვის სასერტიფიკაციო რეესტრიდან ხ. ნ-ისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის შეჩერების თაობაზე აღნიშვნის ამოშლის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 სექტემბრის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობა; საქმეზე არასათანადო მოპასუხედ იქნა ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ამოირიცხა მოპასუხეთა სიიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ხ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2015 წლის 15 მაისის სხდომის №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სასამართლომ დადგენილიად მიიჩნია, რომ 2013 წლის 17 ივნისის „...ის“ ექიმის – ხ. ნ-ის მიერ ი. ფ-ზე გაცემულ იქნა საავადმყოფო ფურცელი სერია ად №.... საავადმყოფო ფურცელში სამუშაოდან განთავისუფლების გრაფაში მიეთითა: 17/VI/2013-დან ოცდარი ივნისის ჩათვლით; 23/VI/2013წ-დან ოცდარვა ივნისის ჩათვლით; 29/VI/2013წ-დან ექვსი ივლისის ჩათვლით; 7/VII/2013წ-დან ცამეტი

ივლისის ჩათვლით. აღნიშნულია ექიმის ხელმოწერა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ შეისწავლა შპს „...ში“ დროებითი შრომისუნარობის ფურცლის (№...) გაცემის მართლზომიერების საკითხი, რაზეც შედგა 2013 წლის 11 დეკემბრის შემოწმების აქტი.

შემოწმების აქტის თანახმად, 2012 წლის 19 ნოემბერს პაციენტმა ი. ფ-მა მიმართა შპს „...ს“. პაციენტზე გაიხსნა „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი“ (№3127/12), რაც რეგისტრირდება „ისტორიების გახსნის ჟურნალში“. ე.წ. „ისტორიების გახსნის ჟურნალი“, თავისი ფორმით და შინაარსით არ შეესაბამება „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/6 ბრძანების მოთხოვნებს („ამბულატორიული პაციენტის რეგისტრაციის ჟურნალი“).

ექიმ ხ. ნ-ის (სახ. სერტიფიკატი „შინაგანი სნეულებები“) 2013 წლის 17 ივნისის ჩანაწერის მიხედვით: „პაციენტი შემოვიდა კლინიკაში ძლიერი წელის ტკივილით, რომელიც ირადირებდა მარჯვენა ფეხში. ტკივილის ინტენსივობა ფიზიკური დატვირთვის დროს მატულობს, ინვესს მოძრაობის შეზღუდვას. გაიხსნა შრომისუნარობის ფურცელი №... 2013 წლის 17 ივნისიდან. ექიმის ჩანაწერში არ ფიქსირდება მომდევნო ვიზიტის თარიღი; „ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე/ადგილზე რეგისტრაციის ჟურნალში“ (2013 წლის 17 ივნისი) ვიზიტი არ ფიქსირდება.

ექიმ ხ. ნ-ის 2013 წლის 29 ივნისის ჩანაწერის მიხედვით: „ჩივილები არ აქვს. მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი. დაიხურა შრომისუნარობის ფურცელი №... 2013 წლის 29 ივნისს (სულ 13 დღე), მუშაობას შეუდგა 2013 წლის 30 ივნისიდან“. „ამბულატორიული პაციენტების და ბინაზე/ადგილზე რეგისტრაციის ჟურნალში“ 2013 წლის 29 ივნისს ვიზიტი არ ფიქსირდება.

ექიმ ხ. ნ-ის მიერ 2013 წლის 17 ივნისს გახსნილ „საავადმყოფო ფურცელში“ (№...), გრაფაში „შეუდგეს მუშაობას“ დაფიქსირებული ჩანაწერი („თოთხმეტი ივლისიდან“) არ შეესაბამება 2013 წლის 29 ივნისს „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში“ ექიმის ჩანაწერში დაფიქსირებულს („დაიხურა შრომისუნარობის ფურცელი №... 2013 წლის 29 ივნისს, სულ 13 დღე, მუშაობას შეუდგა 2013 წლის 30 ივნისიდან“). „შრომისუნარობის ფურცელში“, სამუშაოდან განთავისუფლების გაგრძელების გრაფებში, არ ფიქსირდება დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერები. „შრომისუნარობის ფურცელში“ დაფიქსირებული ექიმ ხ. ნ-ის 2013 წლის 7

ივლისისა და 13 ივლისის ჩანაწერები არ ფიქსირდება „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში“; „საავადმყოფო ფურცლის რეგისტრაციის ჟურნალში“ (ს/კ ...), გრაფაში „განთავისუფლებულია სამუშაოდან“ ფიქსირდება ჩანაწერი: „17.06.13-დან 29.07.13-მდე, 13 დღე“, რაც არ შეესაბამება „შრომისუწნარობის ფურცელში“ დაფიქსირებულ დახურვის თარიღს 13.07.13. ს/ფ და-მონმებულია დაწესებულების ბეჭდით.

შემონმების აქტის თანახმად, სამედიცინო დოკუმენტაცია ნაწარმოებია ხარვეზით. კერძოდ: „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის“ სატიტულო ფურცელსა და ე.წ. „ისტორიების გახსნის ჟურნალში“, არ ფიქსირდება პაციენტის პირადი ნომერი; „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის“ სატიტულო ფურცელზე არ ფიქსირდება პაციენტის სამუშაო ადგილი/პროფესია; სადაზღვევო ისტორია; არ არის ნაწარმოები „კლინიკურ-დაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგები“.

ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული ცნობის მიხედვით, შპს „...ში“ ნებისმიერი მომსახურება (მ.შ. საავადმყოფო ფურცლის გაცემა), ხორციელდება მომსახურების ღირებულების გადახდის საფუძველზე, ასევე, 17 ივნისს შემოსული პაციენტების მომსახურების ღირებულება აღრიცხულია სალაროში და სალაროს ჩეკები გადაეცემა პაციენტებს. 17 ივნისს პაციენტმა ლ. ფ-მა გადაიხადა მომსახურების ღირებულება – 25 (ოცდახუთი) ლარი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მიწოდებულ ექიმ ხ. ნ-ის „ვიზიტების აღრიცხვის ჟურნალში“, 2013 წლის 17 ივნისს ფიქსირდება 3 პაციენტი, პაციენტი ფ-ი ი. არ ფიქსირდება, ხოლო ბუღალტრის მიერ მიწოდებული ე.წ. „აღრიცხვის ჟურნალში“, ფიქსირდება ექიმ ხ. ნ-ის მიერ 2013 წლის 17 ივნისს მიღებული 3 პაციენტის მიერ შეტანილი თანხა.

სამედიცინო დოკუმენტაციის ნარმოების ზემოაღნიშნული დარღვევების გამო, დაწესებულებაში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000656, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 449-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ჩაჰბარდა სასამართლოს.

სასამართლოს მითითებით, 2013 წლის 11 დეკემბრის შემონმების აქტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს ხ. ნ-ე სადავოდ არ ხდის.

2013 წლის 11 დეკემბერს ხ. ნ-ემ ახსნა-განმარტება წარადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში, სადაც აღნიშნა, რომ მისივე უყურადღებობის გამო, საავადმყოფო ფურცელი დაიხურა ისე, რომ არ იყო თანხვედრაში ჟურნალთან. ასევე, იმავე მიზეზით, პაციენტის პირველი ვიზიტის და-

ფიქსირება არ მოხდა ჟურნალში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...ის“ 2013 წლის 11 დეკემბრის №29/კს ბრძანებით, საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლისა და „...ის“ შინაგანაწესის საფუძველზე, ბ. ნ-ეს ექიმ-თერაპევტს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, №... საავადმყოფო ფურცლის გაცემაში (პაციენტი ი. ფ-ი) დაშვებული უზუსტობისა და უყურადღებობისათვის.

ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 დეკემბრის (საქმე №4/9576-13) დადგენილებით შპს „...ი“ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლის 449-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ პროფესიული განვითარების საბჭოს 2015 წლის 15 მაისის №3 სხდომის ოქმის ამონაწერის თანახმად, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „...ის“ ექიმს – ბ. ნ-ეს, სპეციალობაში „შინაგანი მედიცინა“, 2 თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება.

საბჭოს სხდომაზე მომხსენებელმა ნ. ხ-მა განმარტა, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები: 2013 წლის 17 ივნისს ექიმ ბ. ნ-ის მიერ გაცემულ „საავადმყოფო ფურცელში“ (№...), გრაფაში „შეუდგეს მუშაობას“ დაფიქსირებული ჩანაწერი („თოთხმეტი ივლისიდან“) არ შეესაბამება 2013 წლის 29 ივნისს „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში“ დაფიქსირებულ („დაიხურა შრომისუუნარობის ფურცელი 29.06.13-ში, სულ 13 დღე, მუშაობას შეუდგეს 30.06.13-დან“) ჩანაწერს; 2013 წლის 29 ივნისიდან 2013 წლის 13 ივლისამდე პერიოდში, ექიმის მიერ, საავადმყოფო ფურცელი გაცემულია უსაფუძვლოდ, დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების გარეშე; „შრომისუუნარობის ფურცელში“ დაფიქსირებული 2013 წლის 7 ივლისისა და 13 ივლისის ექიმ ბ. ნ-ის ვიზიტების ამსახველი ჩანაწერები არ ფიქსირდება „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათსა“ და რეგისტრაციის ჟურნალში; ურთიერთშეუსაბამო საავადმყოფო ფურცლის დახურვის თარიღები: „საავადმყოფო ფურცლის რეგისტრაციის ჟურნალში“ ფიქსირდება 29.07.13წ, „შრომისუუნარობის ფურცელში“ 13.07.13წ., ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში 29.06.13წ; „შრომისუუნარობის ფურცელში“, სამუშაოდან განთავისუფლების გაგრძელების გრაფებში, არ ფიქსირდება დანესებულების ხელმოწევა-

ნელის ხელმოწერები; პაციენტი ი. ფ-ის ვიზიტები (17.06.13წ, 26.06.13წ, 29.06.13წ, 07.07.13წ, 13.07.13წ) არ რეგისტრირდება „ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების ბინაზე/ადგილზე გამოძახების რეგისტრაციის ჟურნალსა“ და „სალაროს შემოსავლების აღრიცხვის ჟურნალში“; „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის“ სატიტულო ფურცელზე არ ფიქსირდება პაციენტის პირადი ნომერი, სამუშაო ადგილი/პროფესია, სადაზღვევო ისტორია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაირღვა რა „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/6 ბრძანების, „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/6 ბრძანების, აგრეთვე, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, შპს „...ის“ ექიმ ხ. ნ-ის მიერ, პაციენტი ი. ფ-ზე საავადმყოფო ფურცელი გაცემულ იქნა არამართლზომიერად. საბჭოზე აღინიშნა, რომ არაერთხელ ყოფილა განხილული საავადმყოფო ფურცლის გაცემის მართლზომიერებასთან დაკავშირებული შემთხვევები. გამომდინარე დარღვევების ხარისხიდან, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექიმის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების ვადებთან დაკავშირებით განსხვავებულია. ამ შემთხვევაში, საავადმყოფო ფურცელი გაცემულია 26 დღით, საიდანაც 14 დღის განმავლობაში, სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით, პაციენტი არის ჯანმრთელი. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური საკითხების შესწავლისას, მსგავსი მოცულობის კომპლექსური დარღვევები სააგენტოს მიერ არ დაფიქსირებულა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ 2015 წლის 21 მაისის №02/35459 შეტყობინებით მიმართა შპს „...ის“ ექიმს ხ. ნ-ეს და აცნობა პროფესიული განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ხ. ნ-ისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის (სპეციალობაში „შინაგანი მედიცინა“) მოქმედების 2 თვის ვადით შეჩერების თაობაზე.

შპს „...ის“ 2015 წლის 27 მაისის №12/კს ბრძანებით, ხ. ნ-ე – თერაპევტი გადაყვანილ იქნა ცენტრის სამედიცინო მენეჯერად ორი თვით; მისი მოვალეობის შესრულება დაევალა თერაპევტ – ი. ჩ-ეს და ო. ჟ-ეს.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-

ლური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ 2013 წლის 26 დეკემბერს №02/115017 წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მიანოდა ინფორმაცია სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ შპს „...ში“ ჩატარებული შემოწმების თაობაზე, რომელიც ეხება 2013 წლის 17 ივნისის დროებითი შრომისუნარობის ფურცლის (№...) გაცემის მართლზომიერების საკითხს.

სასამართლოს მითითებით, პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, კერძოდ კი, 2010 წლის 1 თებერვლის №1 სხდომის ოქმის ამონაწერით დასტურდება, რომ კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული „ცნობების“ მართლზომიერების შესწავლის მიზნით დაისვა კონკრეტული ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ „ცნობა“ გაცემულია პაციენტის სტაციონარში ყოფნის პერიოდში, თუმცა არასამუშაო საათებში. ცნობაში ექიმის მიერ მიეთითა, რომ ავადმყოფის დაკითხვა, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა, ხოლო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, „...დაზიანებები მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა“; „სტაციონარული ავადმყოფის სამედიცინო ბარათში“ არ ჩანს, სტაციონარში ყოფნის პერიოდში, რა მკურნალობა ჩატარდა პაციენტს; პაციენტის კლინიკიდან განერის დროს ჩანანერში არ არის მითითებული რა მოტივით მოხდა პაციენტის განერა, არაა მითითებული, რა რეკომენდაციები მიეცა პაციენტს ტრანსპორტირებისა თუ შემდგომი მკურნალობისათვის; ექიმთა მიერ გაცემული „ცნობები“ არ შეესაბამება იმ პერიოდისათვის მოქმედ, მინისტრის №228/ო ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებს (ფორმა №27/ა). კერძოდ, ცნობები გაცემულია ერთპიროვნულად, ექიმების მიერ თავისუფალი სახით, არაა დამოწმებული დაწესებულების ბეჭდით ან შტამპით; „ცნობები“ არ ასახავს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას და მხოლოდ აღნიშნულია, რომ მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია პაციენტის დაკითხვა; ორივე „ცნობა“ აბსოლუტურად იდენტურია, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს მათ მართებულობაზე. განიმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საბჭოს გადაწყვეტილებით ექიმებს მიეცათ „წერილობითი გაფრთხილება“.

პროფესიული განვითარების საბჭოს 2010 წლის 7 ივლისის №6 სხდომის ოქმის ამონაწერით დასტურდება, რომ განხილულ იქნა

სამედიცინო დაწესებულების საექიმო ამბულატორიის გამგის მიერ პაციენტზე გაცემული ჯანმრთელობის ცნობის მართლზომიერების საკითხი. დადგინდა, რომ ნაწარმოები არ არის სამედიცინო დოკუმენტაცია (რომლის საფუძველზეც გაცივმა ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ): მასზე ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი არ არის გახსნილი; ინფორმაცია მისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების თაობაზე ამბულატორიაში არსებულ ჟურნალებში არ ფიქსირდება: ე.წ. „ვიზიტების აღნიშვნის ჟურნალში“ (რომელშიც წარმოებს მხოლოდ იმ პაციენტების რეგისტრაცია, ვისაც კონკრეტული ექიმი და მისი მედდა უწევს სამედიცინო დახმარებას) და ექიმის მიერ წარმოებულ პირად ჟურნალში (რომელშიც ფიქსირდება პაციენტების საპასპორტო მონაცემები, ვიზიტის თარიღი, წლოვანება, საცხოვრებელი ადგილი, დასმული დიაგნოზი და მიცემული დანიშნულება. რიგითი ნუმერაციის განახლება ხდება ყოველდღიურად). დადგინდა, რომ ექიმის მიერ გაცემული ცნობა არ წარმოადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს №338/ნ ბრძანების მოთხოვნების მიხედვით გაცემულ ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა) და 2007 წლის 9 აგვისტოს №338/ნ („ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებები). საბჭოს გადაწყვეტილებით ექიმს მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ პროფესიული საბჭოს 2010 წლის 10 დეკემბრის №9 სხდომის ოქმის ამონაწერით დასტურდება, რომ ამბულატორიული მიღების ჟურნალსა და ამბულატორიულ ბარათში არსებულ მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამო, ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების ექიმს ერთი თვით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების ვადა. ამავე ამონაწერის თანახმად, ექიმს „ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“ ცნობის დარღვევით გაცივების გამო, ორი თვით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება, სპეციალობაში „შინაგანი მედიცინა“. ამონაწერით არ იკვეთება, თუ რაში მდგომარეობს დარღვევა. ამავე ამონაწერის თანახმად, პაციენტებზე გაცემული დროებითი შრომისუნარობის ფურცლების მართლზომიერების შესწავლის შედეგად, ექიმებს მიეცათ „წერილობითი გაფრთხილება“.

პროფესიული განვითარების საბჭოს 2011 წლის 30 მაისის №3 სხდომის ოქმის ამონაწერით დასტურდება, რომ დროებითი შრომისუნარობის ფურცლების მართლზომიერების შესწავლის შედე-

გად, ექიმებს მიეცათ „წერილობითი გაფრთხილება“.

პროფესიული განვითარების საბჭოს 2013 წლის 15 მარტის №3 სხდომის ოქმის ამონაწერით დასტურდება, რომ დროებითი შრომისუნარობის ფურცლის მართლზომიერების შესწავლის შედეგად, ექიმს მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“.

ამასთან, პროფესიული საბჭოს 2014 წლის 29 აპრილის №4 სხდომის ოქმის ამონაწერით დასტურდება, რომ ექიმის მიერ გაცემული საავადმყოფო ფურცლის მართლზომიერების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა, რომ დარღვეული იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები (დარღვევა არ არის დაკონკრეტებული), რის გამოც ექიმს 2 თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება. ამავე ამონაწერით დასტურდება, რომ შესწავლილ იქნა, ასევე, სხვა სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (№621) მართლზომიერების საკითხი, სადაც გამოიკვეთა სამედიცინო ბარათებში ექიმის ჩანაწერების ურთიერთშეუსაბამობა. სხდომაზე დაისვა საკითხი, თუ რამდენად მოახდინა აღნიშნულმა დარღვევამ გავლენა პაციენტის მკურნალობის ხარისხზე. განიმარტა, რომ მკურნალობის ხარისხის შესახებ პრეტენზია არ გამოთქმულა. საჩივარი შეეხებოდა მხოლოდ ფორმა №100-ის მართლზომიერებას. საბჭოს გადაწყვეტილებით სამედიცინო დაწესებულების წევრებს მიეცათ „წერილობითი გაფრთხილება“.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმებულიყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების დებულებებთან.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციის 81² მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

შექმნილი სამთავრობო დანესებულება, რომელიც უზრუნველყოფს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო მმართველობასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას. ამავე დებულების მე-2 მუხლის „ბ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამინისტროს საქმიანობის სფეროსა და ამოცანას წარმოადგენს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ზემოხსენებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მინისტრი უფლებამოსილია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას სათათბირო ორგანოები, კომისიები და საბჭოები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 16 მაისის №122/ნ ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს დებულება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ზემოაღნიშნული დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოში სამედიცინო პროფესიული განვითარების პროცესს ხელმძღვანელობს საბჭო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თავმჯდომარეობით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. ამავე დებულების მე-2 მუხლის თანახმად კი, საბჭო, თავისი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ განცხადება-საჩივრებს, სააგენტოს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დებულება. ხსენებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტო, საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, წარმოადგენს მა-

კონტროლებელ ორგანოს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვე-პუნქტის თანახმად, სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება ექიმთა პროფესიული საკითხის დასმა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს წინაშე.

საქალაქო სასამართლომ მითითებულ ნორმათა საფუძველზე აღნიშნა, რომ საქართველოში სამედიცინო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, კონტროლის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კი, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს პროფესიული განვითარების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს მინისტრი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო საკითხის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა, განსაზღვრულიყო დაფიქსირებული გადაცდომისათვის პასუხისმგებელი პირი, კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ფარგლები, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიდგომა/პრაქტიკა მსგავს ფაქტობრივ გარემოებათა შეფასებისას. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ეს უკანასკნელი სადავო აქტის კანონიერების შემოწმებისას არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა, ვინაიდან უნდა შემოწმებულიყო ადგილი ჰქონდა თუ არა თანაზომიერების პრინციპის დაცვასა და ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანებით დამტკიცებულ დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესზე, რომელიც არეგულირებს დასაქმებულთათვის დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარებისა და დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის – საავადმყოფო ფურცლის გაცემასთან და დაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მითითებული წესის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საავადმყოფო ფურცელი წარმოადგენს დასაქმებულთა დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ამავე წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საავადმყოფო ფურცლის გაცემა და გაგრძელება ხდება პაციენტის პირადი გასინჯვის საფუძველზე და დასტურდება სამედიცინო საბუთებში სათანადო ჩანაწერებით. ამავე წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს საავადმყოფო ფურცლის გაცემის პერიოდს, კერძოდ, დაავადების ან დასახიჩრების გამო საავადმყოფო ფურცელი გაიცემა შრომისუუნარობის დადგენის დღიდან შრომის უნა-

რის აღდგენამდე ან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენამდე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მკურნალ ექიმს უფლება აქვს საავადმყოფო ფურცელი გასცეს ერთპიროვნულად და ერთდროულად – 10 კალენდარულ დღემდე. შემდგომში მისი გაგრძელება ხდება სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ამავე წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საავადმყოფო ფურცლის გაცემისას ექიმი ვალდებულია, პაციენტის სამედიცინო საბუთში (ამბულატორიული, სტაციონარული) ჩანეროს საავადმყოფო ფურცლის ნომერი, გაცემის თარიღი და შემდეგი გაგრძელება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმებით განისაზღვრა საავადმყოფო ფურცლის გაცემისას ექიმის უფლება-მოვალეობების ფარგლები. კერძოდ, კანონმდებლობა ექიმს აძლევს უფლებამოსილებას ერთპიროვნულად გასცეს საავადმყოფო ფურცელი მხოლოდ 10 დღემდე ვადით, ამასთან, აღნიშნული ვადით გაცემულ საავადმყოფო ფურცელში დაფიქსირებული მონაცემების პაციენტის საავადმყოფო ბარათში შეტანის ვალდებულება ეკისრება თავად ექიმს. ექიმი არ არის უფლებამოსილი, საავადმყოფო ფურცელი გასცეს 10 დღეზე მეტი ვადით სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე. საავადმყოფო ფურცელში ინფორმაცია შეიტანება პაციენტის გასინჯვის საფუძველზე, რომელიც უნდა დადასტურდეს სამედიცინო ბარათებში განხორციელებული ჩანაწერებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებით დამტკიცდა ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წესი, რომლის მე-2 მუხლით განისაზღვრა ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის წარმოების წესი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათს აწარმოებს ყველა ის ფიზიკური და იურიდიული პირი/დანესებულება (მომსახურების მიმწოდებელი), რომელიც სამედიცინო საქმიანობას ეწევა ამბულატორიულად. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტი კი ითვალისწინებს, რომ ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი პირი ან რეგისტრატურის თანამშრომელი, პაციენტის შემოსვლისთანავე ბარათის სატიტულო გვერდზე ავსებს „საპასპორტო მონაცემებს“. ივსება ყველა ის გრაფა, რომელზეც არსებობს ინფორმაცია.

საქალაქო სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ ამავე წესის მე-7 მუხლი ადგენს პაციენტის გასინჯვის ფურცლის წარმოების წესს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

პაციენტის გასინჯვის ფურცელი ინარმოება როგორც პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლის (მათ შორის, სოფლის ექიმის ოფისი), ასევე სპეციალიზებული ამბულატორიული სერვისების მიმწოდებლის მიერ. მას ავსებს ექიმი-სპეციალისტი. იგი ივსება პაციენტის, როგორც პირველადი, ასევე განმეორებითი ვიზიტ(ებ)ისა და ბინაზე/ადგილზე გამოძახების ყველა შემთხვევაში. აქვე უნდა დაფიქსირდეს ინფორმაცია საავადმყოფო ფურცლის გაცემის შესახებ შესაბამისი რეკვიზიტების (სავადმყოფო ფურცლის ნომერი, ვადა) მითითებით. ამავე წესის მე-15 მუხლის თანახმად კი, ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე/ადგილზე გამოძახების რეგისტრაციის ჟურნალი ივსება ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებლის მიერ. მასში ფიქსირდება როგორც ვიზიტი, ასევე ექიმისა და ექთნის ბინაზე/ადგილზე გამოძახების ყველა შემთხვევა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმები სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულებას აკისრებს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ პირს, რომელშიც შესაძლებელია მოიაზრობდეს როგორც უშუალოდ სამედიცინო მომსახურების გამწევი ექიმი, ასევე, სამედიცინო დაწესებულება, ცალკეულ შემთხვევებში ზემოაღნიშნულ ნორმებში ხდება დაზუსტება და დოკუმენტაციის წარმოებაზე ვალდებულ პირად მითითებულია – ექიმი (მაგ: პაციენტის გასინჯვის ფურცლის შევსება ევალუბა ექიმს).

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ექიმი და ჯანმრთელობის დაცვის სხვა პერსონალი ვალდებული არიან დადგენილი წესით აწარმოონ ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობა საავადმყოფო ფურცლის, კანონის შესაბამისად, გაფორმება/გაცემაზე უფლებამოსილ პირად მიუთითებს ექიმს, ასევე, ექიმს აკისრებს ვალდებულებას გარკვეული (და არა ყველა) სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებაზე, სადაც სავალდებულო წესით, უნდა დაფიქსირდეს საავადმყოფო ფურცლის შემცველი ინფორმაცია და მონაცემები. იქვე სასამართლომ აღნიშნა, რომ ექიმს არ ეკისრება სამედიცინო დაწესებულებაში ყველა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ექიმ ბ. ნ-ეს ჰქონდა ვალდებულება კანონის შესაბამისად გაეფორმებინა ი. ფ-ზე გაცემული საავადმყოფო ფურცელი და დაედასტურებინა მასში ასახული ინფორმაცია პაციენტის სამედიცი-

ნო დოკუმენტაციაში. მოცემულ შემთხვევაში, ექიმის მიერ საავადმყოფო ფურცელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები თავად ექიმის მიერ არ იქნა დადასტურებული სხვა სამედიცინო დოკუმენტაციაში. როგორც მოსარჩელე განმარტავს, აღნიშნული შეცდომა მოუვიდა უყურადღებობის გამო.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის დარღვევაზე პასუხისმგებლობას ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/6 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის მე-13 მუხლი, რომლის თანახმად, საავადმყოფო ფურცლის უსაფუძვლოდ გაცემის, გაგრძელების ან არასწორად გაფორმებისათვის დისციპლინური, ადმინისტრაციული, პროფესიული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრებათ სამედიცინო დაწესებულების ექიმებს.

მითითებული ნორმისა და შპს „ს...ის“ შინაგანაწესის შესაბამისად, საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის დარღვევის გამო ხ. ნ-ეს შპს „ს...ის“ მიერ შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო სამედიცინო დოკუმენტაციის დარღვევით წარმოების გამო, თავად სამედიცინო დაწესებულება შპს „ს...ი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და მას სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, პროფესიული განვითარების საბჭომ იგივე გარემოების გამო, კერძოდ, საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის დარღვევის გამო, ექიმს ხ. ნ-ეს შეუჩერა სახელმწიფო ლიცენზია 2 თვის ვადით. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის დარღვევის გამო პასუხისმგებლობის შეფარდების საკითხზე, კერძოდ, ზემოაღნიშნული ნორმით მოცემული სახის დარღვევაზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური, ადმინისტრაციული, პროფესიული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებლობა იძლეოდა შესაძლებლობას, მოცემულ კონკრეტულ გადაცდომაზე გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ ერთ-ერთი სახის სახდელი და გამორიცხავდა ერთსა და იმავე გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის ორი ან მეტი სახის შეფარდებას. ხ. ნ-ის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნა დისციპლინური სახის პასუხისმგებლობა. საქალაქო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულ ორგანოს – პროფესიული განვითარების საბჭოს ხ. ნ-ისთვის პროფესიული სახის პა-

სუხისმგებლობის შეფარდებისას არ გამოუკვლევია და არ უმსჯე-
ლია მასზე, რომ იგივე გარემოების საფუძველზე ექიმს უკვე შე-
ფარდებული ჰქონდა პასუხისმგებლობა. ამასთან, ჩადენილი გა-
დაცდომის შედეგად რაიმე ზიანის მიყენების შესახებ ან/და სა-
მართალდამცავი ორგანოებიდან სისხლისსამართლებრივი პასუ-
ხისმგებლობის ნიშნების არსებობის თაობაზე დამატებითი ინფორ-
მაცია საბჭოზე განხილვისას წარდგენილი არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საექიმო საქმიანობის შესა-
ხებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და
„ბ“ ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმად, დამოუკიდებელი საექი-
მო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის გათვალისწინებუ-
ლია პროფესიული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: წერილო-
ბითი გაფრთხილება, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შე-
ჩერება. ამავე კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“
ქვეპუნქტების თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედე-
ბის შეჩერების საფუძველია, მისი მფლობელის მიერ სახელმწიფო
სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო სერ-
ტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანო-
ბისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვ-
ნების დარღვევა; სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ
ერთი წლის განმავლობაში სულ ცოტა 3-ჯერ მიღებული წერილო-
ბითი გაფრთხილება. მხარეებმა სასამართლო სხდომაზე აღნიშნეს,
რომ ხ. ნ-ეს მოცემულ შემთხვევამდე პროფესიული პასუხისმგებ-
ლობა არ დაკისრებია. საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა
ის გარემოება, რომ ხ. ნ-ის მიერ პროფესიული საქმიანობის დარ-
ღვევა გამოიხატა მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტაციის არასრუ-
ლად შევსებაში. რაც შეეხება პაციენტისათვის ჩატარებულ მკურ-
ნალობას, აღნიშნულზე პრეტენზია არ ყოფილა გამოთქმული, შე-
საბამისად ადგილი აქვს არა საექიმო საქმიანობის არასწორად წარ-
მართვას, არამედ დოკუმენტაციის კანონშეუსაბამოდ წარმოებას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ად-
მინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვე-
პუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება
არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან
თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო
ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი
რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გა-
დაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის
თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გა-
დასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილე-
ბა, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანო-

ნით დადგენილ ფარგლებში. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებს სასაქციოს შემფარდებელ ორგანოს, გაითვალისწინოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები. სახდელის დაკისრებისას მას მხედველობაში უნდა მიეღო მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სახდელის შეფარდებაზე დარღვევის არარსებობა, სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალდარღვევის ჩამდენის პიროვნება, სამართალდარღვევის ჩადენის პერიოდი, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს გამოყენებული სასაქციოს ადეკვატურობას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები. ალტერნატიული სასაქციოს არსებობა მიუთითებს უფრო მკაცრი სახის სახდელის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი სახის სასაქცია ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ საკითხის განხილვისას პროფესიული პასუხისმგებლობის სახის შერჩევა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. პროფესიული განვითარების საბჭოს ოქმში არ არის მითითებული, თუ რატომ იქნა მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება, კერძოდ, რა უპირატესი გარემოება არსებობდა ექიმისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის შესაჩერებლად. მოცემულ შემთხვევაში, არ არის დასაბუთებული, თუ რატომ შეესაბამებოდა საბჭოს მიერ დარღვევად მიჩნეულ გარემოებას მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება და რატომ ვერ იქნებოდა მიღწეული მიზანი მოსარჩელისათვის სხვა უფრო მსუბუქი სახდელის (წერილობითი გაფრთხილების) შეფარდებით. ამასთან, საბჭოს არ უმსჯელია ხ. ნ-ისადმი უკვე გამოყენებული პასუხისმგებლობის სახესა და ზომაზე –

სასტიკ საყვედურზე, არ დაასაბუთა, რატომ არ იყო საკმარისი პასუხისმგებლობის ერთი სახის გამოყენება და რატომ არსებობდა აუცილებლობა იმისა, რომ გამოყენებული ყოფილიყო პასუხისმგებლობის დამატებით სხვა სახე – პროფესიული.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს – პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ სხვადასხვა სამედიცინო დანესებულებაში დასაქმებული ექიმების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე გამოყენებულ იქნა პროფესიული პასუხისმგებლობის ზომები. აღნიშნული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის, მათ შორის საავადმყოფო ფურცლის წარმოების წესის, დარღვევის გამო ექიმების მიმართ გამოყენებულია მოსარჩელის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომაზე უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომა – წერილობითი გაფრთხილება. მითითებულ იქნა, ასევე, ლიცენზიის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე, თუმცა აღნიშნულზე არ არის წარმოდგენილი კონკრეტული გადაცდომისა და მისი სიმძიმის შესახებ ინფორმაცია.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციით გარანტირებული უფლება – კანონის წინაშე თანასწორობა, უწინარესად, ყველასთვის თანაბარი უფლებებით, პრივილეგიებითა თუ იმუნიტეტით სარგებლობის უფლებას გულისხმობს, რომლებიც თანაბრად დაცული კანონის საფუძველზე და, რომლებიც ასეთივე თანაბარ მოვალეობებს უკავშირდება. ყველა ადამიანი, განურჩევლად მისი კუთვნილებისა და მდგომარეობისა, ექვემდებარება ერთი და იმავე კანონს, რომ ეს კანონი თანაბრად უნდა იქნეს მათ მიმართ გამოყენებული.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლზე, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და გააჩნია თანაბარი სამართლებრივი დაცვა კანონის საფუძველზე. ყველას გააჩნია თანაბარი დაცვა დისკრიმინაციისგან. სახელმწიფოს მხრიდან ერთგვარო-

ვანი მიდგომები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთგვაროვანი, მსგავსი მოცემულობების მიმართ. თანასწორობის მოთხოვნა ირლვევა, როდესაც მსგავსი, ერთგვაროვანი შემთხვევები განსხვავებულად განიხილება, თუკი მათ შორის არსებული მცირედი განსხვავება არ ამართლებს მათდამი განსხვავებულ მოპყრობას, ისევე როგორც, აშკარად განსხვავებული შემთხვევების ერთგვაროვანი განიხილა ასევე შეუთავსებელია თანასწორობასთან.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო არაერთგვაროვანი გადაწყვეტილება, მოსარჩელის მიმართ ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას, რაც არ იქნა დასაბუთებული გონივრული გამართლების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღება დაუშვებელია, ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კერძოდ, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ პროფესიული განვითარების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რაც არსებითად განსხვავდებოდა საბჭოს მიერ მსგავს ფაქტობრივ გარემოებებზე მიღებული გადაწყვეტილებებისგან.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამავე საკანონმდებლო აქტის 96-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოები-

სას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მოცემული ნორმიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2015 წლის 15 მაისს №3 სხდომაზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც ხ. ნ-ის 2 თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სპეციალობაში „შინაგანი მედიცინა“ და მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს დავალებოდა ზემოხსენებული ყველა გარემოებების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექიმ ხ. ნ-ის მიერ საექიმო საქმიანობაში დაშვებული დარღვევა-ნაკლოვანებების გათვალისწინებით პროფესიული პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას სასერტიფიკაციო რეესტრიდან ხ. ნ-ისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის შეჩერების თაობაზე აღნიშვნის ამოშლის შესახებ, სასამართლომ მიუთითა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების შესახებ ერთი კვირის ვადაში წერილობით ეცნობება მის მფლობელს სახელმწიფო სერტი-

ფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძვლის მითითებით; ამასთან, კეთდება შესაბამისი აღნიშვნა სახელმწიფო სასერტიფიკაციო რეესტრში. იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება სახელმწიფო სერტიფიკატის შეჩერების შესახებ, სადავო საკითხის გადაწყვეტილად, ბათილად იქნა ცნობილი და რეესტრის ჩანაწერი წარმოადგენს თანმდევ შედეგს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, არ არსებობდა რეესტრში შეჩერების შესახებ ჩანაწერის არსებობის საფუძველიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხ. ნ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭომ და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ხ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსა და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ხ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ, განსახილველ შემთხვევაში, მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით გადაწყვეტილების

გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციის 81² მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო მმართველობასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას. ამავე დებულების მე-2 მუხლის „ბ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამინისტროს საქმიანობის სფეროსა და ამოცანას წარმოადგენს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება. დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირს წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მინისტრი უფლებამოსილია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას სათათბირო ორგანოები, კომისიები და საბჭოები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 16 მაისის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პროფესიული განვითარების საბჭოს დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოში სამედიცინო პროფესიული განვითარების პროცესს ხელმძღვანელობს საბჭო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თავმჯდომარეობით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. ამავე დებულების მე-2 მუხლის თანახმად კი, საბჭო თავისი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ განცხადება-საჩივრებს, სააგენ-

ტოს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტო, საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, წარმოადგენს მაკონტროლებელ ორგანოს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება ექიმთა პროფესიული საკითხის დასმა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს წინაშე.

სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებულ ნორმათა საფუძველზე განმარტა, რომ საქართველოში სამედიცინო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. კონტროლის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კი, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს პროფესიული განვითარების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს მინისტრი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანებით დამტკიცებულ დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესზე, რომელიც არეგულირებს დასაქმებულთათვის დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარებისა და დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის – საავადმყოფო ფურცლის გაცემასთან და გაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მითითებული წესის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საავადმყოფო ფურცელი წარმოადგენს დასაქმებულთა დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ამავე წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საავადმყოფო ფურცლის გაცემა და გაგრძელება ხდება პაციენტის პირადი გასინჯვის საფუძველზე და დასტურდება სამედიცინო საბუთებში სათანადო ჩანაწერებით.

ამავე წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს საავადმყოფო ფურცლის გაცემის პერიოდს, კერძოდ, დაავადების ან დასახიჩრების გამო საავადმყოფო ფურცელი გაიცემა შრომისუუნარობის დადგენის დღიდან შრომის უნარის აღდგენამდე ან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენამდე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მკურნალ ექიმს უფლება აქვს საავად-

მყოფო ფურცელი გასცეს ერთპიროვნულად და ერთდროულად – 10 კალენდარულ დღემდე. შემდგომში მისი გაგრძელება ხდება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ამავე წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საავადმყოფო ფურცლის გაცემისას ექიმი ვალდებულია პაციენტის სამედიცინო საბუთში (ამბულატორიული, სტაციონარული) ჩაწეროს საავადმყოფო ფურცლის ნომერი, გაცემის თარიღი და შემდეგი გაგრძელება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმებით განისაზღვრა საავადმყოფო ფურცლის გაცემისას ექიმის უფლება-მოვალეობების ფარგლები. კერძოდ, კანონმდებლობა ექიმს აძლევს უფლებამოსილებას, ერთპიროვნულად გასცეს საავადმყოფო ფურცელი მხოლოდ 10 დღემდე ვადით, ამასთან აღნიშნული ვადით გაცემულ საავადმყოფო ფურცელში დაფიქსირებული მონაცემების, პაციენტის საავადმყოფო ბარათში, შეტანის ვალდებულება ეკისრება თავად ექიმს. ექიმი არ არის უფლებამოსილი, საავადმყოფო ფურცელი გასცეს 10 დღეზე მეტი ვადით სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე. საავადმყოფო ფურცელში ინფორმაცია შეიტანება პაციენტის გასინჯვის საფუძველზე, რომელიც უნდა დადასტურდეს სამედიცინო ბარათებში განხორციელებული ჩანაწერებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/6 ბრძანებით დამტკიცებული ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის წარმოების წესის პირველი პუნქტის თანახმად, ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათს აწარმოებს ყველა ის ფიზიკური და იურიდიული პირი/დაწესებულება (მომსახურების მიმწოდებელი), რომელიც სამედიცინო საქმიანობას ეწევა ამბულატორიულად. ამავე ბრძანების მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი პირი ან რეგისტრატურის თანამშრომელი, პაციენტის შემოსვლისთანავე ბარათის სატიტულო გვერდზე ავსებს „საპასპორტო მონაცემებს“. ივსება ყველა ის გრაფა, რომელზეც არსებობს ინფორმაცია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზემოხსენებული წესის მე-7 მუხლი ადგენს პაციენტის გასინჯვის ფურცლის წარმოების წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პაციენტის გასინჯვის ფურცელი ინარჩუნება როგორც პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლის (მათ შორის, სოფლის ექიმის ოფისი), ასევე სპეციალიზებული ამბულატორიული სერვისების მიმწოდებლის მიერ. მას ავსებს ექიმი-სპეციალისტი. იგი ივ-

სება პაციენტის, როგორც პირველადი, ასევე, განმეორებითი ვიზიტ(ებ)ისა და ბინაზე/ადგილზე გამოძახების ყველა შემთხვევაში. აქვე უნდა დაფიქსირდეს ინფორმაცია საავადმყოფო ფურცლის გაცემის შესახებ შესაბამისი რეკვიზიტების (საავადმყოფო ფურცლის ნომერი, ვადა) მითითებით. ამავე წესის მე-15 მუხლის თანახმად კი, ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე/ადგილზე გამოძახების რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებლის მიერ. მასში ფიქსირდება როგორც ვიზიტი, ასევე, ექიმისა და ექთნის ბინაზე/ადგილზე გამოძახების ყველა შემთხვევა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ექიმი და ჯანმრთელობის დაცვის სხვა პერსონალი ვალდებული არიან დადგენილი წესით აწარმოონ ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/5 ბრძანებით დამტკიცებულია დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესი, რომლის მე-13 მუხლის თანახმად, საავადმყოფო ფურცლის უსაფუძვლოდ გაცემის, გაგრძელების ან არასწორად გაფორმებისათვის დისციპლინური, ადმინისტრაციული, პროფესიული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრებათ სამედიცინო დაწესებულების ექიმებს.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის გათვალისწინებულია პროფესიული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: წერილობითი გაფრთხილება, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება. ამავე კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველია მისი მფლობელის მიერ სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.

ზემოთმითითებული ნორმების შეჯერების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის დაწესებულია პროფესიული პასუხისმგებლობის სახეები „საე-

ქიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველია ზემოხსენებული საკანონმდებლო აქტის 77-ე მუხლი, რომელიც აღნიშნულს იმპერატიულად ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს სადავო აქტის გამოცემამდე სათანადოდ არ შეუფასებია მოსარჩელის მიმართ გამოვლენილ დარღვევასთან მიმართებით დარღვევის სიმძიმე და შესაბამისად არ უმსჯელია გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენების მიზანშეწონილობაზე.

სააპელაციო სასამართლომ კვლავ მიუთითა პროფესიული განვითარების საბჭოს 2015 წლის 15 მაისის №3 სხდომის ოქმის ამონაწერზე და განმარტა, რომ ხ. ნ-ისათვის შპს „...ის“ 2013 წლის 11 დეკემბრის №29/კს ბრძანების საფუძველზე სასტიკი საყვედურის გამოცხადება ექცევა ამ ორ სუბიექტს შორის არსებული შრომითი ურთიერთობის ფარგლებში, აღნიშნული განხორციელდა საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლის საფუძველზე. რაც შეეხება, ხ. ნ-ისათვის (სპეციალობა – „შინაგანი მედიცინა“) 2 თვის ვადით სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული განხორციელდა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც მინიჭებული აქვს პროფესიული განვითარების საბჭოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...ის“ მიერ ხ. ნ-ისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება, სასტიკი საყვედურის გამოცხადება, პროფესიული განვითარების საბჭოს არ ართმევდა უფლებას, ემსჯელა ექიმის მიერ ჩადენილ დარღვევაზე და საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის მისთვის დაეკისრებინა პროფესიული პასუხისმგებლობა, განსახილველ შემთხვევაში – 2 თვის ვადით სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება.

მოცემული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესა-

ბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის საფუძველზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებდა ხ. ნ-ის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებს, რის გამოც მიიჩნია, რომ არ არსებობდა ხ. ნ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ხ. ნ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც საბოლოო ჯამში სასამართლო მიიყვანა არასწორი სამართლებრივი დასკვნების გაკეთებამდე. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებების ნაწილში, გადაწყვეტილება იმდენად ზედაპირული და არასრულყოფილია, რომ რთულია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანებით დამტკიცებული დროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის მე-13 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საავადმყოფო ფურცლის უსაფუძვლოდ გაცემის, გაგრძელების ან არასწორად გაფორმებისათვის დისციპლინური, ადმინისტრაციული, პროფესიული ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სამედიცინო დაწესებულების ექიმებისათვის, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული, ასევე, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ და 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, რომლებიც ეხება სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძვლებს. დასახელებულ ნორმათა არასწორი განმარ-

ტება გამომდინარეობდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს საკითხის გადაწყვეტისათვის არ გამოუკვლევია, ხ. ნ-ის მხრიდან ჩადენილი გადაცდომა რამდენად ექცეოდა კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ფარგლებში, რამდენად სრულყოფილად გამოიკვლია პროფესიული განვითარების საბჭომ 2015 წლის 15 მაისის №3 სხდომის ოქმის შედგენის დროს საქმეზე არსებული მოცემულობა და, ასევე, როგორი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიდგომა/პრაქტიკა მსგავს ფაქტობრივ გარემოებათა შეფასებისას.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, ჰქონდა თუ არა ადგილი თანაზომიერების პრინციპის დაცვასა და ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენების ფაქტს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული განვითარების საბჭოს მხრიდან ხ. ნ-ის საექიმო საქმიანობის ლიცენზიის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ უმსჯელია იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საბჭოს მხრიდან 2015 წლის 15 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ხ. ნ-ის დაბარებისა და მოსაზრების მოსმენის გარეშე განხორციელდა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები, კერძოდ, ექიმს, რომლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვაც ხდებოდა, არ მისცემია შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში, მისულიყო სხდომაზე, გაეცხადებინა საკუთარი მოსაზრებები და დაეცვა თავისი უფლებები იმ პირობებში, როდესაც „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტი საბჭოს ავალდებულებს, შემონმების შედეგების ამსახველი დოკუმენტების მომზადებისა და განხილვის ყველა ეტაპზე უზრუნველყოს იმ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მონაწილეობა, რომლის საქმიანობაც შემონმდა.

კასატორის განმარტებით, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების განმარტებისას, სააპელაციო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ექიმ ხ. ნ-ის მხრიდან წინა პერიოდში საექიმო საქმიანობიდან გამომდინარე დარღვევის არარსებობის ფაქტი. მხარეებს სასამართლო პროცესზე დადასტურებულიც ჰქონდათ, რომ ხ. ნ-ეს მოცემულ შემთხვევამდე ერთხელაც არ მიუღია გაფრთხილება ან/და წერილობითი შენიშვნა მის მიერ სახელმწიფო

სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ პროფესიული განვითარების საბჭომ ხ. ნ-ის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი განიხილა გადაცდომის გამოვლენიდან 2 (ორი) წლის გასვლის შემდეგ. კერძოდ, უდავოდ დადგენილია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ 2013 წლის 11 დეკემბერს ჩაატარა მოკვლევა შპს „...ში“ ექიმ ხ. ნ-ის მიერ გაცემული დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის (№...) მართლზომიერების საკითხთან დაკავშირებით და გამოვლენილ დარღვევებზე შეადგინა შემონმების აქტი. პროფესიული განვითარების საბჭომ, ყოველგვარი ობიექტური საფუძვლის არსებობის გარეშე 2 (ორი) წლის შემდეგ – 2015 წლის 15 მაისის სხდომაზე განიხილა ექიმ ხ. ნ-ის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი და მას 2 (ორი) თვით შეუჩერა სამედიცინო საქმიანობა. კასატორის მოსაზრებით, პროფესიული გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანს წარმოადგენს გადაცდომის ჩამდენი პირის გამოსწორება და დარღვევის შემდგომი პრევენცია. პროფესიული განვითარების საბჭოს 2015 წლის 15 მაისის სხდომაზე, გადაცდომის გამოვლენიდან ორი წლის გასვლის შემდეგ ხ. ნ-ის საკითხის განხილვისას, იმთავითვე იყო ნათელი, რომ საკითხს დაკარგული ჰქონდა აქტუალობა და ექიმის დასჯით სახდელის გამოყენებით მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე უტყუარად დადგინდა, რომ ექიმი ... გადაცდომის გამოვლენიდან სახდელის დადებამდე ორი წლის განმავლობაში პირნათლად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ პროფესიული საბჭოს მიერ ექიმთა პროფესიული გადაცდომისათვის გამოყენებული სახდელების შესახებ საქმეზე დართული მტკიცებულებები საფუძვლიანად იქნა შესწავლილი, კერძოდ, აღნიშნული სახდელების როგორც ზომა, ისე მისი გამოყენების ვადები, თუმცა საბჭოს პრაქტიკაში არ მოიძებნა გადაცდომის გამოვლენიდან ორი წლის გასვლის შემდეგ რომელიმე ექიმის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ერთი შემთხვევაც კი. ასეთ ვითარებაში, ყოვლად კანონშეუსაბამო და დაუსაბუთებელი იყო ექიმ ხ. ნ-ის მიმართ უკვე ხანდაზმული პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის სააპელაციო

სასამართლოს მხრიდან გამართლება.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი განმარტება მისცა ხ. ნ-ისათვის შპს „...ის“ 2013 წლის 11 დეკემბერს №29/კ ბრძანების საფუძველზე სასტიკი საყვედურის გამოცხადების ფაქტს.

ამასთან, კასატორის განმარტებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანებით დამტკიცებული დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის მე-13 მუხლი საავადმყოფო ფურცლის უსაფუძვლოდ გაცემის, გაგრძელების ან არასწორად გაფორმებისათვის დისციპლინური, ადმინისტრაციული, პროფესიული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სამედიცინო დაწესებულების ექიმისათვის ითვალისწინებს არა ყველა სახდელის ერთდროული, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, ექიმ ხ. ნ-ისათვის სახდელის სახით „სასტიკი საყვედურის“ გამოცხადება სრულიად საკმარისი იყო იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რასაც მოცემული ნორმით კანონმდებელი ისახავდა მიზნად.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების არასრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასებების გამო, სააპელაციო სასამართლო მივიდა მცდარ დასკვნამდე, რომ საბჭოს გადაწყვეტილება ექიმ ხ. ნ-ისათვის (სპეციალობა – „შინაგანი მედიცინა“) 2 თვის ვადით საექიმო საქმიანობის შეჩერების გადაწყვეტილების ნაწილში არ მოდიოდა ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან წინააღმდეგობაში.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასებისას არ იმსჯელა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების პროპორციულობასა და თანაბარზომიერებაზე, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე, სახდელის შეფარდებამდე დარღვევის არარსებობის ფაქტზე, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმეზე, სამართალდარღვევის ჩამდენის პიროვნებაზე, სამართალდარღვევის ჩადენის პერიოდზე, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მონაწილეობის გარეშე საქმის გადაწყვეტაზე და ყოველივე ზემოაღნიშნულის მსჯელობისა და შეფასების გარეშე დაასკვნა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებული იყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის საფუძველზე.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ სასამართლომ არ იმსჯელა საქმისთვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ

გარემოებებზე, არ შეაფასა ისინი აღნიშნული ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებთან თავსებადობის კუთხით და სრულიად დაუსაბუთებლად მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივრები და უარი უთხრა ხ. ნ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ხ. ნ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 მაისის განჩინებით ხ. ნ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხ. ნ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2013 წლის 17 ივნისს შპს „...ის“ ექიმის – ხ. ნ-ის მიერ ი. ფ-ზე გაცემულ იქნა საავადმყოფო ფურცელი სერია ად №... საავადმყოფო ფურცელში სამუშაოდან განთავისუფლების გრაფაში მიეთითა: 17/VI/2013-დან ოცდარევი ივნისის ჩათვლით; 23/VI/2013წ-დან ოცდარვა ივნისის ჩათვლით; 29/VI/2013წ-დან ექვსი ივლისის ჩათვლით; 7/VII/2013წ-დან ცამეტი ივლისის ჩათვლით. აღნიშნულია ექიმის ხელმოწერა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ შეისწავლა შპს „...ში“ დროებითი შრომისუნარიობის ფურცლის (№...) გაცემის მართლზომიერების საკითხი, რაზეც შედგა 2013 წლის 11 დეკემბრის შემოწმების აქტი.

შემოწმების აქტის თანახმად, 2012 წლის 19 ნოემბერს პაციენტმა ი. ფ-მა მიმართა შპს „...ს“. პაციენტზე გაიხსნა „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი“ (№3127/12), რაც რეგისტრირდება „ისტორიების გახსნის ჟურნალში“. ე.წ. „ისტორიების გახსნის ჟურნალი“, თავისი ფორმით და შინაარსით არ შეესაბამება „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/6

ბრძანების მოთხოვნებს („ამბულატორიული პაციენტის რეგისტრაციის ჟურნალი“).

ექიმ ხ. ნ-ის (სახ. სერტიფიკატი „შინაგანი სნეულებები“) 2013 წლის 17 ივნისის ჩანაწერის მიხედვით: „პაციენტი შემოვიდა კლინიკაში ძლიერი წელის ტკივილით, რომელიც ირადირებდა მარჯვენა ფეხში. ტკივილის ინტენსივობა ფიზიკური დატვირთვის დროს მატულობს, ინვესს მოძრაობის შეზღუდვას. გაიხსნა შრომისუნარობის ფურცელი №... 2013 წლის 17 ივნისიდან. ექიმის ჩანაწერში არ ფიქსირდება მომდევნო ვიზიტის თარიღი; „ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე/ადგილზე რეგისტრაციის ჟურნალში“ (2013 წლის 17 ივნისი) ვიზიტი არ ფიქსირდება.

ექიმ ხ. ნ-ის 2013 წლის 29 ივნისის ჩანაწერის მიხედვით: „ჩივილები არ აქვს. მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი. დაიხურა შრომისუნარობის ფურცელი №... 2013 წლის 29 ივნისს (სულ 13 დღე), მუშაობას შეუდგა 2013 წლის 30 ივნისიდან“. „ამბულატორიული პაციენტების და ბინაზე/ადგილზე რეგისტრაციის ჟურნალში“ 2013 წლის 29 ივნისს ვიზიტი არ ფიქსირდება.

ექიმ ხ. ნ-ის მიერ 2013 წლის 17 ივნისს გახსნილ „საავადმყოფო ფურცელში“ (№...), გრაფაში „შეუდგეს მუშაობას“ დაფიქსირებული ჩანაწერი („თოთხმეტი ივლისიდან“) არ შეესაბამება 2013 წლის 29 ივნისს „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში“ ექიმის ჩანაწერში დაფიქსირებულს („დაიხურა შრომისუნარობის ფურცელი №... 2013 წლის 29 ივნისს, სულ 13 დღე, მუშაობას შეუდგა 2013 წლის 30 ივნისიდან“). „შრომისუნარობის ფურცელში“, სამუშაოდან განთავისუფლების გაგრძელების გრაფებში, არ ფიქსირდება დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერები. „შრომისუნარობის ფურცელში“ დაფიქსირებული ექიმ ხ. ნ-ის 2013 წლის 7 ივლისისა და 13 ივლისის ჩანაწერები არ ფიქსირდება „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში“; „საავადმყოფო ფურცლის რეგისტრაციის ჟურნალში“ (ს/კ ...), გრაფაში „განთავისუფლებულია სამუშაოდან“ ფიქსირდება ჩანაწერი: „17.06.13-დან 29.07.13-მდე, 13 დღე“, რაც არ შეესაბამება „შრომისუნარობის ფურცელში“ დაფიქსირებულ დახურვის თარიღს 13.07.13. ს/ფ დამონშებულია დაწესებულების ბეჭდით.

შემონშების აქტის თანახმად, სამედიცინო დოკუმენტაცია ნაწარმოებია ხარვეზით. კერძოდ: „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის“ სატიტულე ფურცელსა და ე.წ. „ისტორიების გახსნის ჟურნალში“, არ ფიქსირდება პაციენტის პირადი ნომერი; „ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის“ სატიტულე ფურცელზე არ ფიქსირდება პაციენტის სამუშაო ადგილი/პროფესია; სადაზღვევო ისტორია; არ არის ნაწარმოები „კლინიკურ-დი-

აგნოსტიკური გამოკვლევის შედეგები“.

ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული ცნობის მიხედვით, შპს „...ში“ ნებისმიერი მომსახურება (მ.შ. საავადმყოფო ფურცლის გაცემა), ხორციელდება მომსახურების ღირებულების გადახდის საფუძველზე, ასევე, 17 ივნისს შემოსული პაციენტების მომსახურების ღირებულება აღრიცხულია სალაროში და სალაროს ჩეკები გადაეცათ პაციენტებს. 17 ივნისს პაციენტმა ლ. ფ-მა გადაიხადა მომსახურების ღირებულება – 25 (ოცდახუთი) ლარი.

დანებსებულების მიერ მიწოდებულ ექიმ ხ. ნ-ის „ვიზიტების აღრიცხვის ჟურნალში“, 2013 წლის 17 ივნისს ფიქსირდება 3 პაციენტი, პაციენტი ფ-ი ი. არ ფიქსირდება, ხოლო ბუღალტრის მიერ მიწოდებული ე.წ. „აღრიცხვის ჟურნალში“, ფიქსირდება ექიმ ხ. ნ-ის მიერ 2013 წლის 17 ივნისს მიღებული 3 პაციენტის მიერ შეტანილი თანხა.

სამედიცინო დოკუმენტაციის ნარმოების ზემოაღნიშნული დარღვევების გამო, დანებსებულებაში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000656, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 449-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ჩაჰბარდა სასამართლოს.

პროფესიული განვითარების საბჭოს 2015 წლის 15 მაისის №3 სხდომის ოქმის ამონაწერის თანახმად, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „...ის“ ექიმს – ხ. ნ-ეს, სპეციალობაში „შინაგანი მედიცინა“, 2 თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმად, საექიმო საქმიანობა არის მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება, ხოლო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა კი, უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის შედეგებზედაც ის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ზემოხსენებულ ნორმებზე დარყდნობით განმარტავს, რომ საექიმო და დამოუკიდებელ საექიმო საქმი-

ანობებს, როგორც „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ტერმინებს შორის განსხვავების არსებობა უშუალოდ ასეთი საქმიანობების განმახორციელებელ სუბიექტებთან დაკავშირებული არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებით არის განპირობებული. კერძოდ, საექიმო საქმიანობის სუბიექტი შეიძლება იყოს პირი, რომელიც წარმოადგენს მედიცინაში განსწავლულ, საექიმო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი უნარჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირს, თუმცა არ გააჩნია უმაღლესი სამედიცინო განათლება ან/და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი, ხოლო, თავის მხრივ, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისათვის კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს ასეთი საქმიანობის სუბიექტის მხრიდან საჭირო უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატის არსებობის აუცილებლობას.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია თითოეული პაციენტისათვის აწარმოოს სამედიცინო ჩანაწერები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის, მისთვის ტანჯვის შემსუბუქებისკენ მიმართულ სამედიცინო მოქმედებათა განხორციელებას, არამედ, ასევე, საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული საჭირო სამედიცინო დოკუმენტაციის მკაფიო, სრულყოფილი და ადეკვატური წარმოების ვალდებულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საექიმო საქმიანობის ობიექტს ადამიანი, ხოლო ასეთი საქმიანობის მიზანს კი, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესება წარმოადგენს. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულების ჯეროვანი შესრულება სამედიცინო საქმიანობის შემადგენელი ნაწილია, რომლის გარეშეც რისკის ქვეშ დგება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობები, რამდენადაც სამედიცინო დოკუმენტაციათა სწორი წარმოება, სამედიცინო პროცედურების, მანიპულაციებისა თუ საჭიროებების ზუსტი ასახვა პოტენციურ სამომავლო სამედიცინო საქმიანობათა განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამდენად, აღნიშნული ვალდებულების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესების დარღვევა როგორც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის, ასევე, აღნიშნული

ვალდებულების უშუალო განმახორციელებლის – თავად საექიმო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოშობს.

საკაცაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციის 81² მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო მმართველობასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას. ამავე დებულების მე-2 მუხლის „ბ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამინისტროს საქმიანობის სფეროსა და ამოცანას წარმოადგენს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება. დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირს წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მინისტრი უფლებამოსილია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას სათათბირო ორგანოები, კომისიები და საბჭოები.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 16 მაისის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პროფესიული განვითარების საბჭოს დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოში სამედიცინო პროფესიული განვითარების პროცესს ხელმძღვანელობს საბჭო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თავმჯდომარეობით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. ამავე დებულების მე-2 მუხლის თანახმად კი, საბჭო თავისი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში განი-

ხილავს სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ განცხადება-საჩივრებს, სააგენტოს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული პასუხის-მგებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, სააგენტო, საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, წარმოადგენს მაკონტროლებელ ორგანოს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება ექიმთა პროფესიული საკითხის დასმა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს წინაშე.

ზემოხსენებულ ნორმათა საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოში სამედიცინო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. კონტროლის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კი, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს პროფესიული განვითარების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს მინისტრი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანებით დამტკიცებულ დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესზე, რომელიც არეგულირებს დასაქმებულთათვის დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარებისა და დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის – საავადმყოფო ფურცლის გაცემასთან და დაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მითითებული წესის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საავადმყოფო ფურცელი წარმოადგენს დასაქმებულთა დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ამავე წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საავადმყოფო ფურცლის გაცემა და გაგრძელება ხდება პაციენტის პირადი გასინჯვის საფუძველზე და დასტურდება სამედიცინო საბუთებში სათანადო ჩანაწერებით. ამავე წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს საავადმყოფო ფურცლის გაცემის პერიოდს, კერძოდ, დაავადების ან დასახიჩრების გამო საავადმყოფო ფურცელი გაიცემა შრომისუუნარობის დადგენის დღიდან შრომის უნარის აღდგენამდე ან შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენამდე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მკურ-

ნალ ექიმს უფლება აქვს საავადმყოფო ფურცელი გასცეს ერთპიროვნულად და ერთდროულად – 10 კალენდარულ დღემდე. შემდგომში მისი გაგრძელება ხდება სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ამავე წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საავადმყოფო ფურცლის გაცემისას ექიმი ვალდებულია პაციენტის სამედიცინო საბუთში (ამბულატორიული, სტაციონარული) ჩანეროს საავადმყოფო ფურცლის ნომერი, გაცემის თარიღი და შემდეგი გაგრძელება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ზემოაღნიშნული ნორმებით განისაზღვრა საავადმყოფო ფურცლის გაცემისას ექიმის უფლება-მოვალეობების ფარგლები. კერძოდ, კანონმდებლობა ექიმს აძლევს უფლებამოსილებას, ერთპიროვნულად გასცეს საავადმყოფო ფურცელი მხოლოდ 10 დღემდე ვადით, ამასთან, აღნიშნული ვადით გაცემულ საავადმყოფო ფურცელში დაფიქსირებული მონაცემების, პაციენტის საავადმყოფო ბარათში შეტანის ვალდებულება ეკისრება თავად ექიმს. ექიმი არ არის უფლებამოსილი, საავადმყოფო ფურცელი გასცეს 10 დღეზე მეტი ვადით სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე. საავადმყოფო ფურცელში ინფორმაცია შეიტანება პაციენტის გასინჯვის საფუძველზე, რომელიც უნდა დადასტურდეს სამედიცინო ბარათებში განხორციელებული ჩანაწერებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებული ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათს აწარმოებს ყველა ის ფიზიკური და იურიდიული პირი/დანესებულება (მომსახურების მიმწოდებელი), რომელიც სამედიცინო საქმიანობას ეწევა ამბულატორიულად. ამავე ბრძანების მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი პირი ან რეგისტრატურის თანამშრომელი, პაციენტის შემოსვლისთანავე ბარათის სატიტულო გვერდზე ავსებს „საპასპორტო მონაცემებს“. ივსება ყველა ის გრაფა, რომელზეც არსებობს ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული წესის მე-7 მუხლი ადგენს პაციენტის გასინჯვის ფურცლის წარმოების წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პაციენტის გასინჯვის ფურცელი ინარმოება როგორც პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლის (მათ შორის, სოფლის ექიმის ოფისი), ასევე სპეციალიზებული ამბულატორიული სერვისების მიმწოდებლის მიერ. მას ავსებს ექიმი-სპეციალისტი. იგი ივ-

სება პაციენტის, როგორც პირველადი, ასევე, განმეორებითი ვიზიტ(ებ)ისა და ბინაზე/ადგილზე გამოძახების ყველა შემთხვევაში. აქვე უნდა დაფიქსირდეს ინფორმაცია საავადმყოფო ფურცლის გაცემის შესახებ შესაბამისი რეკვიზიტების (სავადმყოფო ფურცლის ნომერი, ვადა) მითითებით. ამავე წესის მე-15 მუხლის თანახმად კი, ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე/ადგილზე გამოძახების რეგისტრაციის ჟურნალი ივსება ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებლის მიერ. მასში ფიქსირდება როგორც ვიზიტი, ასევე, ექიმისა და ექთნის ბინაზე/ადგილზე გამოძახების ყველა შემთხვევა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ექიმი და ჯანმრთელობის დაცვის სხვა პერსონალი ვალდებული არიან დადგენილი წესით აწარმოონ ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანებით დამტკიცებული დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტის ჩატარების და სავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის მე-13 მუხლის თანახმად, სავადმყოფო ფურცლის უსაფუძვლოდ გაცემის, გაგრძელების ან არასწორად გაფორმებისათვის დისციპლინური, ადმინისტრაციული, პროფესიული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრებათ სამედიცინო დაწესებულების ექიმებს.

აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ სამედიცინო დაწესებულების ექიმის მიმართ ზემოხსენებული პასუხისმგებლობის სახეთაგან შესაძლებელია მხოლოდ ერთი მათგანის და არა პასუხისმგებლობის რამდენიმე სახის ერთდროული გამოყენება. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხ. ნ-ეს სავადმყოფო ფურცელში დაშვებული უზუსტობისა და უყურადღებობისათვის დისციპლინური სახდელი – „სასტიკი საყვედური“ საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლისა და შპს „...ს“ შინაგანაწესის შესაბამისად გამოეცხადა. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის გამოყენებული სამართლებრივი საფუძვლები ცხადყოფს, რომ პასუხისმგებლობის მოცემული სახე მოსარჩელესა და შპს „...ს“ შორის არსებულ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას ემყარება და მისგან გამომდინარეობს. რაც შეეხება პროფესიული პასუხისმგებლობის სახით განსაზღვრულ სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 2 თვის ვადით შეჩერებას, პასუხისმგებლობის აღნიშნული სახე ექიმ ხ. ნ-ეს ადმინისტრაციული კა-

ნონმდებლობის, კერძოდ, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეეფარდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი განხორციელებისთვის დაკისრებული სახდელი თავისი ბუნებით დისციპლინური, ანუ კერძო-სამართლებრივია, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს და სწორედ ასეთი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტებით რეგულირდება, მაშინ, როდესაც პროფესიული პასუხისმგებლობის დაკისრება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება და პასუხისმგებლობის აღნიშნული სახე შინაარსით, ცალსახად, საჯარო-სამართლებრივ სახდელს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მინიჭება პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ სახელმწიფო სერტიფიკატის გაცემის გზით ხორციელდება, რისი გაცემისათვის საჭირო პირობები და სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები საჯარო კანონმდებლობით, კერძოდ, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით არის მოწესრიგებული. ამასთან, ხსენებული კანონის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო სერტიფიკატის გამცემი ორგანოა საბჭო, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით იქმნება.

მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახის გამოყენების შესაძლებლობა, ერთი მხრივ, ხსენებულ პასუხისმგებლობათა განსხვავებულ სამართლებრივ ხასიათს, ხოლო, მეორე მხრივ, ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრებით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და განსხვავებული მიზნების მიღწევის საჭიროებას ეფუძნება. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი, ერთი მხრივ, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება მის დამსაქმებელ სამედიცინო დაწესებულებასთან, რის საფუძველზეც მისი საქმიანობა აღნიშნულ ურთიერთობაში ამ სამედიცინო დაწესებულების მხრიდან კონტროლდება, თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი საქმიანობის განხორციელებისათვის საბჭოს მხრიდან შესაბამისი უფლების მინიჭების საჭიროების გათვალისწინებით, ექიმის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან მუდ-

მივ კონტროლსაც ექვემდებარება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსხვავებულია დამსაქმებელი სამედიცინო დაწესებულებისა და საბჭოს მხრიდან დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიმართ განხორციელებული კონტროლის შედეგები და მიზნები, კერძოდ, სამედიცინო დაწესებულების მიერ მაქსიმალური დისციპლინური სახდელის სახით, შესაძლოა, საექიმო საქმიანობის სუბიექტი გათავისუფლებულ იქნეს სამედიცინო დაწესებულებიდან, მაშინ როდესაც საბჭოს მიერ უმკაცრესი პასუხისმგებლობის სახით შესაძლოა სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება, შესაბამისად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების აკრძალვა განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნული შედეგების გათვალისწინების საფუძველზე მიუთითებს, რომ ზემოხსენებული პასუხისმგებლობის სახეების ერთდროული დაკისრების შესაძლებლობას ამ სახდელებთა გამოყენებით მისაღწევი მიზნების ურთიერთდამოუკიდებლობა განაპირობებს. ცალსახაა, რომ სამედიცინო დაწესებულებები მათთვის კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებებს და, მათ შორის, სამედიცინო ფურცლის გაცემასაც, სწორედ სამედიცინო პერსონალის მეშვეობით ახორციელებენ. აღნიშნული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა კი, ერთი მხრივ, სამედიცინო დაწესებულების მომსახურების ხარისხის გაუარესებასა და მისი რეპუტაციის პოტენციურ შელახვას იწვევს, ხოლო, მეორე მხრივ, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოშობს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დისციპლინურ პასუხისმგებლობას დამსაქმებელი საკუთარი, როგორც ექიმისაგან განცალკევებული პირის საქმიანობის სრულყოფისა და საექიმო საქმიანობაში იმგვარი დარღვევების შემდგომი პრევენციის მიზნით იყენებს, რომელმაც შესაძლოა მისი მომსახურების ხარისხი გააუარესოს ან სამომავლოდ მისი რეპუტაცია შელახოს, ასევე, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება გამოიწვიოს. ამასთან, დისციპლინური სახდელის გამოყენებით დამსაქმებელმა ექიმის მხრიდან შესაბამისი დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში საკმარისი საფუძვლის არსებობის გათვალისწინებით, შესაძლოა მისთვის და მისი საქმიანობისათვის პოტენციურად არასასურველი თუ არაკომპეტენტური ექიმი აირიოდოს, რაც, ცხადია, აღნიშნული პირის სხვა სამედიცინო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების შეზღუდვას შედეგობრივად არ გამოიწვევს. რაც შეეხება პროფესიულ სახდელს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საბჭოს მხრიდან პროფესიული სახდელის შეფარდებას საჯარო მიზნები გააჩნია. კერძოდ, გამომდინა-

რე იქიდან, რომ საექიმო საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებასთან, როგორიც თავად ადამიანი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობაა, საბჭოს მხრიდან ექიმის საქმიანობის სრულყოფილი, ზედმინევენითი წარმართვის კონტროლი, ერთი მხრივ, პრევენციულ ხასიათს იძენს, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს იმ საექიმო საქმიანობის სუბიექტის ადეკვატურ დასჯასა და შემდგომ გამოსწორებას, რომელმაც საკუთარი საქმიანობის არაჯეროვანი განხორციელებით ხელყო გარკვეული სამართლებრივი სიკეთე ან ზიანი მიაყენა კონკრეტულ პირს/პირებს. თავად პროფესიულ სახდელთა სახეებიც, კერძოდ, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება და სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების გაუქმება მიუთითებს იმაზე, რომ პასუხისმგებლობის აღნიშნულ სახეთა გამოყენების მიზანს არაკომპეტენტური, არაკეთილსინდისიერი და ადამიანთა ჯანმრთელობისა თუ სხვა სამართლებრივ სიკეთეთათვის პოტენციურად ზიანის მიმყენებელი პირის საექიმო საქმიანობის განხორციელებისაგან დროებითი თუ მუდმივი ჩამოშორება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/6 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის მე-13 მუხლით განსაზღვრულ პასუხისმგებლობის სახეთაგან მხოლოდ ერთ-ერთის გამოყენების შესაძლებლობის დაშვება სამართლებრივად დაუსაბუთებელი იქნებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ამგვარ პირობებში ექიმის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დროს, ერთი მხრივ, თავად დამსაქმებელ სამედიცინო დაწესებულებას შეეზღუდებოდა შესაძლებლობა, საექიმო საქმიანობის სუბიექტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების პარალელურად მის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოეყენებინა, ხოლო, მეორე მხრივ, ექიმის ერთი ქმედებისათვის დისციპლინური ან თუნდაც პროფესიული პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტი ასეთ ქმედებაში დანაშაულებრივი ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესაძლებლობას გამოიციხავდა. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის სამართლის პრინციპებთან, რაც განსახილველი ნორმის ასეთ განმარტებას დაუსაბუთებელს და გაუმართლებელს ხდის.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს და სამართლებრივ ჭრილში პარალელს ავლებს „საექიმო საქმიანობის

შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია დაიცვას „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეთიკური და ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმები, რომელთა დარღვევაც იწვევს ამ კანონით გათვალისწინებულ პროფესიულ პასუხისმგებლობას და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო მითითებულ ნორმაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ განსახილველი საკითხი შესაძლოა დამოუკიდებელი საექიმო სუბიექტის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევას არ უკავშირდებოდეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა ცალსახად დასაშვებად მიიჩნევს საექიმო საქმიანობის სუბიექტისათვის კონკრეტული დარღვევის გამო ერთდროულად ორი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის დარღვევისათვის განსაზღვრულ სახდელებთან მიმართებითაც იძლევა სახდელის გამოყენების პირობების ამგვარი განმარტების შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/6 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის მე-13 მუხლთან მიმართებით მიიჩნევს, რომ სსენებული ნორმა მოიცავს საავადმყოფო ფურცლის უსაფუძვლოდ გაცემის, გაგრძელების ან არასწორად გაფორმების გამო სამედიცინო დაწესებულების ექიმებისათვის პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებულ დისციპლინურ, ადმინისტრაციულ, პროფესიულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობათაგან როგორც მხოლოდ ერთი, ასევე, ერთდროულად რამდენიმე სახდელის დაკისრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს გამოყენებული სახდელის ზომაზე და განმარტავს, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის ექიმის მიმართ გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის სახისა და ზომის განსაზღვრა პროფესიული განვითარების საბჭოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას

საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადამწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადამწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ როგორც პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ სადავო აქტის გამოსაცემად ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების სხდომაზე, ასევე, უშუალოდ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, ხ. ნ-ე ადასტურებს მის მიერ გადაცდომის ჩადენის ფაქტს, კერძოდ, იგი აღიარებს, რომ მან მართლაც დაუშვა შეცდომა საავადმყოფო ფურცლის შევსების დროს.

საკასაციო სასამართლო მითითებული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით აღნიშნავს, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებით, საბჭოს მიერ პროფესიული სახდელის სახით ხ. ნ-ისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის 2 თვის ვადით შეჩერების, როგორც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შეფასება უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, აღნიშნული პასუხისმგებლობის ზომის ნაწილში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა შეფასდეს, რამდენად დასაბუთებული და რელევანტური იყო მოცემული პასუხისმგებლობის ამგვარი სიმძიმით განსაზღვრა ხ. ნ-ის მიერ გადაცდომის ჩადენიდან 2 წლის შემდგომ.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, პროფესიული პასუხისმგებლობის განსაზღვრის ხანდაზმულობასთან მიმართებით განმარტავს, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, კერძოდ, ამ კანონის 75-ე მუხლის მე-6 პუნქტი მხოლოდ წერილობითი გაფრთხილების გამოყენების ხანდაზმულობის ვადას განამტკიცებს. აღნიშნული ნორმის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს არ მიეცემა ამ კანონით გათვალისწინებული წერილობითი გაფრთხილება დარღვევიდან 5 წლის შემდეგ ანდა გაფიცვაში ან სხვა მსგავს ქმედებაში მონაწილეობისათვის. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ ზემოხსენებული კანონი ექიმის წერილობითი გაფრთხილებისათვის დადგენილ 5-წლიან ხანდაზმულობის ვადას უკავშირებს უშუალოდ დარღვევის ჩადენისა და არა აღნიშნული დარღვევის გამოვლენის ფაქტს, შესაბამისად, კანონმდებლობა განსაზღვრის მიღმა ტოვებს იმას, თუ დარღვევის გამოვლენიდან რა ვადაში შეიძლება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიმართ პროფესიული სახდელის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი თუ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო აქტები პრო-

ფესიული სახდელის დაკისრებისათვის არ ადგენს კონკრეტულ ხანდაზმულობის ვადას, რაც შეუძლებელს ხდის სასამართლოს მხრიდან პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის საკითხის ვადებთან მიმართებით შეფასებას. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო პარალელს ავლებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75² მუხლზე, რომლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი. ამასთან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას აღძრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, რომელიც ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ ან ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა აღენიშნება – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 და მე-2¹ ნაწილებით განსაზღვრული სამართალდარღვევების მიმართ, დადგენილია, შესაბამისად, ხანდაზმულობის 4-თვიანი და 6-თვიანი ვადები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩადენილი დარღვევებისათვის ზემოხსენებული სამართლებრივი საფუძვლებით პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები კანონის ანალოგიის გზით ხსენებულ სადავო ურთიერთობასთან მიმართებით ვერ გავრცელდება, გამომდინარე იქიდან, რომ დასახელებულ ყველა შემთხვევაში, კანონმდებლობა საკუთარი დამოუკიდებელი მიზნების ფარგლებში არეგულირებს განსხვავებული პროფესიის (ადვოკატისა და მოსამართლის) პირებისა თუ სხვადასხვა სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადების განუსაზღვრელობის პირობებში, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების, როგორც პროფესიული პასუხისმგებლობის გადაცდომის ჩადენიდან დაახლოებით 2 წლის შემდგომ გამოყენების მართლზომიერება, მისი რელევანტურობა სწორედ ამგვარი სახდელის დაკისრების მიზნების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროფესიული სახდელის დაკისრების მიზანს ჩადენილი გადაცდომისათვის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის დასჯა, მისი გამოსწორება და, ამავდროულად, მისი თუ სხვა ექიმების მხრიდან გადაცდომათა სამომავლო ჩადენის პრევენცია წარმოადგენს. ამგვარი მიზნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ასეთი სახდელის ადრესატი, განსახილველ შემთხვევაში – დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი, ხანგრძლივი თუ გამუდმებული დასჯისა და პასუხისმგებლობის დაკისრების შიშსა და მოლოდინში იმყოფებოდეს. ასეთი სამუშაო პირობები, ცხადია, არაეფექტურს ხდის ექიმის მხრიდან საქმიანობის განხორციელებას, ზრდის მის მიერ საქმიანობისადმი არაგულმოდგინე დამოკიდებულებისა და, შესაბამისად, სამომავლო შეცდომის დაშვების რისკებს, რამაც, შესაძლოა, საბოლოოდ ფატალური შედეგებიც კი გამოიწვიოს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საბჭოს მიერ ექიმისათვის სერტიფიკატის გაცემით მაღალი ხარისხის ნდობა წარმოიშობა ორმხრივად, კერძოდ, ხსენებული ნდობა ვლინდება არა მხოლოდ პროფესიული განვითარების საბჭოს მხრიდან ექიმის მიმართ, არამედ უშუალოდ საბჭოს მიმართაც ისეთი სარისკო საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან, როგორც ექიმია, რამდენადაც საექიმო საქმიანობის უსაფრთხო, სრული და უშეცდომო განხორციელებისათვის ექიმს სტაბილური, მშვიდი გარემო ესაჭიროება, ხოლო სახდელის დაკისრების ვადის არაგონივრული განგრძობით აღნიშნული სტაბილურობა არსებითად ირღვევა.

საკასაციო სასამართლო ზემოთაღნიშნული რისკების გათვალისწინებით განმარტავს, რომ ჩადენილი ნებისმიერი გადაცდომისათვის შესაბამისი სახდელის და, მათ შორის, პროფესიული სახდელის დაკისრებაც, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება, უნდა მოხდეს მაქსიმალურად მყისიერად, ხოლო ასეთი სახდელის 2 წლის შემდგომ გამოყენება კი, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შესაბამისი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოებების სრულ და ობიექტურ გამოკვლევა-შეფასებას, გამართლებულობასა და რელევანტურობას უნდა ეფუძნებოდეს. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე პასუხისმგებლობის კონკრეტული სახისა და ზომის გამოყენების აუცილებლობა განსაზღვრული მიზნის მიღწევის საჭიროებით უნდა ვლინდებოდეს, ხოლო ამგვარი მიზნების მხოლოდ ამ გზით მიღწევის შესაძლებლობა კი, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მყარი არგუმენტებით უნდა იქნეს დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული თავისუფლებისა, დისკრეციული უფლებამოსილება არ გულისხმობს აბსოლუტურ, შეუზღუდავ თავისუფლებას და იგი ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. სრული თავისუფლების არსებობასთან დაკავშირებით მსჯელობა საერთოდ გამორიცხავს და ფორმალურ ნიშნამდე დაჰყავს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე, მაშინ, როცა სასამართლოს, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ მმართველობითი ღონისძიებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების უკომპრომისო შემოწმების მეშვეობით სრული სასამართლო კონტროლის განხორციელება.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლო ვერ იქცევა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ და თავად ვერ განახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვერ შეცვლის ადმინისტრაციულ მიხედულებას სასამართლოს მიხედულებით. ამასთან, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, თვითნებობის ფაქტების აცილების მიზნით, აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც – აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა. უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობას, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოინვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების მოთხოვნა პირველ რიგში, ადმინისტრაციული ორგანოების თვითკონტროლს ემსახურება, რამდენადაც ის იძულებული ხდება დასაბუთების ჩამოყალიბების პროცესში თავისი გადაწყვეტილება, სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით, ზუსტად მოიაზროს და გაამაგროს.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის განუსაზღვრელობის პირობებშიც კი, პროფესიული განვითარების საბჭოს მხრიდან ექიმის მიერ გადაცდომის ჩადენაზე არაგონივრულ ვადაში რეაქციის გამოვლენა პროფესიული სახდელის მოცემული სახის გამოყენების ეფექტურობას მნიშვნელოვნად ამცირებს და, შესაბამისად, ზრდის გადაცდომის ჩადენის გამოვლენიდან 2 წლის გასვლის შემდგომ ამგვარი სახდელის გამოყენების რელევანტურობის, მართებულობის და აუცილებლობის დასაბუთების ხარისხის საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის ჩადენილი გადაცდომისათვის დასჯა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს არ უნდა იძენდეს, არამედ, იგი გამართლებული უნდა იყოს ასეთი დასჯის შინაარსით. კერძოდ, ხსენებული დასჯის შედეგად უნდა მიიღწეოდეს ექიმის გამოსწორება, მის მიერ სამომავლო შეცდომათა ჩადენის აღკვეთა, ხოლო მისი საქმიანობის საფუძვლის (სერტიფიკატის) შეჩერებისა თუ გაუქმების საჭიროების შემთხვევაში კი, არაკვალიფიციური ექიმის პაციენტთაგან მყისიერად დროებითი თუ სამუდამო ჩამოშორება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროფესიული განვითარების საბჭომ ვერ შეძლო, თუმცა იგი ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას შეეფასებინა, ხოლო სადავო აქტის გამოცემის სტადიაზე დაესაბუთებინა, კონკრეტულად რა მიზნის მიღწევას ემსახურებოდა გადაცდომის გამოვლენიდან

დაახლოებით 2 წლის შემდგომ ექიმ ხ. ნ-ისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება, გადაცდომის ჩადენასა და მის გამოვლენას შორის დროის ასეთი დიდი მონაკვეთის გათვალისწინებით რატომ იყო რელევანტური, საჭირო და ალტერნატიული ღონისძიებებიდან ყველაზე მისაღები სწორედ ამგვარი სახდელის შესაბამისი ზომით გამოყენება და რატომ ვერ მიიღწეოდა აღნიშნული შედეგი უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის დაკისრების გზით. პროფესიული განვითარების საბჭომ ვერ დაასაბუთა, რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული სახდელის დაკისრება იმ პირობებში, როდესაც გადაცდომის ჩადენიდან მის გამოვლენამდე არსებულ დაახლოებით 2-წლიან მონაკვეთში კასატორი შეუფერხებლად ახორციელებდა სამედიცინო საქმიანობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის დროისათვის არ იქნა გამოკვლეული, დადგენილი და შეფასებული ის ფაქტი, უფიქსირდებოდა თუ არა ხ. ნ-ეს ზემოხსენებულ 2-წლიან პერიოდში რაიმე სახის დარღვევა/დარღვევები საექიმო საქმიანობის განხორციელების დროს. პროფესიული განვითარების საბჭომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ასევე შეფასების მიღმა დატოვა მხარეების მიერ სასამართლო პროცესზე დადასტურებული და საბჭოსთვის აქტის გამოცემის დროსვე ცნობილი გარემოება, რომ ხ. ნ-ეს სადავო შემთხვევამდე ერთხელაც არ მიუღია გაფრთხილება ან/და წერილობითი შენიშვნა მის მიერ სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამო. ამასთან, პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული დამატებით ის ფაქტი, რომ ხ. ნ-ე თავიდანვე არ უარყოფდა და აღიარებდა მის მიერ საავადმყოფო ფურცლის არასწორ შევსებას.

საკასაციო სასამართლო ზემოხსენებულ გარემოებებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლიანი, მყარი დასაბუთების არარსებობა არღვევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრულ საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობის პრინციპს, გამომდინარე იქიდან, რომ საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ შედეგობრივად ხ. ნ-ის ინტერესთა დაუსაბუთებელი შეზღუდვა გამოიწვია. ასეთი შეზღუდვა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29¹ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში მონაწილეო-

ბის უფლების შელახვაშიც გამოიხატა, რომლის კომპონენტებსაც, ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, უწყვეტი სამედიცინო განათლება, უწყვეტი პრაქტიკული საექიმო საქმიანობა, პროფესიული რეაბილიტაცია და სამედიცინო მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძვლებისა და გარემოებების, მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ ხ. ნ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ხ. ნ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2015 წლის 15 მაისის სხდომის №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამასთან, ხ. ნ-ეს (პ/ნ ...) სრულად უნდა დაუბრუნდეს სარჩელზე დ. ტ-ის მიერ 09.06.2015წ. №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ხ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ბ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2015 წლის 15 მაისის სხდომის №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. ბ. ნ-ეს (პ/ნ ...) სრულად დაუბრუნდეს სარჩელზე დ. ტ-ის მიერ 09.06.2015წ. №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის უპატიოსანობის დადგენა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1161(კ-18)

7 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 8 თებერვალს ლ. შ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017 წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმისა და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2018 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, აგრეთვე, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის ლ. შ-ასათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაწავლება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 1992-1993 წლებში ირიცხებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში – საკუთრების დაცვის პოლიციაში, სამოქალაქო პირად,

...

2018 წლის 9 იანვარს ლ. შ-ამ მიმართა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს და მოითხოვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილის სტატუსის მინიჭება. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ განხილულ იქნა ლ. შ-ას განცხადება და უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველზე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არ მოიპოვებოდა ინფორმაცია და არ დასტურდებოდა ფაქტი ლ. შ-ას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ.

მოსარჩელის მითითებით, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უკანონოა, რამდენადაც აღნიშნული აქტები უკანონოდ ზღუდავს მის კანონით გარანტირებულ უფლებას, ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ომისა და სამხედრო ვეტერანებისათვის გათვალისწინებული შეღავათებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. შ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017

წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმი და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2018 წლის 10 იანვრის გადან-
ყვეტილება; სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს
ლ. შ-ასათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავი-
სუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებ-
ში მონაწილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალუ-
რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული,
რომ ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს დაცვის პოლიციის
სამსახურის ქ/განყოფილების უფროსმა, პოლიციის ვ/პოლკოვნიკმა
დ. ა-ამ 1998 წლის 13 თებერვალს შეადგინა პატაკი აფხაზეთის ავ-
ტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, პოლიცი-
ის გენერალ მაიორის ლ. ნ-ას სახელზე. პატაკის თანახმად, დ. ა-ა
ადასტურებს, რომ 1992-1993 წლებში, აფხაზეთში მიმდინარე საო-
მარი მოქმედების პერიოდში, ლ. ტ. შ-ა აფხაზეთის შს სამინისტროს
საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში ნამდვილად მუ-
შაობდა ... და ქ. სოხუმის დაცვამდე ასრულებდა თავის სამსახუ-
რეობრივ მოვალეობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სა-
მინისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის
სამმართველოს უფროსის ... პოლიციის პოლკოვნიკის მ. გ-ას მიერ
2003 წლის 23 სექტემბერს ლ. შ-ას მიმართ გაიცა ცნობა №8/2-229,
რომლის თანახმად, ლ. შ-ა 1992-1993 წლებში მსახურობდა აფხა-
ზეთის ა.რ. შსს საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში
...ის თანამდებობაზე და არის ომის მონაწილე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამარ-
თლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადა-
მიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსის – ზ. თ-ის
მიერ 2017 წლის 16 მაისს გაიცა ცნობა MIA01701154321, რომლის
თანახმად, ლ. ტ. შ-ა შს ორგანოებში ირიცხებოდა 1971 წლის 16
დეკემბრიდან 2011 წლის 31 აგვისტომდე. 1988 წლის 26 დეკემბრი-
დან 1994 წლის 11 აპრილამდე ირიცხებოდა აფხაზეთის ავტონომი-
ური რესპუბლიკის საკუთრების დაცვის ...ის თანამდებობაზე.

ამასთან, სანოტარო წესით დამოწმებული საბრძოლო მოკვლე-
ვის აქტის თანახმად, ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბ-
ლიკის შსს საკუთრების დაცვის პოლიციის მეთაური – დ. ა-ა, დანა-
ყოფის წევრები – ჯ. ც-ა და ზ. კ-ა ადასტურებენ, რომ ლ. ტ. შ-ა
აფხაზეთის შს სამინისტროს ორგანოებში ირიცხებოდა 1971 წლი-
დან 1994 წლის აპრილამდე. აფხაზეთში ცნობილი მოვლენების პე-
რიოდში, 1992-1993 წლებში მუშაობდა საკუთრების დაცვის პოლი-
ციის ... სოხუმში საომარი მოქმედებების პერიოდში ასრულებდა

თავის სამსახურებრივ მოვალეობას, შექმნილი საბრძოლო ვითარებიდან გამომდინარე ახორციელებდა მიმოსვლას ქალაქ სოხუმში განლაგებული საკუთრების დაცვის პოლიციის მიერ დაცულ წარმოებებში, დაწესებულებებში. ბანკებში აწარმოებდა გადარიცხვებს. ამავდროულად უზრუნველყოფდა დაცვის პოლიციის პირად შემადგენლობას ხელფასებით, ფორმით და სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებებით. საბრძოლო მოკვლევის აქტის თანახმად, 1993 წლის მარტის თვეში, როდესაც რუსეთის რეგულარული არმიის და ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების მხრიდან ქ. სოხუმის მიმართულელებით მოხდა ფართომასშტაბიანი შემოტევა, რა დროსაც დაიბოძა ქ. სოხუმის პოლიციის სამმართველოს შენობა, დაბომბვის მომენტში შენობაში იმყოფებოდა ლ. შ-ა. დაბომბვის შედეგად დაიღუპა ... ო. მ-ა და დაიჭრა ბევრი თანამშრომელი. აღნიშნულ სიტუაციაში ლ. შ-ამ სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე დაჭრილ თანამშრომლებს აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება და გადაარჩინა მრავალი თანამშრომლის სიცოცხლე.

საქმის მასალებით აგრეთვე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017 წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმის თანახმად, ლ. შ-ას უარი ეთქვა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადასტურებაზე.

ამასთან, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2018 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით, ლ. შ-ას გაეგზავნა ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017 წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმი და ამასთან, ეცნობა, რომ ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით უარი ეთქვა საბრძოლო მოქმედებების მონაწილის სტატუსის მინიჭებაზე, იმის გამო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ინფორმაცია არ მოიპოვებოდა მისი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ, ასევე, 2017 წლის 17 ნოემბრის კომისიის სხდომაზე არ დადასტურდა მისი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები – სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017 წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმი და სსიპ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2018 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და მათი კანონშესაბამისობა სასამართლოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, ასევე, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან მიმართებით უნდა შეემოწმებინა. სასამართლომ იქვე აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა ასევე ის დოკუმენტი, რომლის გამოცემასაც მოსარჩელე მოპასუხე მხარისაგან მოითხოვდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური დაცვის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს მათი კეთილდღეობისა და აქტიური საქმიანობის პირობების შესაქმნელად. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და ამ კანონის დებულებების შესრულების სისტემური კონტროლი ევალება ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილია ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შემდეგი კატეგორიები: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები.

ამავე კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონა-

წილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, ვეტერანების სოციალური დაცვა ითვალისწინებს: ა) საპენსიო უზრუნველყოფას „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; ბ) სხვა სოციალური დაცვის გარანტიებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ვეტერანების უფლებები და შეღავათები ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ ვეტერანებისათვის დადგენილი ერთიანი ნიმუშის მოწოდების წარდგენის შემთხვევაში. ვეტერანის მოწოდების ნიმუშსა და გაცემის წესს კი ადგენს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აგვისტოს №509 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერანის მოწოდების ნიმუშისა და მისი გაცემის წესის“ დანართი №1-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვეტერანის მოწოდება გაიცემა შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ა) ომის მონაწილე; ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; გ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; დ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; ე) ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირი; ვ) სამხედრო ძალების ვეტერანი; ზ) ომში დაღუპულის ოჯახის წევრი; თ) მარჩენალდაკარგული. ამასთან, მე-2 პუნქტის მიხედვით, დადგენილების მიზნებისათვის, ტერმინი „ომი“ გულისხმობს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული ნორმატიული აქტები უზრუნველყოფენ იმ პირთა სოციალურ დაცვას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ. ამდენად, მოცემული დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ საკითხის გარკვევას, მოსარჩელე ლ. შ-ა მონაწილეობდა თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის განმსაზღვრელ მიზანს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს ტერიტო-

რიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში მონაწილის სტატუსის მინიჭების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე მოპასუხის დავალდებულება წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს №281 ბრძანებით დამტკიცდა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მონმოებების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქცია, რომლის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებებს მონაწილის და ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი ვეტერანის მონმოების მაძიებელმა უნდა წარადგინოს: „დ.ა“) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი, ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, ნოდების მინიჭების, დაჯილდოების ბრძანებების, სამხედრო ტრავმების მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმელის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ და სხვა მტკიცებულებები). მაძიებელმა ასევე უნდა წარადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი. ხელმოწერები ძალოვანი უწყების მოსამსახურეებზე დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი უწყების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნოტარიულად. „დ.ბ“) მოხალისეებზე, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში, წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ დამონმებული ასლები. საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი, ხელმოწერები დადასტურებულ უნდა

იქნეს ნოტარიულად. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი სპეციალური კომისიის ოქმი. ასევე, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაბადების მოწმობა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ ლ. შ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს და მოითხოვა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადგენა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთში წარმოებულ ომის მონაწილის სტატუსის მინიჭება. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017 წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმის თანახმად, ლ. შ-ას არ დაუდასტურდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტები, ხოლო სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2018 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით, ლ. შ-ას განემარტა, რომ ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის ნევრთა ხმათა უმრავლესობით მას უარი ეთქვა საბრძოლო მოქმედებების მონაწილის სტატუსის მინიჭებაზე, იმის გამო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ინფორმაცია არ მოიპოვებოდა მისი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ, ასევე 2017 წლის 17 ნოემბერს გაართულ კომისიის სხდომაზე არ დადასტურდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი. ამდენად, ლ. შ-ას მოთხოვნა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილის სტატუსის მინიჭების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამ-

ტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი გარემოება, ანუ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომელთაც ემყარება მისი მოთხოვნა, მოპასუხეს კი ევალება იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელთაც ეყრდნობა მისი შესაგებელი. მტკიცებულებათა სახეებს წარმოადგენს მხარეთა (მესამე პირი) ახსნა-განმარტება, მონშეთა ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება და ექსპერტის დასკვნა. ძირითადად, მტკიცებულებათა შეგროვება შესაძლებელია ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილის სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითვალისწინებს გარკვეული გარემოებების გარკვეული მტკიცებულებით დამტკიცებას (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამავე კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებას თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობისა ან არარსებობის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებში წარმოდგენილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს დაცვის პოლიციის სამსახურის ქ/განყოფილების უფროსის მიერ 1998 წლის 13 თებერვალს შედგენილი პატაკის თანახმად, 1992-1993 წლებში, აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედების პერიოდში ლ. ტ. შ-ა აფხაზეთის შს სამინისტროს საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში მუშაობდა ... და ქ. სოხუმის დაცვამდე ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსის მიერ 2017 წლის 16 მაისს გაიცა ცნობა იმის თაობაზე, რომ ლ. ტ. შ-ა შს ორგანოებში ირიცხებოდა 1971 წლის 16 დეკემბრიდან 2011 წლის 31 აგვისტომდე. 1988 წლის 26 დეკემბრიდან 1994 წლის 11 აპრილამდე ირიცხებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრების დაცვის ...ის თანამდებობაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილის 2003 წლის 23 სექტემბრის №8/2-229 ცნობით დასტურდება, რომ ლ. შ-ა 1992-1993 წლებში მსახურობდა აფხაზეთის ა.რ. შსს საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში ...ის თანამდებობაზე და არის ომის მონაწილე. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი სანოტარო წესით დამოწმებული საბრძოლო მოკვლევის აქტის თანახმად, ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს საკუთრების დაცვის პოლიციის მეთაური დ. ა-ა, დანაყოფის წევრები ჯ. ც-ა და ზ. კ-ა ადასტურებენ, რომ ლ. ტ. შ-ა აფხაზეთის შს სამინისტროს ორგანოებში ირიცხებოდა 1971 წლიდან 1994 წლის აპრილამდე. აფხაზეთში ცნობილი მოვლენების პერიოდში, 1992-1993 წლებში, მუშაობდა საკუთრების დაცვის პოლიციის ... სოხუმში საომარი მოქმედებების პერიოდში ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, შექმნილი საბრძოლო ვითარებიდან გამომდინარე ახორციელებდა მიმოსვლას ქალაქ სოხუმში განლაგებული საკუთრების 10 დაცვის პოლიციის მიერ დაცულ წარმოებებში, დანესებულებებში. ბანკებში აწარმოებდა გადარიცხვებს. ამავდროულად უზრუნველყოფდა დაცვის პოლიციის პირად შემადგენლობას ხელფასებით, ფორმით და სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებებით. 1993 წლის მარტის თვეში, როდესაც რუსეთის რეგულარული არმიის და ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების მხრიდან ქ. სოხუმის მიმართულებით მოხდა ფართომასშტაბიანი შემოტევა, რა დროსაც დაიბომბა ქ. სოხუმის პოლიციის სამმართველოს შენობა, დაბომბვის მომენტში შენობაში იმყოფებოდა ლ. შ-ა. დაბომბვის შედეგად დაიღუპა ... ო. მ-ა და დაიჭრა ბევრი თანამშრომელი. აღნიშნულ სიტუაციაში ლ. შ-ამ სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე დაჭრილ თანამშრომლებს აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება და გადაარჩინა მრავალი თანამშრომლის სიცოცხლე.

ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. შ-ა 1992-1993 წლებში მსახურობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში ...ის თანამდებობაზე და იყო აფხაზეთში წარმოებული ომის მონაწილე, რაც წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის სტატუსის მინიჭების საფუძველს. შესაბამისად, დაუშვებელი იყო ლ. შ-ასათვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ მის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს საარქივო მასალებში. სტატუსის მინიჭების საფუძველს წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებული ფაქტის დადგენა და არა კონკრეტული პირის საარქივო მასალებში აღრიცხვის ფაქტი. ამდენად, საქმის ირგვლივ არსებული ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა საფუძველს ლ. შ-ასათვის ვეტერანის სტატუსის მისანიჭებლად.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). ადმინისტრაციული წარმოების ვალდებულების შესრულება ემსახურება ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, თუ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება და რა მოტივებით უარყო წარმოების შედეგით დაინტერესებული მხარის არგუმენტები. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომ-

ლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ან მისი ნაწილი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამავე კოდექსის 33-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017 წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმი, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2018 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს უნდა დავალებოდა ლ. შ-ასათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება სააპელა-

ციო წესით გაასაჩივრა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განჩინებით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგენილი იყო სრულყოფილად, რაც არ იძლეოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები. ამასთან, სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც სადავო გარემოებას არ წარმოადგენდა ლ. შ-ას 1992-1993 წლებში აფხაზეთის ა.რ. შსს საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში ...ის თანამდებობაზე მუშაობის ფაქტი, დაუშვებელი იყო ლ. შ-ასათვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ მის შესახებ ინფორმაცია – მონაწილეობდა თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში, არ ფიქსირდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებში. კანონმდებლობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიაკუთვნებს მათ შორის შინაგან საქმეთა მოსამსახურეებს, ხოლო საქმის მასალებითა და მომწინა ჩვენებებით ცალსახად დადასტურებული იყო ის ფაქტი, რომ ლ. ტ. შ-ა აფხაზეთის შს სამინისტროს ორგანოებში ირიცხებოდა 1971 წლიდან 1994 წლის აპრილამდე. აფხაზეთში ცნობილი მოვლენების პერიოდში, 1992-1993 წლებში, მუშაობდა საკუთრების დაცვის პოლიციის სოხუმში საომარი მოქმედებების პერიოდში ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, შექმნილი საბრძოლო ვითარებიდან გამომდინარე ახორციელებდა მიმოს-

ვლას ქალაქ სოხუმში განლაგებული საკუთრების დაცვის პოლიციის მიერ დაცულ წარმოებებში, დაწესებულებებში.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სტატუსის მინიჭების საფუძველს წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებული ფაქტის დადგენა და არა კონკრეტული პირის საარქივო მასალებში აღრიცხვის ფაქტი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ საქმის ირგვლივ არსებული ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა ლ. შ-ასათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აგვისტოს №509 დადგენილებით დამტკიცებულ „ვეტერანის მოწმობის ნიმუშის გაცემის წესის“ დანართი №1-ის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უზღო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მოწმობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ შსს-დან მიღებული ინფორმაციით მის მიმართ იარაღის გაცემის, დაჯილდოების, ნახალისების წოდების მინიჭების (საომარი მოქმედებების პერიოდში), საველე ფორმა-ტანსაცმლის შესახებ ბრძანებები არ მოიპოვება (თუმცა ნამსახურების ნუსხის თანახმად, ომის შემდეგი პერიოდი სავსეა ნახალისების ჩანაწერებით).

კასატორი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლ. შ-ა მუშაობდა აფხაზეთის ა/რ შსს-ში, მას უშუალო შეხება არ ჰქონია საბრძოლო მოქმედებებთან. რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ შესაძლოა ლ. შ-ა ჩაითვალოს ვეტერანთან გათანაბრებულ პირად, კასატორმა აღნიშნა, რომ ამგვარ შესაძლებლობას ითვალისწინებდა 2006 წლამდე მოქმედი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, რაც ამოღე-

ბულია და შესაბამისად, გაუქმებული ნორმის საფუძველზე მსჯელობა დაუშვებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს დაცვის პოლიციის სამსახურის ქ/განყოფილების უფროსმა, პოლიციის ვ/პოლკოვნიკმა დ. ა-ამ 1998 წლის 13 თებერვალს შეადგინა პატაკი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, პოლიციის გენერალ მაიორის ლ. ნ-ას სახელზე. პატაკის თანახმად, დ. ა-ა ადასტურებს, რომ 1992-1993 წლებში, აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედების პერიოდში, ლ. ტ. შ-ა აფხაზეთის შს სამინისტროს საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში ნამდვილად მუშაობდა ... და ქ. სოხუმის დაცვამდე ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსის ... პოლიციის პოლკოვნიკის მ. გ-ას მიერ 2003 წლის 23 სექტემბერს ლ. შ-ას მიმართ გაიცა ცნობა №8/2-229, რომლის თანახმად, ლ. შ-ა 1992-1993 წლებში მსახურობდა აფხაზეთის ა.რ. შსს საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში ...ის თანამდებობაზე და არის ომის მონაწილე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამარ-

თლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსის – ზ. თ-ის მიერ 2017 წლის 16 მაისს გაიცა ცნობა MIA01701154321, რომლის თანახმად, ლ. ტ. შ-ა შს ორგანოებში ირიცხებოდა 1971 წლის 16 დეკემბრიდან 2011 წლის 31 აგვისტომდე. 1988 წლის 26 დეკემბრიდან 1994 წლის 11 აპრილამდე ირიცხებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრების დაცვის ...ის თანამდებობაზე.

საქმის მასალებით აგრეთვე დადგენილია, რომ სანოტარო ნესით დამონმებული საბრძოლო მოკვლევების აქტის თანახმად, ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს საკუთრების დაცვის პოლიციის მეთაური დ. ა-ა, დანაყოფის წევრები ჯ. ც-ა და ზ. კ-ა ადასტურებენ, რომ ლ. ტ. შ-ა აფხაზეთის შს სამინისტროს ორგანოებში ირიცხებოდა 1971 წლიდან 1994 წლის აპრილამდე. აფხაზეთში ცნობილი მოვლენების პერიოდში, 1992-1993 წლებში მუშაობდა საკუთრების დაცვის პოლიციის ... სოხუმში საომარი მოქმედებების პერიოდში ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, შექმნილი საბრძოლო ვითარებიდან გამომდინარე ახორციელებდა მიმოსვლას ქალაქ სოხუმში განლაგებული საკუთრების დაცვის პოლიციის მიერ დაცულ წარმოებებში, დანესებულებებში. ბანკებში აწარმოებდა გადარიცხვებს. ამავედროულად, უზრუნველყოფდა დაცვის პოლიციის პირად შემადგენლობას ხელფასებით, ფორმით და სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებებით. საბრძოლო მოკვლევების აქტის თანახმად, 1993 წლის მარტის თვეში, როდესაც რუსეთის რეგულარული არმიის და ჩრდილოკავკასიელი მეზობლების მხრიდან ქ. სოხუმის მიმართულებით მოხდა ფართომასშტაბიანი შემოტევა, რა დროსაც დაიბომბა ქ. სოხუმის პოლიციის სამმართველოს შენობა, დაბომბვის მომენტში შენობაში იმყოფებოდა ლ. შ-ა. დაბომბვის შედეგად დაიღუპა ... ო. მ-ა და დაიჭრა ბევრი თანამშრომელი. აღნიშნულ სიტუაციაში, ლ. შ-ამ სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე დაჭრილ თანამშრომლებს აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება და გადაარჩინა მრავალი თანამშრომლის სიცოცხლე.

დადგენილია, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017 წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმის თანახმად, ლ. შ-ას უარი ეთქვა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადასტურებაზე.

ამასთან, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2018 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით, ლ. შ-ას გაეგზავნა ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონა-

წილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017 წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმი და ამასთან, ეცნობა, რომ ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით უარი ეთქვა საბრძოლო მოქმედებების მონაწილის სტატუსის მინიჭებაზე, იმის გამო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ინფორმაცია არ მოიპოვებოდა მისი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ, ასევე, 2017 წლის 17 ნოემბრის კომისიის სხდომაზე არ დადასტურდა მისი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური დაცვის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს მათი კეთილდღეობისა და აქტიური საქმიანობის პირობების შესაქმნელად. კერძოდ, მითითებული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და ამ კანონის დებულებების შესრულების სისტემური კონტროლი ევალება ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად კი, ამ კანონით დადგენილია ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შემდეგი კატეგორიები: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები.

ამავე კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად კი, ვეტერა-

ნების სოციალური დაცვა ითვალისწინებს: ა) საპენსიო უზრუნველყოფას „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; ბ) სხვა სოციალური დაცვის გარანტიებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ამავე კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ვეტერანების უფლებები და შეღავათები ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ ვეტერანებისათვის დადგენილი ერთიანი ნიმუშის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში. ვეტერანის მოწმობის ნიმუშსა და გაცემის წესს კი ადგენს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აგვისტოს №509 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერანის მოწმობის ნიმუშისა და მისი გაცემის წესის“ დანართი №1-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვეტერანის მოწმობა გაიცემა შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ა) ომის მონაწილე; ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; გ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; დ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; ე) ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირი; ვ) სამხედრო ძალების ვეტერანი; ზ) ომში დაღუპულის ოჯახის წევრი; თ) მარჩენალდაკარგული. ამასთან, მე-2 პუნქტის მიხედვით, დადგენილების მიზნებისათვის, ტერმინი „ომი“ გულისხმობს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მითითებული ნორმატიული აქტები უზრუნველყოფენ იმ პირთა სოციალურ დაცვას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ. ამდენად, მოცემული დავის გადაწყვეტისთვის არსებით მნიშვნელობას იძენს იმ საკითხის გარკვევა, მოსარჩელე ლ. შ-ა მონაწილეობდა თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს №281 ბრძანებით დამტკიცდა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათ-

თვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მონომობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქცია, რომლის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებებს მონაწილის და ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი ვეტერანის მონომობის მაძიებელმა უნდა წარადგინოს: „დ.ა“) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი, ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, ნოდების მინიჭების, დაჯილდოების ბრძანებების, სამხედრო ტრავმების მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმელის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ და სხვა მტკიცებულებები). მაძიებელმა ასევე უნდა წარადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი. ხელმოწერები ძალოვანი უწყების მოსამსახურეებზე დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი უწყების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნოტარიულად. „დ.ბ“) მოხალისეებზე, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში, წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ დამოწმებული ასლები. საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი, ხელმოწერები დადასტურებულ უნდა იქნეს ნოტარიულად. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი სპეციალური კომისიის ოქმი. ასევე, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაბადების მონმობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზ-

ღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამასთან, ამავე კოდექსის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის

სამმართველოს უფროსის მოადგილის პოლიციის პოლკოვნიკის მ. გ-ას მიერ 2003 წლის 23 სექტემბერს ლ. შ-ას მიმართ გაიცა ცნობა №8/2-229, რომლის თანახმად, ლ. შ-ა 1992-1993 წლებში მსახურობდა აფხაზეთის ა.რ. შსს საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში ...ის თანამდებობაზე და არის ომის მონაწილე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო ორგანოები კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით და შესაბამის სამსახურთა არსებობის პირობებში, არ იყვნენ უფლებამოსილნი, პირისათვის თავად განესაზღვრათ ვეტერანის სტატუსი და გაეცათ ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ საბრძოლო მოქმედებები სწორედ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდაუწყებრივ ორგანოებს გააჩნდათ უფლებამოსილება, დაედგინათ და ცნობის გაცემის გზით დაედასტურებინათ კონკრეტულ პირთა მიერ ომში მონაწილეობის ფაქტი, შესაბამისად, შეექმნათ ვეტერანის სტატუსის მინიჭებისათვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი სანოტარო წესით დამოწმებული საბრძოლო მოკვლევის აქტის თანახმად, ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს საკუთრების დაცვის პოლიციის მეთაური დ. ა-ა, დანაყოფის წევრები ჯ. ც-ა და ზ. კ-ა ადასტურებენ, რომ ლ. ტ. შ-ა აფხაზეთის შსს სამინისტროს ორგანოებში ირიცხებოდა 1971 წლიდან 1994 წლის აპრილამდე. აფხაზეთში ცნობილი მოვლენების პერიოდში, 1992-1993 წლებში, მუშაობდა საკუთრების დაცვის პოლიციის ... სოხუმში საომარი მოქმედებების პერიოდში ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, შექმნილი საბრძოლო ვითარებიდან გამომდინარე ახორციელებდა მიმოსვლას ქალაქ სოხუმში განლაგებული საკუთრების დაცვის პოლიციის მიერ დაცულ ნარმოებებში, დაწესებულებებში. ბანკებში აწარმოებდა გადარიცხვებს. ამავდროულად უზრუნველყოფდა დაცვის პოლიციის პირად შემადგენლობას ხელფასებით, ფორმით და სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებებით. 1993 წლის მარტის თვეში, როდესაც რუსეთის რეგულარული არმიის და ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების მხრიდან ქ. სოხუმის მიმართულებით მოხდა ფართომასშტაბიანი შემოტევა, რა დროსაც დაიბომბა ქ. სოხუმის პოლიციის სამმართველოს შენობა, დაბომბვის მომენტში შენობაში იმყოფებოდა ლ. შ-ა. დაბომბვის შედეგად დაიღუპა ... ო. მ-ა და დაიჭრა ბევრი თანამშრომელი. აღნიშნულ სიტუაციაში ლ. შ-ამ სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე დაჭრილ თანამშრომლებს აღმოუ-

ჩინა სამედიცინო დახმარება და გადაარჩინა მრავალი თანამშრომლის სიცოცხლე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ომში მონაწილეობა არ გულისხმობს საბრძოლო მოქმედებებში პირის მხოლოდ ქმედით ჩართულობას. საომარი მოქმედებები კომპლექსურად მიმდინარეობს, სადაც თითოეულ მონაწილეს აღნიშნულ მოქმედებებთან დაკავშირებული გარკვეული ფუნქციის შესრულება ეკისრება. უშუალოდ მებრძოლთა მიერ წარმოებული საბრძოლო აქტივობების გარდა, ომის მიმდინარეობა არსებითად არის დაკავშირებული, მაგალითად, სამედიცინო პერსონალის ეფექტურ მუშაობაზე, ე.წ. მეკავშირეების საქმიანობაზე, რომლებიც ბრძოლის მიმდინარეობისას სამხედრო ქვედანაყოფებს შორის კომუნიკაციას უზრუნველყოფენ, ასევე, იმ პირებზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მეომართა შესაბამისი აღჭურვილობით მომარაგებაში, რამდენადაც სწორედ დანაყოფთა შეუფერხებელი და სრულყოფილი მომარაგება განაპირობებს საბრძოლო ვითარებათა ეფექტიანობას. საქმის მასალებით დადგენილია და სადავოდ არ არის გამხდარი ის ფაქტი, რომ ლ. შ-ა დაცვის პოლიციის პირადი შემადგენლობის არა მხოლოდ ხელფასებით, არამედ ფორმითა და სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებებით მომარაგებასაც უზრუნველყოფდა. ამავდროულად, საგულისხმოა ისიც, რომ აფხაზეთში მომხდარი ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი შეტაკების დროს, მოსარჩელემ, ფაქტობრივად, სამედიცინო საქმიანობაც შეითავსა, კერძოდ, სწორედ მისი დახმარებით იქნა გადარჩენილი დაბომბვის შედეგად დაშავებული, საბრძოლო ვითარებებში მონაწილე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არაერთი თანამშრომელი. ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს იმას, რომ საომარ მოქმედებათა პერიოდში ლ. შ-ა არა მხოლოდ ... საქმიანობას, არამედ საბრძოლო ქმედებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფუნქციებსაც ასრულებდა, რაც ცხადყოფს მის მიერ ომში მონაწილეობას.

ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ლ. შ-ა 1992-1993 წლებში მსახურობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრების დაცვის პოლიციის სამმართველოში ...ის თანამდებობაზე და იყო აფხაზეთში წარმოებული ომის მონაწილე, რაც წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის სტატუსის მინიჭების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესა-

ბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, იგი არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორმა საქმის მიმდინარეობისას და, მათ შორის, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზეც, ვერ წარადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. შესაბამისად, დაუშვებელი იყო ლ. შ-ასათვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ მის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებში. სტატუსის მინიჭების საფუძველს წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებული ფაქტის დადგენა და არა კონკრეტული პირის საარქივო მასალებში აღრიცხვის ფაქტი. ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა საფუძველს ლ. შ-ასათვის ვეტერანის სტატუსის მისანიჭებლად. ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ მოსარჩელე 1993 წლიდან 2005 წლამდე პერიოდში სარგებლობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე საქართველოს მოქალაქეებისათვის განკუთვნილი შეღავათებით, კერძოდ, მას აღნიშნული დროის მონაკვეთში საშემოსავლო გადასახადით არ ებეგრებოდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი. შესაბამისად, გასაჩივრებული აქტები პირდაპირ და უშუალო, არსებით ზიანს აყენებს ლ. შ-ას უფლებას, კერძოდ, ართმევს მას შესაძლებლობას, ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი შეღავათებით, კერძოდ, უფასოდ იმგზავროს მუნიციპალური ტრანსპორტით, ჩაერთოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთათვის გათვალისწინებულ საყოველთაო ჯანდაცვის სპეციალურ პროგრამაში და ა.შ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანის სტატუსის

მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის 2017 წლის 17 ნოემბრის №202-12 სხდომის ოქმი და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2018 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონს, შესაბამისად, არსებობს მათი ბათილად ცნობისა და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის ლ. შ-ასათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299 72 23
www.supremecourt.ge